

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუდენტთა მეორე საფაკულტეტო
სამეცნიერო კონფერენცია



თეზისები

18-20 დეკემბერი
2019

დაიბეჭდა თსუ-ის გამომცემლობის სტამბაში

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა, 2019

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუდენტთა მეორე საფაკულტეტო
სამეცნიერო კონფერენცია

თეზისები

18-20 დეკემბერი
2019

თეზისები

სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:

ნანა გაფრინდაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

თედო დუნდუა - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი;

თეიმურაზ პაპასქიძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი;

ეკატერინე ნავრთვაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

დარეჯან გარდავაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

ნინო პაპიაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი (კონფერენციის თავმჯდომარე);

ანა მინდიაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი;

მარიამ ქსოვრელი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი.

სარჩევი

გიორგი აბალაკი -----	10
ებრაელთა კულტურული იდენტობის ფორმირება ელინისტური ხანის ეგვიპტის ალექსანდრიაში	
გიორგი ახალკაცისვილი -----	11
ქალი სულთნების დიპლომატია ოსმალეთის იმპერიაში (XVI-XVII სს.)	
ოლეგ ბაბინი -----	12
მარტყოფის ჯგუფის ყორღანების კერამიკის გენეზისის საკითხისათვის	
ელენე ბერაია -----	14
სამეურნეო ურთიერთობები ჭერათხევის ხეობაში: ისტორია და თანამედროვეობა	
მეგი ბერიკისვილი -----	15
ბაბილონური ტერმინის ME-ს ინტერპრეტაციისათვის	
ალექსანდრე ბიძინაშვილი -----	16
ნიკიტა თალაქვაძის „მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან“, როგორც ისტორიული წყარო	
ოლანი ბიწაძე -----	17
„ვეფხისტყაოსანი“ და „გილგამეშიანი“	
ბაია ბოლქვაძე -----	18
ძველადმოსავლური საზოგადოება „გილგამეშის ეპოსის“ მიხედვით	
გიორგი ბრეგვაძე -----	19
იუგოსლავიური კონფლიქტის სათავეებთან: ეთნო-პოლიტიკური პროცესები იუგოსლავიის სამეფოში	
ეკა ბუთხუზი -----	20
შალვა ამირეჯიბის პოეზია	
ნინო ბუტიკაშვილი -----	22
საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატის მოღვაწეობის 30 წელი	
ნინო გიორგაძე -----	23
დატივში დასმული აქტანტის სუბიექტად კვალიფიკაციის პრობლემა ესპანურ ლინგვისტიკაში	
ნინო გვარამია -----	24
საფლავის ქვების გამოსახულებანი ჭერათხევაში	
ციური გვენეტაძე -----	25
შუმერული პოეზია, როგორც ტროპის უძველესი ნიმუში	
ნინო გიორგაძე -----	26
ფერნანდო პესოა და მისი პეტერონიმები	
მაგდა გორგილაძე -----	27
რა ინფორმაციის მომცველია ნეკრესის წარწერები?	

ეკატერინე გურგენიძე -----	28
ნოდარ დუმბაძის რამდენიმე მოთხრობის სათაურის გააზრებისათვის	
სალომე გურული -----	30
არჩიხალდ მეკეშიდან არჩილ მაყაშვილამდე	
ელიზა გუჯაბიძე. -----	31
ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მცირე პლასტიკის ნიმუშები აქადური სარიტუალო ტექსტების მიხედვით	
ეკა დავაძე -----	32
ასაკის აღმნიშვნელი ლექსიკა ინგლისურ და ქართულ ენებში	
ანი დათუნაშვილი -----	33
გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“ - სიმბოლურ-მიითოსური რეპრეზენტაციები	
ანინა დამენია -----	35
კოლხური ამფორები და მისი ეკონომიკური მნიშვნელობა	
ელიზა ევაძე -----	36
აკა მორჩილაძის „ქართულის რვეულები-XIX საუკუნის სურათები“ - ვაჟა-ფშაველა	
ცისანა ზაქაშვილი -----	37
თამარ და აკაკი პაპავეზების რომანი „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი“- ტექსტი და სცენური განხორციელება	
მარიამ იმედაშვილი -----	38
თანამედროვეობის პრობლემები ქართულ საბავშვო ლიტერატურაში (თეა თოფურიას მოთხრობების მიხედვით)	
სალომე კირვალიძე -----	39
მარიამ კვინიკაძე	
ევროპული განმანათლებლობის ძირითადი ტენდენციები	
იანა კობახიძე -----	41
მარკუს ავრელიუსი, როგორც პაციფისტი	
ალექსანდრე კუპრეიშვილი -----	41
რუსული ფორმალისტური სკოლისა და იან მუკარჟოვსკის ესთეტიკის მიმართების საკითხი	
თეკლა ლოთიკაშვილი -----	43
მართა ბეჭურაიძე	
საქორწინო წეს-ჩვეულებები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში	
მარიამ მამულაშვილი -----	44
ამერიკის და ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობების სტრუქტურული ანალიზი კენეთ ოის თეორიის ჭრილში	
მიხეილ მარკელია -----	
45თურქიზმები რუსულ ენაში	

გიორგი მაჭარაშვილი -----	46
არბროთის დეკლარაცია ანუ რომის პაპთან გაგზავნილი ერთი შოტლანდიური წერილის შესახებ ლაშა მგელაძე -----	48
კვინტუს სერტორიუსი - მივიწყებული სარდალი ლალი მექერიშვილი -----	49
იესე ბარათაშვილის საქართველო მარიამ მინდიაშვილი -----	50
სილამაზისა და სიმახინჯის გამომხატველი იდიომატური გამონათქვამები ინგლისურ და ქართულ ენებში მეგი მიქაბერიძე -----	
51 თამარ მეფის საიდუმლო საფლავის მითოსი სანდრო მიქელაშვილი -----	53
ქალის როლის აღქმა სპარტის საზოგადოებაში პლუტარქეს „მორალიების“ მიხედვით ელენე მუჯირიშვილი -----	54
ჭურჭელთან დაკავშირებული იდიომატური გამონათქვამები ინგლისურ და ქართულ ენებში ქეთევან მჭედლიშვილი -----	55
ბედისწერის აღმნიშვნელი სინონიმები ინგლისურ და ქართულ ენებში თამთა ნიქაბაძე -----	56
რიცხვთა სიმბოლიკა და სემანტიკა ინგლისურ და ქართულ ენებში ირინა ნოზაძე -----	58
შედარებები ჯ. ჯოისის „ჯაკომო ჯოისის“ ტექსტსა და ქართულ თარგმანებში ეთერ პაპავა -----	59
პრისკუსის თვალთ დანახული იულიუს კეისრის სახელმწიფო ანნა ჟორდანია -----	60
სავაჭრო დაწესებულებების აღმნიშვნელი სახელწოდებები ინგლისურ და ქართულ ენებში ნიკოლოზ სარაჯიშვილი -----	61
დავით სარაჯიშვილის პოლიტიკური ორიენტაცია ქეთი საყვევარაშვილი -----	62
დაღესტნურ ეთნონიმთა ისტორიიდან მარი სილაგაძე -----	63
პრეისტორიული ონტოლოგია მირჩა ელიადეს რელიგიის ფილოსოფიაში გვანცა ფიფია -----	64
რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ მარიამ ფიჩხაია -----	65
საგან-ნივთთა დეტერმინაცია მ. პავიჩის, ბ. ჰრაბალისა და ი.კალვინოს პოსტმოდერნისტულ ტექსტებში	

საბა ქანთარია -----	67
ფოტიოსის როლი ბიზანტიის პოლიტიკური თვითმყოფადობის ჩამოყალიბებაში	
მათე ქარდავა -----	68
იუდაიზმი ხაზართა სახაკანოში	
ზაზა ქარჩავა -----	69
პროფესორ ალექსანდრე წერეთლის სამეცნიერო პორტრეტი	
თამუნა ქოთოლაშვილი -----	71
ინტერკულტურული ლიტერატურული ტენდენციები აკა მორჩილაძის “ტავერნა ათი სექტემბერი/ქალაქის მელიები”	
მარიამ ქოსაშვილი -----	72
გალაკტიონ ტაბიძის „მარტოობის დღესასწაული“	
გიორგი ქურცაძე -----	73
იოანე პეტრიწის ფილოსოფია დასავლური რელიგიური ფილოსოფიის კონტექსტში	
ნინო ღლონტი -----	75
ნინო ხარატიშვილის პიესა „მედეა - ჩემი და შენი გული“, მედეას სახის უახლეს ინტერპრეტაციათა კონტექსტში	
ეკატერინე ყარსელიშვილი -----	76
ხეთური არქიტექტურის თავისებურებანი	
ნანა შენგელია -----	77
სოფიო ბაგრატაშვილი	
ნების პრობლემა ერაზმისა და ლუთერის შემოქმედებაში	
ნინო ჩოხელი -----	78
ბესიკ გოჩიაშვილი	
საქართველო-გერმანიის ურთიერთობები	
ტატა ჩრდილელი -----	80
ფუნქციონალიზმის ძირითადი მიდგომები და მნიშვნელობა	
ლეილა ჩხეტიანი -----	81
იმპიჩმენტის პოლიტიკური მნიშვნელობა აშშ-ის დემოკრატიის ისტორიაში	
ივეტა ცერცვაძე -----	82
გმირის ინიციატა ქართველ და კავკასიელ ხალხთა ზეპირსიტყვიერებაში	
ანა ცქიტიშვილი -----	83
პაულ ცელანის „ფსალმუნის“ გააზრებისთვის (დედნისეული ტექსტის ინტერპრეტაცია; ქართული და რუსულენოვანი თარგმანების შედარებითი ანალიზი)	
გვანცა წიწილაშვილი -----	84
დიდი ბერძნული კოლონიზაცია და აღმოსავლეთი	
შავიზღვისპირეთი (კულტურათა დიალოგი)	

ნუკრი წურწუშია -----	85
მარქსიზმისა და ფროიდიზმის კრიტიკა კარლ პოპერის ეპისტემოლოგიაში	
მიხეილ ჭელიძე -----	86
იენ მაკიუენის რომანის „ცემენტის ბალი“ ინტერმედიალური სივრცე	
გიორგი ჭილაძე -----	87
ურის III დინასტიის „დიდი კედელი“	
თამარ ჭიჭინაძე -----	89
გენდერული თანასწორობის საკითხი სასკოლო სახელმძღვანელოებში (მე-7 კლასის ისტორიის სახელმძღვანელოს გენდერული ანალიზი)	
თამთა ჭუმბაძე -----	90
ესუეკე მაცუოკადან პერლ-ჰარბორამდე. იაპონიის საგარეო პოლიტიკა 1939- 1945 წლებში	
ნანა ხასაია -----	92
ბურჟუაზიის ჩასახვის ნიშნები XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში	
ჯონდი ხუხია -----	93
ორი იბერიის ნათესაობის საკითხისთვის XVII საუკუნის ერთი დოკუმენტის მაგალითზე	
გიორგი ჯავახიშვილი -----	94
ილია ჭავჭავაძე: ერის მშენებლობის პროექტი	
სალომე ჯანგავაძე -----	95
კარლ IV-ის ჩეხური პოლიტიკის რამდენიმე საკითხისათვის	

გიორგი აბალაკი

ებრაელთა კულტურული იდენტობის ფორმირება ელინისტური ხანის ეგვიპტის ალექსანდრიაში

ელინისტურ ხანაში იუდეური თემები მიმოფანტული იყო თითქმის მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთში. ფილონ ალექსანდრიელის ცნობით, ეგვიპტეში საკმაოდ მრავალრიცხოვანი ებრაული თემი ცხოვრობდა. კერძოდ, ეგვიპტეში მცხოვრები 8 მილიონი კაციდან 1 მილიონი ებრაელი იყო, ხოლო ალექსანდრიის 5 კვარტლიდან 2 ებრაელებს ეკავათ (in flaccum, 8). ელინისტური ხანის ალექსანდრიაში მრავლად ცხოვრობდნენ ბერძნები, მაკედონელები, ეგვიპტელები და იუდეველები. მათ შორის ხშირი იყო დაპირისპირება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყველანი მეტ-ნაკლებად ელინიზირებულნი იყვნენ. კულტურულ იდენტობას განსაზღვრავს: ენა, რელიგია, ისტორია, ტერიტორია... იდენტობის საფუძველზე ადამიანი განარჩევს, ვინ ექცევა ჯგუფში „ჩვენ“ და ვინ – ჯგუფში „სხვა“. ამ პერიოდში ებრაელთა კულტურულ იდენტობას ორი ძირითადი ფაქტორი, რელიგია და ისტორია განსაზღვრავდა.

ებრაელთა ცხოვრება ყოველად წარმოუდგენელი იყო იუდაიზმის გარეშე. სწორედ რელიგია გახდა ის გამაერთიანებელი ფაქტორი, რომელიც ელინიზმის პროცესში იუდეველთა განსხვავებულ იდენტობას განსაზღვრავდა. ინსტიტუციურ დონეზე ებრაელთა რელიგიის განსაკუთრებულობა გამოვლინდა სინაგოგის შექმნით. ფაქტობრივად, სინაგოგის რელიგიური კოლეგია გახლდათ ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება, რისი შემვეობითაც იუდეველებმა შეინარჩუნეს თვითმყოფადობა.

„თანახი“ წარმოადგენდა ალექსანდრიის ებრაული დიასპორისათვის, და არა მხოლოდ მისთვის, ისტორიულ მესხიერებას. მათ ყოველთვის უნდა ხსომებოდათ ჭეშმარიტი ღმერთი. „თორას“ მიერ დაწესებული დღესასწაულები, მართალია, რელიგიური ხასიათისაა, მაგრამ ისინი ასევე დაკავშირებულია ებრაელი ერის ისტორიის გარდამტეხ და იდენტობის მაფორმირებელ

მოვლენებთან.

ელინისტურ ხანაში დაიწყო ის გრანდიოზული პროცესი, რომელსაც შეიძლება გლობალიზაცია ვუწოდოთ. ბერძნული კულტურის აღმავლობამ და გავრცელებამ ბევრ ეთნოსს შეუქმნა ეგზისტენციალური საფრთხე, მათ შორის ებრაელებსაც. ეს საფრთხე, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ენების დაკარგვაში გამოვლინდა. დიასპორაში მცხოვრები იუდეველებისთვის მთავარ სამეტყველო ენად ბერძნული იქცა ისე, რომ მათ წმინდა წერილის წაკითხვაც აღარ შეეძლოთ. სწორედ ამიტომ, ძვ.წ III ს-ში ალექსანდრიაში 72-მა ებრაელმა სწავლულმა „თანახი“ ძველ ბერძნულ ენაზე თარგმნა. თარგმანს ბერძნულად „სეპტანტა“, ხოლო ლათინურად „სეპტუაგინტა“ ეწოდებოდა, რაც სამოცდაათი ბრძენის თარგმანს ნიშნავს. ეს თარგმანი განკუთვნილი იყო მათთვის, ვისაც მშობლიური ენა (ივრითი) დავიწყებული ჰქონდა, მაგრამ რელიგია კვლავ რჩებოდა იდენტობის მაფორმირებელ უმთავრეს ფაქტორად.

ალექსანდრიელ ებრაელებს სამშობლოსთან ფიზიკური კავშირი იშვიათად, ან სულაც არ ჰქონდათ. რასაც ვერ ვიტყვით სულიერ კავშირზე. დიასპორაში მცხოვრები იუდეველები აღავლენდნენ ლოცვას მსხვერპლშეწირვის გარეშე, თანაც ისე, რომ სახეს ყოველთვის სიონისკენ მიაპყრობდნენ.

გიორგი ახალკაციშვილი

ქალი სულთნების დიპლომატია ოსმალეთის იმპერიაში (XVI-XVII სს.)

“ქალთა სასულთნოს” (1533/34-1656), რომელიც ჰარემის გავლენიანმა ქალებმა შექმნეს XVI-XVII სს-ის ოსმალეთის იმპერიაში, სათავე დაუდო სულთან სულეიმან I-ის (1520-1566) მეუღლემ - ჰასეჟი ჰიურემ სულთანმა (1533/34-1558). ჰიურემის შემდეგ, ოსმალეთის იმპერიაში კიდევ რამდენიმე ძლიერი ფიგურა შეიძინა ქალი სულთნების სახით: ნურბანუ სულთანი, საფიე სულთანი (რომელიც არ ყოფილა კანონიერი ცოლი, მაგრამ მისი შვილი გახდა სულთანი) და ქოსემ

სულთანნი, რომელთაც დიდი გავლენა ჰქონდათ ჯერ მეუღლეებზე (სელიმ II (1566-1574), მურად III (1574-1595), აჰმედ I (1603-1617)), ხოლო შემდეგ შვილებზე (მურად III, მეჰმედ III, მურად IV), რომელთა რეგენტებიც იყვნენ მათ სრულწლოვანებამდე. ქალთა სასულთნოს აღზევების პიკი იყო ქოსემ სულთნის მმართველობა, იგი ორი შვილის მურად IV-ის (1623-1640) და იბრაჰიმ I-ის (1640-1648), ხოლო შემდეგ შვილიშვილის (მეჰმედ IV - 1648-1687) სულთნობის პერიოდში რეგენტის თანამდებობას იკავებდა. მეცნიერთა დიდი ნაწილი ქოსემ სულთნის სიკვდილს მიიჩნევს სასულთნოს დასრულების პერიოდად, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ კიდევ 5 წელი არსებობდა ქალთა სასულთნო, რომელიც ვალიდე თურჰან ჰათიჯე სულთნის პერიოდში დასრულდა და რეგენტის თანამდებობა ქოფრულუებმა გადაიბარეს.

ტერმინი „ქალთა სასულთნო“ პირველად გამოიყენა თურქმა ისტორიკოსმა აჰმედ რეფიქ ალთინაიმ 1916 წელს ამავე სახელწოდების წიგნში, სადაც იგი აღნიშნულ პერიოდს განიხილავდა ოსმალეთის იმპერიის დაქვეითების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად. თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებები.

წარმოდგენილ მოხსენებაში განხილული და გაანალიზებულია „ქალთა სასულთნო“, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ყურადღება გამახვილებულია ქალთა მმართველობის დადებით და უარყოფით მხარეებზე.

თლეგ ბაბინი

მარტყოფის ჯგუფის ყორღანების კერამიკის გენეზისის საკითხისათვის

ძვ.წ. III ათასწლეულის II ნახევარში, რომელიც წარმოდგენს ადრე ბრინჯაოს დასასრულსა და შუა ბრინჯაოზე ტრანზიტულ პერიოდს, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში საფუძველი ეყრება სრულიად ახალ კულტურულ მოვლენას, რომლის განვითარება სრულიად განსხვავებული გზით წარიმართა, ვიდრე

წინამორბედი მტკვარ-არაქსის კულტურისა. საზოგადოებაში მოხდა მნიშვნელოვანი ძვრები, რომელებმაც მოიცვეს ყოფა-ცხოვრების თითქმის ყველა მხარე, ეს უპირველეს ყოვლისა ვლინდება დაკრძალვის ახალი ტრადიციის დამკვიდრებაში - ჩნდება ინდივიდუალური ყორღანული სამარხები, რომლებიც არ ყოფილა ცალსახად დამახასიათებელი მტკვარ-არაქსის კულტურისათვის. თუმცა იგი პირველად ჯერ კიდევ ენეოლითის ხანაში გამოჩნდა. იშვიათი შემთხვევა მცირე მასშტაბის ყორღანისა დაფიქსირებულია მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ ფაზაშიც. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყორღანს მაინცდამაინც ადგილობრივი ფესვები აქვს. დასაშვებია, რომ იგი სწორედ წინამორბედ ეპოქაში გამოჩნდა, როგორც შემოტანილი ტრადიცია, შემდეგ კი ფართოდ გავრცელდა ე. წ. ადრეყორღანების ხანაში.

რთულია, ამგვარი ცვლილებები მხოლოდ შიდასაზოგადოებრივი პროცესებით აიხსნას, გარკვეული როლი შეიძლება ეთამაშა გარედან მომდინარე ფაქტორებს, მეტად სავარაუდოა, ძლიერ გეოკულტურულ ზეგავლენას. ამის დასაბუთებას შემდგომი საფუძვლიანი კვლევა სჭირდება. ამჯერად კი მხოლოდ მარტყოფის კერამიკული მასალა გავაანალიზეთ სიახლეთა და მისი თავისებურების დადგენის მხრივ. კერამიკულ ნაწარმს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ე. წ. ადრეყორღანული კულტურის ადრეული საფეხურის - მარტყოფის ჯგუფის ძეგლთა გენეზისის კვლევისას. მნიშვნელოვანია, რომ ის ასევე მკრთალად, ერთეული დეტალით თუ ასახავს აღნიშნული ჯგუფის ძეგლთა კავშირს წინამორბედ მტკვარ-არაქსის კულტურასთან. სუსტდება კავშირი სამხრეთ რეგიონთან და ძლიერდება ურთიერთობა ჩრდილოეთთან, კერძოდ, სამხრეთ რუსეთის სტეპებთან, ამას დაკრძალვის ყორღანულ წესთან ერთად, გარკვეულად კერამიკის ორნამენტიც ასახავს.

აღნიშნული საკითხის მიმართ მოსაზრება აქვს გამოთქმული არაერთ მეცნიერს: თ. ჯაფარიძე, მ. ფუთურიძე, ა. ორჯონიკიძე, ზ. მახარაძე და სხვ. მიუხედავად ამისა, მისი კვლევა ძალზედ აქტუალურია, როგორც გარე სამყაროსთან კონტაქტების, ისე წინამორბედ და მომდევნო კულტურებთან კავშირის შესწავლისათვის, რაც საშუალებას მოგვცემს, ვიმსჯელოთ ამ პერიოდის საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებების შესახებ.

ელენე ბერაია

სამეურნეო ურთიერთობები ჭერათხევის ხეობაში: ისტორია და თანამედროვეობა

სამეურნეო ურთიერთობები ნებისმიერი საზოგადოების ყოფისა და ყოველდღიურობის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ხშირ შემთხვევაში, მეურნეობის ფორმები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ამა თუ იმ ჯგუფის სოციალური სტრუქტურის, ნორმატიული კულტურისა და იდენტობის ფორმირებაში. სამეურნეო ურთიერთობების დინამიკის კვლევა საშუალებას იძლევა, აიხსნას საზოგადოებაში მიმდინარე ტრანსფორმაციების ბუნება. 2019 წლის აგვისტოში მონაწილეობა მივიღე თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტში, ჭერათხევის ხეობაში ჩატარდა. ჭერათხევის ხეობა სპეციფიკურ და გამორჩეულ რეგიონს წარმოადგენს. აქ გადის ქართლისა და იმერეთის დამაკავშირებელი მაგისტრალი, რომელიც ძველად დიდი სამხედრო და ეკონომიკური ფუნქციის მატარებელი იყო. ჭერათხევი მთისწინეთს წარმოადგენს, რომელსაც დაბლობიც გააჩნია და მთაც. შესაბამისად, მეურნეობის ფორმებიც შერეულია. ისტორიულად აქ განვითარებული იყო მემინდვრეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა, ასევე მესაქონლეობა. ეს მხარე ეთნოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლილი აქვს ს. მაკალათიას (ფრონის ხეობა, 1963). იგი ახასიათებს შრომის იარაღებს, მეურნეობასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს. მასვე აქვს აღნიშნული, რომ ხეობაში არ ჰქონდათ ირიგაციული სისტემები და მოსავალი დიდწილად ამინდზე იყო დამოკიდებული. რასაკვირველია, იმ პერიოდიდან ბევრი ცვლილებაა სახეზე. დღეისათვის აქტიურად გამოიყენება ყანების მორწყვა. ამისათვის სპეციალური კონსტრუქციები გააჩნიათ. ისევ ითესება ხორბალი, თუმცა უპირატესობა სიმინდის კულტურას აქვს. უხვად მოჰყავთ ლობიო და მისი აღება-დაბინავების ტრადიციულ ხერხებს გამოიყენებენ. აღსანიშნავია, სოფელ ნაბახტევშია. მაისურაძის მიერ გამართული მეურნეობა, რომელიც ორგანულ, ბიო-

პროდუქტს აწარმოებს, ამასთან, მოჰყავს ისეთი ტრადიციული, ენდემური ჯიშის ხორბალიც, როგორცაა მახა, ზანდური, კოლხური ასლი და სხვ. საინტერესოა, თუ როგორ ხდება ტრადიციული კულტურების გაცოცხლება თანამედროვეობის მოთხოვნილებების შესაბამისად. ტრადიციული მესაქონლეობის ფორმებიდან უფრო და უფრო მცირდება მეცხვარეობის წილი. სამეურნეო საქმიანობის ცვლილებასთან ერთად, იცვლება დამხმარე სამეურნეო ნაგებობებისა და იარაღების ფორმები და ფუნქციები. სამიწათმოქმედო საქმიანობის დიდი წილი მექანიზებულია. ამ თვალსაზრისითაც გვხვდება მთელი რიგი ინოვაციები, კერძოდ, ადმინიები პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე, თავად ქმნიან პრაქტიკული ტექნიკის ნიმუშებს. ყველა სხვა ფაქტორთან ერთად, მეურნეობის ფორმებსა და ზოგადად მოსახლეობის ცოფის ყველა ასპექტზე, დიდ გავლენას ახდენს მიგრაციული პროცესები, როგორც ქვეყნის შიგნით (ძირითადად ურბანული ცენტრებისკენ), ასევე ქვეყნის გარეთ (შრომითი მიგრაციები ევროპის ქვეყნებისკენ). დემოგრაფიული ვითარება და მიგრაციების მაღალი ხარისხი, ახალი ეკონომიკური სიტუაცია და მოთხოვნილებები აისახება სამეურნეო ურთიერთობების ხასიათზე.

მეგი ბერიკიშვილი

ბაბილონური ტერმინის ME-ს ინტერპრეტაციისათვის

ბაბილონური ტერმინი “ME”, რომელიც გვხვდება შუამდინარულ მითოლოგიაში, დაკავშირებულია სიბრძნის ღმერთ ენქისთან და ქალღმერთ ინანასთან. ME-ს ზუსტი ინტერპრეტირება ძალზედ რთულია, მიუხედავად აღნიშნული ტერმინის უამრავი საინტერესო განმარტებისა.

შუამდინარული მითოსის მიხედვით, ენქი ME-ებს, რომლებიც შუმერელთა წარმოდგენით ადამიანის მოღვაწეობის თითოეული სფეროს იდეალურ არქეტიპებად გვევლინება, გადასცემს ინანას, რომელიც ნებისამებრ ანიჭებს მათ სხვადასხვა შუამდინარულ ქალაქს. ამრიგად, ენქის მიერ ინანასთვის ME-თა

გადაცემით, ხდება მატერიალურ საგანთა იდეალური არსის ყოფიერ სამყაროში რეალიზება.

საინტერესო კავშირს ვხედავთ ტერმინ ME-სა და ანტიკური საბერძნეთის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნის, ფილოსოფოს პლატონის იდეათა სამყაროს შორის, რომელსაც ავტორი თავის „სახელმწიფოში“ აყალიბებს. პლატონისთვის ხელშესახები, გრძნობის ორგანოების მეშვეობით შესაცნობი მატერიალური სამყარო წარმოადგენს სტატიკურ, სრულყოფილ მდგომარეობაში მყოფი იდეათა სამყაროს ანარეკლს. შუამდინარულ სამყაროში ასეთ არსთა მატერიალიზება ინანას მეშვეობით, პლატონთან კი შემოქმედის, ესე იგი, დემიურგის მიერ ხდება. არსებული მასალის საფუძველზე, ნაშრომში წარმოდგენილია პარალელები, რომლებიც ტერმინ ME-სა და პლატონის იდეათა სამყაროს შორის არსებობს.

ალექსანდრე ბიძინაშვილი

ნიკიტა თალაქვაძის „მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან“, როგორც ისტორიული წყარო

ისტორიულ წყაროთა შორის, განსაკუთრებით საინტერესოა მემუარული ტიპის ჩანაწერები. ნიკიტა თალაქვაძის - „მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან“ - საინტერესო ნარატიულ-მემუარული წყაროა, რომელიც ეხება 1916-1936 წლებში მიმდინარე პროცესებს საქართველოს ეკლესიაში, ქართულ საზოგადოებაში.

ნიკიტა თალაქვაძე, რომელიც გამოირჩეოდა დიდი ინტელექტუალური და რიტორიკული შესაძლებლობებით, ერთ-ერთი მოწინავე იყო იმ სასულიერო პირთა შორის, რომლებიც საეკლესიო და ეროვნული დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ. ის მონაწილე და თვითმხილველი იყო ქართული სახელმწიფოებრიობისთვის ისეთი ღირებული მოვლენებისა, როგორცაა ავტოკეფალიის აღდგენა, სახელმწიფო დამოუკიდებლობის გამოცხადება, გენუის კონფერენციისადმი მემორანდუმის გაგზავნა, საბჭოთა ოკუპაცია და სხვა. იყო რა საკათოლიკოსო საბჭოს ანუ ეკლესიის მმართველი ორგანოს წევრი,

გამოირჩეოდა ყოველთვის მაღალი სამოქალაქო თვითშეგნებით. „მოქალაქე მღვდლის- დღიურებში“ გაშუქებულია მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედის შიდა საეკლესიო პროცესები, გასაბჭოება და საზოგადოებრივი ყოფა, ასევე საინტერესოაა გაშუქებული ქართული საზოგადოების აზრი მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ და ისტორიულ პროცესებზე.

ისტორიული წყაროების შესწავლა, კრიტიკული განხილვა და ანალიზი ისტორიის გაგების საწინდარია. ვინაიდან „მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან“ მემუარული ტიპის ნაშრომია, წყაროს ეს სახე კი ხშირად სუბიექტურია და გადმოგვცემს ავტორისეულ ინტერპრეტაციას ამა თუ იმ ფაქტისა, საჭიროა მისი კრიტიკული, პარალელურ წყაროებთან და დოკუმენტებთან კონტექსტური განხილვა. ამასთან ერთად, ყველა მემუარულ ნაშრომს ჩვენამდე მოაქვს ეპოქის სუნთქვა, ისტორიის წინააღმდეგობები.

„მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან“ საინტერესო წყაროა XX საუკუნის საქართველოსა და მისი ეკლესიის ისტორიის შესასწავლად. კვლევის მიზანია, ხსენებული მემუარების ტექსტობრივი და ფაქტოლოგიური ანალიზის საფუძველზე გამოიკვლიოს მისი, როგორც ისტორიული წყაროს ღირებულება.

თლანი ბიწაძე

„ვეფხისტყაოსანი“ და „გილგამეშინი“

„ვეფხისტყაოსნის“ კომპარატივისტული კუთხით შესაწავლა საშუალებას აძლევს მკვლევარს, გამოავლინოს ტიპოლოგიური პარალელები არა მარტო რუსთველის თანადროულ ლიტერატურულ ქმნილებებთან, არამედ იმ ძეგლებთანაც, რომლებიც „ვეფხისტყაოსანზე“ მრავალი წლით ადრე დაიწერა. ერთი-ერთი ასეთია ძველი შუმერული ეპოსი გილგამეშინი.

ნაშრომი მიზნად ისახავს ტიპე მარგველაშვილის, მიხაკო წერეთლის, ზურაბ კვიციანი და სხვათა გამოკვლევებზე დაყრდნობით ტიპოლოგიური პარალელების გამოვლენას დასახელებულ ლიტერატურულ ძეგლებს შორის და სათანადო დასკვნების გამოტანას.

პარალელები თავს იჩენს, ერთი მხრივ, სიკვდილ-სიცოცხლის, სიყვარულის, მეგობრობის კონცეფციების ფილოსოფიური დატვირთვის თვალსაზრისით, მეორე მხრივ კი, სიმბოლური შინაარსის მატარებელი მოტივების კუთხით (ცხოველის ტარება, მნათობებისადმი ლოცვა, ქალების შუამავლური ფუნქცია და სხვ).

საკითხი აქტუალურია, როგორც წმინდა ლიტერატურული, ისე ისტორიული კუთხით: არის ეს მემკვიდრეობით მიღებული კულტურის ანარეკლი თუ ავტორის მხატვრული ჩანაფიქრის შედეგი, ორიენტირებული ყველა დროისა და ხალხის ლიტერატურული მემკვიდრეობის აკუმულაციაზე ერთი ნაწარმოების ფარგლებში.

ბაია ბლქვაძე

ძველადმოსავლური საზოგადოება „გილგამეშის ეპოსის“ მიხედვით

ნაშრომის მიზანია, ძველადმოსავლური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მსოფლმხედველობის, რელიგიური რწმენა-წარმდგენებისა და სოციალური სტრატეფიკაციის განსაზღვრა „გილგამეშის ეპოსის“ მიხედვით. ნაშრომში განხილული იქნება შუმერული სიმღერები გილგამეშზე, რომელიც ფაქტობრივად ეპოსის წინამორბედაა, მისი შედარება, ეპოსის ძველბაბილონურ, პერიფერიულ და ასურულ ვერსიებთან საშუალებას მოგვცემს ნათლად დავინახოთ თუ განვითარების რა გზა განვლო აღმოსავლურმა საზოგადოებებმა, როგორ აღიქვეს შუმერული სიმღერები აქადელებმა, ხეთებმა და ასურელებმა. ყველა ვერსია არის არა უბრალოდ ეპოსის შინაარსის გამეორება, არამედ, ის თუნდაც ნიუანსური განსხვავება, როგორც არის მაგალითისთვის, ასურულ და ხეთურ ტექსტებში, საშუალებას გვაძლევს დავინახოთ თუ რა იყო მნიშვნელოვანი სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული საზოგადოებებისთვის. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, ის ფაქტი, რომ „გილგამეშის ეპოსში“ შესულია

შემერულ თქმულებათა უმრავლესობა, რაც მეტყველებს იმ წარმოდგენებზე, რომლებიც ამ საზოგადოებას ჰქონდა, შესაბამისად მათი განხილვა და გაანალიზება საინტერესო და მრავალფეროვან ინფორმაციებს გვაწვდის, ერთი მხრივ, ამ საზოგადოების აზროვნების ტიპზე, მეორე მხრივ კი ლიტერატურულ ტრადიციებზე. მაგალითისთვის ერთ-ერთი ასეთი თქმულებაა „იშთარის ჩასვლა ქვესკნელში“ და ა.შ.

ეპოსში წარმოდგენილი ღმერთები/ქალღმერთები და მათთან გამართული დიალოგები, თუ მათ მიმართ დამოკიდებულება ნათლად ასახავს ძველშუამდინარულ რელიგიური აზროვნების ფორმას. ეს საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ ამ საზოგადოებისთვის დამახასიათებელი პანთეონები და ამავდროულად ვნახოთ, თუ რატომ ან როგორ იცვლება კონკრეტულ ღმერთებთან დამოკიდებულებები. ამრიგად, ეპოსში ჩართული შემერული თქმულებების, სიმღერებისა და მითების მემკვიდრეობით, ვიღებთ მნიშვნელოვან ინფორმაციას, ამ საზოგადოებისთვის დამახასიათებელი რწმენა-წარმოდგენების, სოციალური მოწყობის, მსოფლმხედველობის თუ ქალაქური ტრადიციის შესახებ. ამ ყველაფრის საფუძველზე, ნაშრომი მიზნად ისახავს, ეპოსის ვერსიების შედარებისა და განხილვის შედეგად, წარმოადგინოს ყველა ის მახასიათებელი, რომელიც განსაზღვრავდა ძველშუამდინარულ საზოგადოებათა ცხოვრების ტიპსა და წესს.

გიორგი ბრეგვაძე

იუგოსლავიური კონფლიქტის სათავეებთან: ეთნო-პოლიტიკური პრეტენსიები იუგოსლავიის სამეფოში

პირველი მსოფლიო ომის დასასრულს, მას შემდეგ, რაც ავსტრია-უნგრეთის იმპერიის გავლენა მის სამხრეთ რეგიონებში სუსტდება (რომლებიც ძირითადად სამხრეთ სლავებით იყო დასახლებული), პარალელურად კიდევ

უფრო ძლიერდება საერთო სამხრეთ სლავური სახელმწიფოს შექმნის იდეა, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ XVII-XVIII საუკუნეებში საუბრობდნენ ხორვატი და სერბი პოლიტიკური მოღვაწენი. ამჯერად აღნიშნული იდეის ინიციატორებად სერბები გვევლინებიან, რასაც, რაღა თქმა უნდა, საკუთარი მიზეზები ჰქონდა. საქმე იმაში იყო, რომ მათ ოსმალთა იმპერიისგან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა აღნიშნულ ისტორიულ მოვლენამდე, ჯერ კიდევ საუკუნით ადრე დაიწყო, რასაც დიდი წინააღმდეგობის შედეგად მიაღწიეს კიდევ. შესაბამისად, პან-სლავურ იდეებს ფესვები ყველაზე მეტად მაინც სერბულ საზოგადოებაში ჰქონდა გადგმული, რაც მოგვიანებით იუგოსლავიის სამეფოს შექმნით დაავიზრგვინეს, სადაც მათთან ერთად სლოვენელები, ხორვატები, ბოსნიელები, მონტენეგროელები და მაკედონელები გაერთიანდნენ, სამეფოს სათავეში კი სერბული კარაჯორჯევიჩების სამეფო დინასტია ჩაუდგა. ერთი შეხედვით მცირე სამხრეთ სლავურმა ეთნოსებმა, საბოლოოდ შეძლეს იმპერიული მმართველობებისგან თავის დაღწევა და საერთო სახელმწიფოს ჩამოყალიბება, თუმცა ყველაფერი ასე მარტივად როდი იყო. მე-20 საუკუნის დამდეგს, მიმდინარე ეთნო-პოლიტიკური პროცესები, თავისუფლებისთვის მებრძოლი დასავლეთ ბალკანელ სლავ ერთა გაერთიანების იდეა გახდა საფუძველი, მთელი მომდევნო საუკუნის განმავლობაში მათ შორის დაძაბულობისა და ღია კონფლიქტის გაჩაღებისა.

ეკა ბუთხუბი

შალვა ამირჯიბის პეზია

XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლისათვის მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ იმ ადამიანთა შემოქმედება, რომლებიც საქართველოს საზღვარს იქით მოღვაწეობდნენ.

აღნიშნული მოხსენების მიზანია, განვიხილოთ ემიგრანტი მწერლისა და

საზოგადო მოღვაწის, შალვა ამირეჯიბის ცხოვრება და შემოქმედება. კერძოდ, ვისაუბრებ პოეტის ბიოგრაფიისა და მისი ერთადერთი პოეტური კრებულის შესახებ, რომელიც 1920 წელს გამოიცა.

შალვა ამირეჯიბი დაიბადა სოფელ ხურვალეთში 1887 წელს. მისი მამა თავადი გიორგი დარისპანის ძე ამირეჯიბი ზედსიძედ იყო სოფ. ხურვალეთში, თავად მაღალაშვილის ოჯახში. დედა, სოფიო მაღალაშვილი, განათლებული ქალი იყო, რომელსაც სოფელში ძალიან აფასებდნენ.

დაამთავრა თბილისის სათავადაზნაურო ქართული გიმნაზია. პირველი ლექსები სწავლის დროს დაწერა.

მონაწილეობდა 1905 წლის ქუთაისის გამოსვლებში მიხაკო წერეთელთან ერთად. 1906 წელს გაემგზავრა ევროპაში. იგი ისმენდა ლექციებს ვენის უნივერსიტეტში, თუმცა სტუდენტის სტატუსი არ ჰქონია.

1909 წელს შ. ამირეჯიბი სამშობლოში ბრუნდება. ამავე წელს გამოსცა ალმანახი „ჩვენი ერი“.

ლიტერატურული მოღვაწეობა 1910-იან წლებში დაიწყო. თანამშრომლობდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალ „კლდეში“, რომელშიც „ფარსმან-ფარუხის“ ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს.

შალვა ამირეჯიბის მოღვაწეობა პირობითად შეიძლება ორ ეტაპად დავეყოთ: პირველი პერიოდი მოიცავს 1909-1925 წლებს; ამ დროს ქვეყნდება მისი ერთადერთი პოეტური კრებული „მინანქრები“ (1920). მისი ორი ლექსი, „მასკარადი“ და „ლეკური“, შევიდა ახალი პოეზიის ანთოლოგიაში. „თბილისის ოფორტი“ და „მწვანე კაკადუ“ კი გამოქვეყნდა „მეოცნებე ნიამორების“ მესამე ნომერში. იგი მეგობრობს ამ ლიტერატურული დაჯგუფების წევრებთან: პაოლო იაშვილთან, ტიცციან ტაბიძესთან, გიორგი ლეონიძესთან და სხვ. ის არის დამფუძნებელი კრების დეპუტატი. მონაწილეობს 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში.

მეორე ეტაპი შალვა ამირეჯიბის ცხოვრებასა და შემოქმედებაში იწყება 1925 წლიდან. ეს არის თარიღი, როდესაც იგი მიემგზავრება ემიგრაციაში. ეს

არ არის უბრალოდ ჩავლილი დღეებისა და თვეების ერთობლობა. ეს არის სამშობლოს მონატრების, დაუსრულებელი ტკივილით განვლილი წლები.

პოეტის მიერ ემიგრაციაში გატარებული წლები, ღრმა და საფუძვლიან კვლევას მოითხოვს. ვფიქრობ, ამ ფორმატში ეს ვერ მოხერხდება. სწორედ ამიტომ, ყურადღებას საქართველოში გამოქვეყნებულ კრებულზე შევაჩერებ.

ნინო ბუტიკაშვილი

საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატის მოღვაწეობის 30 წელი

1. ქართულ-ებრაული ურთიერთობების მოკლე მიმოხილვა;
2. ისრაელის ბიზნეს პალატის დაარსება საქართველოში;
3. საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატის მოღვაწეობის 30 წლის ანგარიში;
4. იციკ მოშეს მოღვაწეობა საქართველოს ბიზნეს პალატაში;
5. ბიზნეს პალატის სამომავლო გეგმები;

მოხსენებაში წარმოგიდგენთ, ქართულ-ებრაული ურთიერთობების ფონზე, საქართველოში ისრაელის ბიზნეს პალატის დაარსების ისტორიასა და მის მოღვაწეობას არსებობის განმავლობაში, ანუ 30 წლის ანგარიშს. განვიხილავ ამ პერიოდში ჩატარებულ ღონისძიებებსა თუ კონფერენციებს, რომლებიც ავითარებდა და ამტკიცებდა ამ ორმხრივ კავშირს. ვისაუბრებ ბიზნეს პალატის დაარსებით განპირობებულ დადებით შედეგებსა და იციკ მოშეს როლზე ამ კუთხით. და ბოლოს, გაგაცნობთ, ყველაზე მნიშვნელოვანს, პალატის სამომავლო გეგმებსა და დასახულ მიზნებს.

ნინო გიორგაძე

დატივში დასმული აქტანტის სუბიექტად კვალიფიკაციის პრობლემა ესპანურ ლინგვისტიკაში

თანამედროვე ქართულ ლინგვისტურ აზროვნებაში ენათმეცნიერთა უმეტესობა თანხმდება სუბიექტის დატიური კონსტრუქციის არსებობის შესახებ არა მხოლოდ მესამე სერიის ზმნურ ფორმებთან, არამედ ე. წ. გრძნობა-აქტის სემანტიკის მქონე ზმნებთან. ეს მოვლენა ჩვენს გრამატიკულ ლიტერატურაში ინვერსიის სახელითაა ცნობილი, რომელიც გაიგება, როგორც პირის ნიშანთა შებრუნება ზმნაში, როცა რეალური სუბიექტი წარმოდგენილია მანის რიგის მარკერებით, ხოლო რეალური ობიექტი — ვინის რიგისა, მაგ.: გა-მ-იკეთები-ა მე ის.

ქართული მიყვარს ტიპის ზმნებისგან განსხვავებით, ესპანურ ლინგვისტიკაში აღნიშნული ტიპის ზმნები ცნობილია los verbos del tipo gustar-ის (მოწონება ტიპის ზმნები) სახელწოდებით, რადგან, როგორც რუსულსა და ფრანგულში, ესპანურში მიყვარს ზმნა არ ხასიათდება ქართულის მსგავსი პარადიგმით. ამავე ტიპის ზმნებს აგრეთვე უწოდებენ verba sentiendi-ს (გრძნობის ზმნები), verbos de reacción psicológica-ს (ფსიქოლოგიური რეაქციის ზმნები) ან verbos pseudo-impersonales-ს (ფსევდო უპირო ზმნები).

ნიშანდობლივია, რომ gustar ტიპის ზმნებს ესპანურში დატივში დასმული აქტანტი შეეწყობა, რომლის კვალიფიკაციაც დღესაც პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს.

ნაშრომში ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით დიაქრონიულ ჭრილში განხილულია სხვადასხვა მეცნიერის თვალსაზრისი, გამახვილებულია ყურადღება ტრადიციისა და ავტორიტარიზმის გავლენასა და როლზე ლინგვისტური ნაშრომის ფორმულირებისა თუ დასკვნის გამოტანის პროცესში ესპანურ და ქართულ სამეცნიერო აზროვნების მაგალითზე. აგრეთვე გაანალიზებულია ძველი ინგლისურისა და ძველი ესპანურის ენობრივი მაგალითების ურთიერთმიმართება.

დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ ესპანურში დადასტურებული გმნური კონსტრუქცია არ წარმოადგენს ქართული ინვერსიის კლასიკურ მაგალითს, კერძოდ, ესპანურში ის არა გრამატიკულ, არამედ სემანტიკურ დონეზე გამოიხატება.

ნინო გვარამია

საფლავის ქვების გამოსახულებანი ჭერათხევში

ჭერათხევის ხეობა მდინარე ჭერათხევის ორივე ნაპირს მოიცავს. აქ განლაგებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის ალის, ფლევისა და წაღვლის თემის სოფლები. მნიშვნელოვანია, ხეობის ეთნოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლა, ვინაიდან, ხეობას დიდი კულტურულ-ეკონომიკური ფუნქცია ჰქონდა. ხეობა აღწერა და შეისწავლა სერგი მაკალათიამ 1960-იან წლებში, ისტორიული ძეგლები ასევე აღწერილი აქვთ ხელოვნებათმცოდნეებსა (პ. ზაქარაია და სხვ.) და არქეოლოგებს.

ეს ტერიტორია უძველესი დროიდან იყო დასახლებული. ამას ადასტურებს აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, მატერიალური კულტურის ნიმუშები, კერძოდ, საფლავის ქვები, რომლებზეც მოცემულია განსხვავებული ანთროპომორფული გამოსახულებები, ზოომორფული სიმბოლოები და ორნამენტები, რაც ჩემი კვლევის ობიექტი გახდა.

მოსხენებაში წარმოვადგენ ჭერათხევში ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს შეკრებილ მასალას. განვიხილავ სოფელ დუმაცხოვში, ნაბახტევში, წაღვლში, ტკაცაში არსებულ საფლავის ქვებზე გამოსახულ ანთროპომორფულ გამოსახულებებს (ქალისა და მამაკაცის ფიგურები, ანგელოზის გამოსახულებანი); ზოომორფულ სიმბოლოებს (თევზი; ცხვარი, მტრედი). საფლავის ქვებზე არაერთი სამეცნიერო ნაშრომი არსებობს (მაგ. ე. ნადირაძის

„საქართველოს მემორიალური კულტურა“ (2001), „მემორიალურ ძეგლთა სიმბოლიკა“ (1998)), მათ შორის ჭერათხევის საფლავის ქვებზე ცნობები აქვს წარმოდგენილი ს. მაკალათიას (ნაშრომი „ფრონის ხეობა“ (1963)). იგი იძლევა კლასიფიკაციასაც. გამოყოფს ადგილობრივი წარმოების და შემოტანილ საფლავის ქვებს, ხაზს უსვამს მათ შორის განსხვავებებს (მასალა, ფორმა, ფერი). ს. მაკალათია აღნიშნავს, რომ საფლავის ქვებზე ძირითადად დატანილი იყო გარდაცვლილის საქმიანობასთან დაკავშირებული ნივთების გამოსახულებანი (ხელსაქმისა თუ სამეურნეო იარაღები და ა.შ.). შემდგომ პერიოდში ნაწილობრივ შენარჩუნებულია ეს ტრადიცია, თუმცა, არის მნიშვნელოვანი ცვლილებებიც, კერძოდ, საფლავის ქვებზე ჩნდება საბჭოთა სიმბოლიკა, ზოგჯერ ქრისტიანულთან ერთად. მოხსენებაში სისტემატიზებულად წარმოვადგენ მასალას ჭერათხევის საფლავის ქვებზე დატანილი გამოსახულებების შესახებ.

ციური გვენეტაძე

შუმერული პოეზია, როგორც ტროპის უძველესი ნიმუში

ტროპების შესწავლას საფუძველი ანტიკურ საბერძნეთში ჩაეყარა. მათ შეისწავლიდა მეცნიერება, რომელსაც ერქვა რიტორიკა. ტროპთაგან უმნიშვნელოვანესი არის მეტაფორა. ტერმინი არისტოტელეს მიერაა დამკვიდრებული და ნიშნავს გადატანას.

მეტაფორა უხსოვარი დროიდან არსებობდა. იგი, როგორც ტროპი, ანტიკურობიდან მოყოლებული, ყველა ხელოვანისა და მკვლევრის მიერ მიჩნეულია მხატვრული ტექსტის ძირითად საზომად.

კაცობრიობის პირველი პოეზიისა და მხატვრული სიტყვის (რომელსაც ავტორი ჰყავს), შემქმნელი არის ენხედუანა, სარგონ აქადელის შვილი და მთვარის ტაძრის უზენაესი ქურუმი, რომელსაც დღესდღეობით მსოფლიოს მეცნიერები „ძველი აღმოსავლეთის შექსპირს“ უწოდებენ. მისი ავტორობით,

ჩვენამდე მოღწეულია სამი პოემა ინანასადმი, სამი პოემა ნანანასადმი და ტაძრის 42 ჰიმნი. ეხედუანას პოეზია დაწერილია შუბერულ ენაზე და შექმნილია ძვ. წ. XXIV-XXIII საუკუნეებში.

ნაშრომის მიზანია, ამჯერად განვიხილოთ ის ტროპები, რომლებიც ინანას ჰიმნებშია წარმოდგენილი, განსაკუთრებით ყურადღებას გავამახვილებთ მეტაფორაზე. „სიტყვა – ყოფიერების შემოქმედება – ჩვენში განაგრძობს ცხოვრებას, როგორც მეტაფორა“, შესაბამისად, მისი ფუნქცია განუზომლად დიდი და სიღრმისეულია.

დასკვნის სახით, მოგახსენებთ, რომ მეტაფორა, შეიძლება გახდეს უძველესი შუამდინარული ამროვნების შემეცნების ერთ-ერთი გასაღები. ესაა ადამიანის თვალთ დანახული სამყაროს წესრიგი - კოსმოსი, რომელიც ამ კოსმოსს თავისივე თავში ატარებს. პოეტს, რომელიც ამავდროულად უზენაესი ქურუმიცაა, შინაგანი განცდა მეტაფორად გადმოაქვს გარეთ, სიტყვის მეშვეობით და სწორედ ამ აქტით თავად ხდება შემოქმედი.

ნინო გიორგაძე

ფერნანდო პესოა და მისი ჰეტერონიმები

პოეტი ფერნანდო პესოა იყო მამოძრავებელი ძალა პორტუგალიური მოდერნიზმის ჩამოყალიბებისა ლიტერატურის სფეროში. იგი, ასევე, თავისი ქვეყნისა და ეპოქის გამოჩენილი წარმომადგენელი გახლდათ, რომელიც მოდერნისტულ იდეებს იცავდა ისეთ ქვეყანაში, რომელშიც 1926 წელს მკვეთრად ღვიოდა ანტონიუ დი სალაზარის ფაშისტური რეჟიმი.

პესოა, როგორც ლიტერატურული ფენომენი, არაერთი მკვლევრის ყურადღებას იპყრობს. აღნიშნულის მიზეზს მისი ჰეტერონიმები წარმოადგენენ.

როგორც ცნობილია, პესოას შემოქმედების დიდი ნაწილი და, რაც მთავარია, ლირიკა, დაწერილია ჰეტერონიმთა სახელით — გამოგონილ

ავტორთა მიერ, რომლებსაც მწერალმა, მეტ-ნაკლები წარმატებით, შეუქმნა ინდივიდუალური ბიოგრაფია და პოეტური ბედი.

ჩვენს ნაშრომში განხილულია მოდერნიზმის ეპოქის ძირითადი მახასიათებლები, თუ როგორ გამოვლინდა აღნიშნული მიმდინარეობა პორტუგალიურ ლიტერატურაში და რა როლი შეასრულა ფერნანდო პესლამ მოდერნიზმის განვითარებაში.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჰეტერონიმის მოვლენას მწერლის შემოქმედებაში, მისი სამი მთავარი ლიტერატურული პერსონის ბიოგრაფიასა და მათი ლიტერატურული მოღვაწეობის ანალიზს. აგრეთვე, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფსევდონიმებისა და ალტერ ეგოების, ე. წ. ნახევარჰეტერონიმების განხილვას.

ასევე, მიმოხილულია ფერნანდო პესლას პირადი წერილები, რომლებშიც იგი საუბრობს თითოეული ჰეტერონიმის შექმნის მიზეზზე და დაწვრილებით აღწერს ახალი ლიტერატურული პერსონის დაბადების პროცესს.

დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ ჰეტერონიმის მოვლენა პესლას შემოქმედებაში უნდა განვიხილოთ არა ფსიქიკურ ჭრილში, როგორც ამას მისი ცხოვრების თითქმის ყველა მკვლევარი მიიჩნევს, არამედ როგორც გარკვეული ხერხი და საშუალება მწირი პორტუგალიური ლიტერატურის გამდიდრებისა.

მაგდა გორგილაძე

რა ინფორმაციის მომცველია ნეკრესის წარწერები?

ნეკრესის წარწერები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პალეოგრაფიული ნიმუშებია, რომლებიც ყურადღებას იქცევენ, როგორც საკუთრივ პალეოგრაფიაში, ასევე არქეოლოგიასა და ისტორიაში. მას აქტიური კავშირი აქვს ეპოქის კულტურულ-ეკონომიკურ თუ რელიგიურ მახასიათებლებთან, ამიტომ მათ შინაარსს მნიშვნელოვან საკითხებთან მივყავართ.

როგორც ჩანს, ნეკრესი იყო ცეცხლთაყვანისმცემლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა. დღეს გათხრილი ტერიტორიებიდან, „მარნის“ ტერიტორიაზე ვხვდებით მამდენაურ სამლოცველოს, ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ, წარმართული სამლოცველოები ქრისტიანულ ეკლესიებად გადაკეთდა. ჩანს, რომ ნეკრესის ტერიტორიაზეც მოხდა ორი დიდი რელიგიის შეჯახება – მთავარი მამდენაური ტაძრის ადგილს იკავებს ქრისტიანული ეკლესია, რომლის აშენებაც მიეწერება თრდატ მეფეს 370-380 წლებში.

ნეკრესის წარწერები აღმოაჩინა და შეისწავლა ლევან ჭილაშვილმა. მისი შესწავლის კვალდაკვალ, მოხსენებაში შევეცდებით ვაჩვენოთ წარწერების ის პალეოგრაფიული მახასიათებლები თუ შინაარსობრივი მნიშვნელობა, რითაც შეიძლება გამოვარჩიოთ და გამოვკვეთოთ ნეკრესის წარწერები, დღემდე არსებული სხვა ქართული წარწერებისაგან.

ეკატერინე გურგენიძე

ნოდარ დუმბაძის რამდენიმე მოთხრობის სათაურის გააზრებისათვის

ნოდარ დუმბაძე უახლესი ქართული მწერლობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელია. იგი სამწერლობო ასპარეზზე გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან გამოვიდა. ამ პერიოდიდან მოყოლებული მწერალი საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა, რაც არ არის შემთხვევითი, ვინაიდან ნოდარ დუმბაძის შემოქმედების გამორჩეულობა იმთავითვე იყო შესამჩნევი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი მრავალმხრივი მწერალია - ავტორია მოთხრობებისა და რომანების, ლექსებისა და მინიატურების. ნოდარ დუმბაძემ ქართულ მწერლობას არაერთი მნიშვნელოვანი, გამორჩეული და საინტერესო ლიტერატურული ნამუშევარი შესძინა.

ნოდარ დუმბაძის მოღვაწეობის დროს, ქართული ლიტერატურისა და კულტურის განვითარებისათვის ბრუნავდნენ სხვა უმნიშვნელოვანესი მწერლები და დრამატურგები. ნოდარ დუმბაძის თანამოკალმეები არიან: რეზო ჭეიშვილი, შოთა ნიშნიანიძე, მუხრან მაჭავარიანი და სხვები. ეს პერიოდი ქართული მწერლობის ისტორიაში მართლაც ნაყოფიერი იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში შესამჩნევია ერთგვარი ტენდენცია - ეს არის კონტრასტული გრძნობების - სიცილისა და ტირილის, მწუხარებისა და ბედნიერების თანაარსებობა. მის შემოქმედებაში ხშირად ვხვდებით ნოდარ დუმბაძისეულ იუმორს, რომლის უკანაც ხშირად ცხოვრებისეული სევდა იმალება. ცნობილია ნოდარ დუმბაძის სიტყვები, რომელსაც იგი გურამ ასათიანთან პირად საუბარში ამბობს - „მე თავისუფლება მინდოდა და სიცილი ამისათვის ავირჩიეო“. სწორედ ეს სიტყვები განსაზღვრავს მწერლის შემოქმედების მთავარ ხასიათს - მისთვის სიცილი თავისუფლებასთან ასოცირდებოდა.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედება არაერთხელ მოქცეულა სხვადასხვა მეცნიერის ინტერესის სფეროში. დაწერილა არაერთი მნიშვნელოვანი კვლევა, სადაც ნოდარ დუმბაძის შემოქმედება სხვადასხვა კუთხითაა განხილული და შეფასებული, მაგრამ სათანადოდ არაა შესწავლილი მოთხრობების სათაურების თავისებურება. სწორედ ამასთან დაკავშირებით ვიმსჯელებთ აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში და განვიხილავთ ნოდარ დუმბაძის რამდენიმე მოთხრობის სათაურის სპეციფიკას და მიმართებას ფაბულასა და სიუჟეტთან. მოთხრობების შინაარსის გათვალისწინებით, განვიხილავთ სათაურის შერჩევის მოტივებსა და მიზნებს, რაც ერთ-ერთი მთავარი ასპექტია ლიტერატურული ნიმუშების გააზრებისათვის.

სალთმე გურული

არჩიხალდ მეკეშიდან არჩილ მაცაშვილამდე

გრიგოლ რობაქიძე XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობის გამორჩეული წარმომადგენელია. იგი ერთ-ერთი პირველი იყო ჩვენში, რომელმაც ახალი ლიტერატურული ტენდენციების დამკვიდრებას შეუწყო ხელი. შეიძლება ითქვას, რომ მის შემოქმედებაში მთელი სიცხადით წარმოჩინდა ავანგარდულ-მოდერნისტული სახეები, სამყაროს სიმბოლისტური აღქმა.

სიმბოლისტები იმთავითვე თვლიდნენ, რომ სამყარო იყო ის, რაც ინტუიტიურად მისცემდა ადამიანს საშუალებას, ჩასწვდომოდა და მიახლოებოდა მიღმიერს, დაფარულს. ამ თვალსაზრისით, გრ. რობაქიძის რომანი „გველის პერანგი“ სიმბოლისტური პროზის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია. რომანი 1925 წელს დაიწერა გერმანიაში ქართულ ენაზე, გამოქვეყნდა 1926 წელს. გერმანულ თარგმანს, რომელიც თავად ავტორმა შეასრულა, უძღვის შტეფან ცვაიგის წინასიტყვაობა, რომელშიც მწერალი მაღალ შეფასებას აძლევს რომანს. ზოგადად, იმ პერიოდის გერმანული პრესა „გველის პერანგს“ ქართველი პოეტის დიდ გამარჯვებას უწოდებდა.

ამგვარ შეფასებათა პარალელურად ჩვენთვის საინტერესოა ქართული სალიტერატურო კრიტიკის აზრიც. ცნობილია, რომ ქართული კრიტიკა რომანს თავდაპირველად გულგრილად შეხვდა, მას დიდი გამოხმაურება არ ჰქონია. თუმცა 1934 წელს გამოიცა გრ. მუშიშვილის წიგნი „გველის პერანგოსანი“, რომელშიც საკმაოდ უარყოფითადაა შეფასებული არა იმდენად რომანი, რამდენადაც ავტორი.

გრ. რობაქიძემ „გველის პერანგში“ წინ წამოსწია რასის პრობლემა - ეროვნული ფესვების ძიებისა და განახლების წყურვილი. ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი არჩიხალდ მეკეშია, რომელიც ოთხი წლისა მოხვდა უცხოეთში და არაფერი იცის საკუთარი წარსულის, წინაპრების შესახებ. იგი მეტად რთულ და მტკივნეულ გზას გადის, რათა დაუბრუნდეს საკუთარ მიწას, თავის საწყისს,

მამას. ამ გზას - არჩიხალდ მეკეშიდან არჩილ მაცაშვილამდე - ავტორი უამრავი სახე-სიმბოლოთი ტვირთავს, რაც კიდევ ერთხელ გვაგრძნობინებს, რომ რომანი ქართული გენის, ქართული რასის არსსა და მნიშვნელობას განსაზღვრავს.

ელიზა გუჯაბიძე.

ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მცირე პლასტიკის ნიმუშები აქადური სარიტუალო ტექსტების მიხედვით

საკონფერენციო თემა შეეხება ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიაზე გამოვლენილ მცირე პლასტიკის ნიმუშებსა და აქადურ სარიტუალო ტექსტებს. ეს უკანასკნელი განკუთვნილი იყო სახლის მშენებლობისთვის და მის ბოროტისაგან განსაწმენდად. სარიტუალო ტექსტებს საფუძვლად უდევს თარგმანი ქართულ ენაზე, რომელიც მიმდინარე წელს ვთარგმნეთ პროფ. ფრანს ვიგერმანის მიერ 1992 წელს გამოქვეყნებული აქადური სარიტუალო ტექსტის - *Sép lemutti ina bit améli parâsu* (აქად. ავადმყოფობისა და ჭირის განდევნა) ტრანსლიტერაციის მიხედვით. ტექსტი საკმაოდ ვრცელია და შედგება 355 სტრიქონისგან, ჩაწერილია ძვ. წ 750 წელს.

აქადური რიტუალების თარგმანზე მუშაობის დროს გამოვლინდა ტექსტის ის უცნობი ნაწილი, რომელიც გახლდათ ინსტრუქცია და მოწოდება მცირე პლასტიკის ნიმუშთა დასამზადებლად. რიტუალში დეტალურადაა განხილული ფიგურათა იკონოგრაფიული ნიშნები და დასამზადებლად გამოსაყენებელი სხვადასხვა მასალა, რომელთაც შემდგომ საძირკველში მარხავდნენ. აღნიშნული რიტუალები ტარდებოდა რწმენის პედანტური სიზუსტის დაცვის პირობებში, რაც თავის მხრივ, მიგვანიშნებს ტერაკოტიული ნიმუშების არსებობას ტექსტის გარშემო, რომელთაც უნდა ჰქონოდა დამოუკიდებელი იკონოგრაფიული ნიშნები. შესაბამისად, მოვიძიეთ ახლო აღმოსავლეთში სხვადასხვა დროს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლენილი მცირე პლასტიკის

ნიმუშები, რომელთაგანაც ცალკეული ჯგუფი განვაზოგადეთ და მოვახდინეთ მათი კლასიფიკაცია ტექსტში დაცული იკონოგრაფიისა და ადგილმდებარეობის მიხედვით.

ჩემი მოხსენების მიზანია წარმოვადგინო რიტუალის გარკვეული ნაწილის აქადურ - ქართული თარგმანი, სადაც განხილულია მცირე პლასტიკის ნიმუშთა დამზადების ინსტრუქცია და იკონოგრაფიული ნიშნები. ნაშრომს დართული აქვს არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლენილი ფიგურათა ნიმუშები.

ეკა დავაძე

ასაკის აღმნიშვნელი ლექსიკა ინგლისურ და ქართულ ენებში

მოხსენების მიზანია, შევისწავლოთ ასაკის აღმნიშვნელი ტერმინები ინგლისურ და ქართულ ენებში. კვლევა მოიცავს ამ სიტყვების დენოტაციურ და კონოტაციურ მნიშვნელობებს და ავლენს მსგავსება-განსხვავებებს მოცემული ორი ენის ლექსიკური ერთეულების შედარების გზით. ამ მიზნით, მოხსენებაში განხილულია, როგორც ასაკის აღმნიშვნელი სიტყვები, ასევე იდიომატური გამონათქვამები, ანდაზები და ფრაზეოლოგიზმები. კვლევის პროცესში გამოვიყენეთ შემდეგი ლექსიკონები: “Oxford English dictionary”, Samuel Jhonson’s “A dictionary of the English language”, “Slangs and colloquial idioms in American prose” by Givi Zviadadze, Merriam Webster’s Dictionary, “Collins Dictionary”, ასევე სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის“ I ტომი, თედო სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, არნოლდ ჩიქობავას „ქართული ენის დიდი განმარტებითი ლექსიკონი“, თინათინ მარგალიტაძის „დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ- ლექსიკონი“.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, თუ რამდენად დიდი ხნის ისტორია აქვს ასაკის აღმნიშვნელ ტერმინებს, როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენებში, ზოგიერთი სიტყვა ჯერ კიდევ ძველი ინგლისურიდან და ძველი ქართულიდან იღებს სათავეს. კვლევის პროცესში, დავაკვირდით, თუ როგორ იცვლის ფორმასა და მნიშვნელობას ასაკის აღმნიშვნელი სიტყვები თანამედროვე ინგლისურში.

ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ქართულში ბევრია ასაკის აღმნიშვნელი უარყოფითი კონოტაციის მქონე სიტყვა, ხოლო ინგლისურ ლექსიკაზე დაკვირვებისას შეიმჩნევა თითქმის თანაბარი რაოდენობა, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კონოტაციის მქონე სიტყვებისა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ერთი და იგივე სიტყვა, სხვადასხვა მნიშვნელობას გამოხატავს, სხვადასხვა კონტექსტში, ხოლო სიტყვათა კომბინაციისას სრულიად იცვლება მათი მნიშვნელობა. რაც შეეხება ასაკთან დაკავშირებულ იდიომებს, აქ ინგლისური და ქართული ენები არაერთ მსგავსებას ავლენს.

ანი დათუნაშვილი

გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“ – სიმბოლურ-მითოსური რეპრეზენტაციები

„სიმბოლიზმი ჩვენში შემოიტანა გრიგოლ რობაქიძემ. ბატონ რობაქიძეზე არ გამართლდა საერთო დებულება, რომ ყოველ ნოვატორს წინ ეღობება გაუგებრობის გალავანი. იმას არაფრად დასჯდომია ძველ ღირებულებათა გადაფასების კადნიერება, ახალ ძიებათა ფეირვერკების გასროლა” – წერდა ტიცინი ტაბიძე.

გრიგოლ რობაქიძე ხშირად აღნიშნავდა: ვისაც „სიმბოლო“ და

„მიტოსი” არ ესმის, ის ჩემს შემოქმედებას ვერ გაიგებს. „გველის პერანგში” მნიშვნელოვანია სიმბოლოსა და მიტოსის რამდენიმე მიმართულებით განხილვა:

- სიმბოლო და სიმბოლიზმი;
- გველის სიმბოლური სახე ქართულ მითოლოგიაში;
- „გველის პერანგი” და „ვეფხისტყაოსანი”, არჩიბალდი - მატასი და ტარიელი - ნესტანი;
- „გველის პერანგი” და ფრიდრიხ ნიცშე, ნიცშეანური თვალთახედვით დანახული - დიონისური და აპოლონური საწყისები;
- სისხლის ცნება;
- ცეკვა, როგორც ქართული ეროვნული თვითმყოფადობის განსახიერება;
- „ვნეზული დიონისოს ქართული ნილაბი” ;
- „გველის პერანგის” კავშირი სოფოკლეს ტრაგედიასთან - „ოიდიპოს მეფე”;
- მატასის სახის გააზრება;
- „გველის პერანგი” - გველის კანის ცვლა;
- რომანის წანამძღვარი: „ჩემი ძმა არყოფილი, ვითარ მიყვარდის უმეტეს მზისა და უმეტეს ხმალისა რამეთუ იყო იგი სხვა ჩემი” - მისი არსი, დანიშნულება.

ამრიგად, კავშირი ანტიკურ ეპოქასთან, ფილოსოფიასთან, სიმბოლიზმსა და მითოლოგიასთან, მნიშვნელოვან კავშირებს ქმნის. მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებთ: გრიგოლ რობაქიძისეულ გაგებაზე ეროვნულ თვითმყოფადობასთან დაკავშირებით, ასევე მეტამორფოზასა და დაბრუნების მისტიფიკაციაზე.

ანინა დამენია

კოლხური ამფორები და მისი ეკონომიკური მნიშვნელობა

კოლხეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა ნაკეთობებისა და პროდუქტების, მათ შორის ამფორების შემოტანამ, განაპირობა ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევრიდან გვიან-ანტიკურ-ადრეშუასაუკუნეებამდე მათი ადგილობრივად დამზადება. კოლხური ამფორები მზადდებოდა არაერთ ადგილას და იყო არაერთგვაროვანი. კოლხური ამფორები აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლებზე: განთიადი, წებელდა, გუდავა, ურეკი, ნოქალაქევი, ვარდციხე და სხვა ძეგლებზე.

კოლხური ამფორები ხასიათდება წაგრძელებული წელშემზნეტილი ფორმით, ბოლოვდება კონუსისებური ქუსლით და მოყავისფროდ ააგამომწვარი.

მოცემული ტიპის ამფორები მრავლად არის აღმოჩენილი საქართველოს ფარგლებს გარეთ: ქერსონესში (სადაც ისინი მოპოვებული ამფორების საერთო რაოდენობის ნახევარს წარმოადგენს), ტირიტაკეში, მირმეკიონში, ისტრეში, ვარნასა და სხვა. სამხრეთ შავიზღვისპირეთშიც, სინოპთან (დემირსში) აღმოჩნდა წელშემზნეტილი კონუსისებური ძირიანი ამფორები.

კოლხური წელშემზნეტილი ამფორები წარმოადგენს დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელ, ზოგადად სითხისათვის (ღვინისა და ზეთის) განკუთვნილ ჭურჭელს. ცნობილია, წელშემზნეტილი ამფორების ნავთობის გადასაზიდ ჭურჭლად გამოყენების შემთხვევაც.

“ნატეხების” ნამოსახლარზე, პალიასტომის ტბის მცირე ყურეში, ამფორის ქვედა ნაწილზე, ფსკერზე დადასტურდა ბიტუმისებური მოშავო ფერის ნალექი მასა. მისი ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული ნალექი შეიცავს ნავთობპროდუქტის ნახევრად მყარ ასფლატ-ფისოვან ნარჩენებს. ფისისებრი მასა არის აგრეთვე გამოვლენილი სხვა ძეგლებზე

აღმოჩენილ კოლხურ ამფორებზეც.

აქედან გამომდინარე, შესაძლოა სხვა სავაჭრო პროდუქციას დაემატოს არქეოლოგიურად დადასტურებული ნავთობიც, რომლის ტრანსპორტირება ხდებოდა ამფორებით.

ელიზა ევაძე

აკა მორჩილაძის „ქართულის რვეულები-XIX საუკუნის სურათები“ - ვაჟა-ფშაველა

ვაჟა-ფშაველა ბუმბერაზი ქართველი პოეტია. მისი ღვაწლი ფასდაუდებელია ქართული ლიტერატურისთვის. „ძნელია წარმოდგინო ბუმბერაზი ღმერთი, რომელიც სათიბიდან შინ მიემართება დაღლილი, გზად წყაროსთან შეისვენებს, დაღევს, გახურებულ შუბლზეც შეისხამს, მერე თავისი პატარა სახლის ერდოზე ჩამოისვენებს, ნახევრად ბნელ ქოხში, პაწია მაგიდასთან წაიხემსებს, დაჯდება და საოცრებების წერას დაიწყებს“. „ბუმბერაზი ღმერთი“ - ეს ეპითეტი სავსებით სწორად მიემართება ვაჟა-ფშაველას. იგი დღემდე აქტუალურია ჩვენი საზოგადოებრივი აზრისთვის. მთელ მის შემოქმედებაში იგრძნობა სიყვარული თავისი სამშობლოს, ერის, თავისუფლებისა და ბუნებისადმი. პოეტური ოსტატობით აცოცხლებს ბუნების საგნებსა და მოვლენებს, რომლებსაც უნარჩუნებს პირველქმნილ სიხალასეს. „ადვილ ნუ იტყვით ვაჟკაცზე, არა ვარგაო იმასა“ - თქვა ვაჟა ფშაველამ, თავად ხომ ზნეობრივად მაღალი, ღირსეული ვაჟკაცი და ჭეშმარიტად “კაი ყმა” იყო.

თანამედროვე ქართული პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი აკა მორჩილაძე (გიო ახვლედიანი) საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს ვაჟა ფშაველაზე თავის წიგნში „ქართულის რვეულები - XIX საუკუნის სურათები“. პოსტმოდერნისტი ავტორი, თანამედროვე ქართველ მკითხველს

აცნობს ქართველი გენიოსი მწერლის მტკიცე, უტყუარ და ძლიერ პიროვნებას. თანამედროვეობის ჭრილში აფასებს დიდი ვაჟას ღვთიურ, უშიშარ და ჰუმანურ პიროვნებას. სამეცნიერო მოხსენებაში კი სწორედ იმ თავისებურებებზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომელთა მეშვეობით ქართველი ერის უდიდესი საზოგადო მოღვაწე, მთის არწივად წოდებული ვაჟა-ფშაველა გამოირჩეოდა თანამედროვეთაგან. შეუძლებელია არ დაეთანხმო ილია ჭავჭავაძის სიტყვებს ვაჟა-ფშაველაზე, რომ „რუსთველის შემდეგ ჩვენ ასეთი ნიჭიერი პოეტი არა გვყოლია“.

ცისანა ზაქაშვილი

თამარ და აკაკი პაპავეების რომანი „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი“- ტექსტი და სცენური განხორციელება

ქართველი ერის დიდ მოაზროვნეს, არჩილ ჯორჯაძეს წაუკითხავს თუ არა 23 წლის ახალგაზრდა ავტორის „ფიქრები სამშობლო ლიტერატურაზე“ და „რკალები“, მყისვე ურჩევია მისთვის ამ გზით სიარული, რადგან ამით იგი ქართულ კულტურას გაამდიდრებდა - საუბარია XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობის ერთ-ერთ უდიდეს წარმომადგენელზე, აკაკი პაპავეაზე, რომელიც ემიგრაციაში წასვლამდე აქტიურად იყო ჩართული ლიტერატურულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ღვაწლიც, რომელიც მას მიუძღვის ქართული თეატრის წინაშე - „სწერს თეატრის „ახალ გზებზე“, აკაკი ფაღავასა და ალექსანდრე ახმეტელს გადასცა პიესები „საიდუმლოება“ და „ნანგრევებზე“ (გ. ლასხიშვილი).

მწერალთა კავშირის მეორე თავმჯდომარისა და მოგვიანებით, მწერალთა კავშირის განყოფილების ხელმძღვანელის პოსტზე მუშაობის შემდეგ, ძალიან მალე, აკაკი პაპავეამ სამშობლო დატოვა. 1923 წლის 23 მაისს კი მეუღლე, თამარ პაპავეაც შეუერთდა ორ ქალიშვილთან ერთად. ამის შემდეგ, დაიწყო უცხოეთში

აკაკი და თამარ პაპაშვილის ხანგრძლივი ერთობლივი ლიტერატურული და მეცნიერული საქმიანობა. სწორედ ამ საქმიანობის ნაწილია, 1956 წელს ბუნოს აირესში მათი ერთობლივი რომანი „მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი“, რომლის გმირი ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის მეორე ცოლი, მარიამ ციციშვილია. რომანი რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას და მისგან თავის დაღწევის მამაცურ და უაღრესად პატივსაცემ მცდელობას აღგვიწერს. მიმდინარე წლის 18-19 მაისს რობერტ სტურუას ინიციატივით და გოჩა კაპანაძის რეჟისორობით დაიდგა სპექტაკლი, რომელიც სწორედ ამ რომანისა და საარქივო მასალების მიხედვითაა დადგმული. სპექტაკლში „უკანასკნელი დედოფალი“, ყველა როლს ქალები თამაშობენ. უშუალოდ მარიამ ციციშვილის როლს კი მარინა კახიანი ასრულებს. წინამდებარე ნაშრომი სწორედ რომანისა და ამ რომანის სცენური გახორციელების ურთიერთმიმართების საკითხს ეძღვნება.

მარიამ იმედაშვილი

თანამედროვეობის პრობლემები ქართულ საბავშვო ლიტერატურაში (თეა თოფურიას მოთხრობების მიხედვით)

2014 წელს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ დაბეჭდა ახალგაზრდა მწერლისა და ჟურნალისტის თეა თოფურიას – „ერთი გრძელი დღე სხვა პლანეტაზე“. ერთი შეხედვით მარტივად გასაგებ საბავშვო წიგნში, 21-ე საუკუნის პრობლემებიცაა ჩამალული. პატარა მკითხველები, ამ წიგნის წაკითხვისას სხვა პლანეტაზე მოხვდებიან, მთავარ გმირებთან, გრინკოსთან და პიასთან ერთად უამრავ თავგადასავალს გაივლიან და სხვა გმირებსაც გაიცნობენ, მათ ბევრი გასაჭირი შეხვდებათ, მათი მთავარი მიზანი კი დედამიწაზე დაბრუნება გახდება. კითხვის პროცესი კიდევ უფრო საინტერესო იმით ხდება, რომ არ იცის მკითხველმა, შეძლებენ თუ არა ბავშვები სახლში დაბრუნებას. ამ სიუჟეტის

მიმდინარეობისას, ბავშვები მარტივ ენაზე იგებენ ემიგრაციისა და გარემოს დაზიანების პრობლემებს. ამ საკითხებზე თეა თოფურია მთავარ გმირებს ამტყვევლებს და ბავშვებისთვის უფრო გასაგებს ხდის. მოხენებაში ჩავრთავ ჩემს კვლევას, გავესაუბრები იმ ბავშვებს, რომლებმაც ეს წიგნი წაიკითხეს და სწორედ ამის მიხედვით ვიმსჯელებ, რამდენად გასაგები იყო საბავშვო წიგნებში შემოტანილი პრობლემები და როგორ დაინახეს ბავშვებმა ისინი.

2015 წლის 13 ივნისს მდინარე ვერე ადიდდა, წყალდიდობამ კი 19 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, იდენტიფიცირებულია 17 ადამიანი. სტიქიამ თითქმის მთლიანად განადგურა თბილისის ზოოპარკი, ცხოველების დიდი ნაწილი წყალდიდობას ემსხვერპლა, გარკვეულმა ნაწილმა კი ვოლიერებს თავი დააღწია და ქალაქში გაიქცა. 2019 წელს ქართულმა გამოცემამ დაბეჭდა თეა თოფურიას – „წყალდიდობა ზოოპარკში“, რომელიც გერმანულ ენაზეც ითარგმნა.

წიგნი სწორედ 13 ივნისის სტიქიას უკავშირდება. თეა თოფურიამ ამ წიგნშიც შეძლო პატარებამდე პრობლემა მარტივი სიტყვებითა და სიუჟეტით მიეტანა. აქ ვხვდებით ილუსტრაციებსა და მხიარულ ტექსტებს.

სალთმე კირვალიძე

მარიამ კვინიკაძე

ვერტული განმანათლებლობის ძირითადი ტენდენციები

განმანათლებლობა, XVII-XVIII საუკუნეებში ევროპაში არსებული აბრთვებითი, კულტურული, ფილოსოფიური, საზოგადოებრივი და ლიტერატურული პროცესების ერთობლიობაა, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს თანამედროვე ევროპის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ხასიათს. განმანათლებლობა, შეიძლება ითქვას, რომ სრულიად ახალი სამყაროს საწყისია. სამყაროსი, სადაც ადამიანის გონებას აქვს ფუნქცია, რომ მან უნდა იმოქმედოს. განმანათლებლობის მნიშვნელობა ფასდაუდებელია.

და მაინც, რას არის განმანათლებლობა? რა ღირებულებები აქვს მას თანამედროვე ეპოქაში? ისმის კითხვა და არსებობს უამრავი პასუხი. ყველა ადამიანი სხვადასხვაგვარად აღიქვამს მას, თუმცა საბოლოოდ მაინც

მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ განმანათლებლობა არის, როგორც ამას კანტი ამბობს, „ადამიანის გამოსვლა უმწიფრობიდან, რომელიც მისივე ბრალია“. ჩნდება კითხვა: რატომ არის უმწიფრობა ადამიანის ბრალი? რადგან, მას არ სურს თავისუფლება, რადგან თვლის, რომ ამისთვის მზად არაა. მისთვის თავისუფლება დიდი პასუხისმგებლობაა და სანამ ადამიანი არ გახდება თავისუფალი, მანამდე მისგან განმანათლებლობა შორს იქნება, რადგან მისთვის, თავისუფლებაა საჭირო. უმწიფრობა არის უუნარობა, საკუთარი განსჯა სხვისი ხელმძღვანელობის გარეშე მოიხმარო. განმანათლებლობა ნებისმიერი ადამიანისათვის მნიშვნელოვანია, საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა შეხედულება და ხალხიც ცდილობდა საკუთარი გონების გამოყენებას, თუმცა ბოლომდე თავისუფლები მაინც არ იყვნენ. მათში შიში მეტი იყო, ვიდრე თავისუფლების წყურვილი. განმანათლებლობამ ადამიანებს ხელი შეუწყო, რომ ისინი შემდგარიყვნენ საზოგადოებად, ეს კი საკმაოდ დიდი წინსვლაა თავისუფლების მიერ შეშინებული ხალხის მხრიდან. საზოგადოებაში, რომელიც განმანათლებლობის მეშვეობით ჩამოყალიბდა, გაჩნდა კულტურა და განვითარებისაკენ სწრაფვა.

აღსანიშნავია, რომ განმანათლებლობის მიმდევრებს საქართველოშიც ვხვდებით. ვინ არიან ქართველი განმანათლებლები? განმანათლებლების იდეების გავრცელებას საქართველოში ხელს უწყობდა მეფე ერეკლე მეორე, რომელმაც იცოდა განათლებული ევროპის სარგებელი. მის დროს მეცნიერებამ და ხელოვნებამ აყვავება დაიწყო, დაიბეჭდა სხვადასხვა წიგნი, გაიხსნა ფილოსოფიური და თელავის სემინარია, ითარგმნებოდა უცხოური პრესა. ასევე აღსანიშნავია, ალექსანდრე ამილახვარი, რომელსაც ეკუთვნის ნაწარმოები „ბრძენი აღმოსავლეთისა“, რომელიც დაწერილია ფრანგი განმანათლებლის მონტესკიეს იდეებზე. „სახელმწიფო უნდა მართოს ღირსეულმა მეფემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი უნდა გადააყენოს ხალხმა“ - წერდა ამილახვარი. საგულისხმოა, ანტონ კათალიკოსის ენციკლოპედიური ხასიათის თხზულება „სპეკალი“, რომელშიც აღწერილი იყო, არისტოტელეს, პლატონის და სხვ.

ამ ყველაფრის ფონზე, საინტერესოა, თუ რა შედეგი მოიტანა განმანათლებლობამ, როგორც რთულმა, მაგრამ მიღწევადმა პროცესმა. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამაღლდა ცოდნის დონე, ჩამოყალიბდა ახალი თეორიული შეხედულებები, განმანათლებლებმა გადატრიალება მოახდინეს არა მხოლოდ ლიტერატურაში, არამედ აზროვნებაში. ამ პროცესმა ხელი შეუწყო ევროპის ეკონომიკის განვითარებას და რაც მთავარია, განმანათლებლობამ შეცვალა საზოგადოება.

იანა კობახიძე

მარკუს ავრელიუსი, რთვობა პაციფისტი

ადამიანის ცხოვრება შედგება მრავალი მოულოდნელობისა და თავისებურებებისგან. ხშირად ხდება, რომ ადამიანს იმის გაკეთება უწევს, რაც მისი პიროვნული ხასიათისაგან სრულიად განსხვავდება. ყოველივე ეს მძაფრად აღიქმება, როდესაც ეს უკანასკნელი სახელმწიფო ცხოვრების მაჯისცემას განსაზღვრავს. ზემოთ თქმული, კარგად ესადაგება დიდი რომაელი მოაზროვნისა და იმპერატორის - მარკუს ავრელიუსის პოლიტიკურ მსოფლმხედველობას. ნაშრომში განვიხილავთ მარკუს ავრელიუსის პოლიტიკური მრწამსის თავისებურებებს. რა უქმნიდა მოაზროვნე იმპერატორს რწმენას „რომაული მშვიდობისა“. შევეცდებით, ავხსნათ მიზანისა და მიზანმიმართული მიდამოებისა შინაგანი ეგზისტენციალიზმისა. როგორ ცდილობს ბრძენი იმპერატორი, მოიხვედითი მშვიდობის მიღმა ეძიოს ჭეშმარიტი სულიერი გარდასახვა. ნაშრომში შევეცდებით, ავხსნათ მარკუს ავრელიუსის დამოკიდებულება ომისა და მშვიდობის მიმართ; განვიხილავთ, რა უშლიდა ხელს იმპერატორს, უარყო მისთვის არასასურველი ცხოვრების წესი; ავხსნით, რატომ ვერ გაურბოდა იმპერატორი რეალობას.

ალექსანდრე კუბრეიშვილი

რუსული ფორმალისტური სკოლისა და იან მუკარჟოვსკის ესთეტიკის მიმართების საკითხი

მოცემული ნაშრომის მიზანია, იმის ახსნა თუ რატომ ენიჭება გარკვეულ ტექსტებს მხატვრულობა - როგორ ხდება „ლიტერატურულობის“ დადგენა.

გაანალიზებული იქნება ორი მეთოდოლოგიური სკოლა, ფორმალისტური და ჩეხური სტრუქტურალიზმი. განხილულია ფორმალისტების მიერ ჩამოყალიბებული კონცეპტი „გაუცნაურება“, რომელიც პოეტური ენის არსობრივ ნიშან-თვისებას წარმოადგენს. ასევე ნაჩვენებია იქნება, თუ რა პრობლემებამდე მივყავართ ლიტერატურის იმანენტურ განხილვას და როგორ არის დაძლეული ფორმალისტების მეთოდოლოგიური ჩიხი იან მუკარჟოვსკის და ზოგადად პრაღის სკოლის მიერ.

როგორც ვხედავთ, „გაუცნაურება“ ძირითად 4 სფეროზე მოქმედებს/ მუშაობს - წმინდა გრამატიკული (სადაც დეფორმირებული არის სიტყვა, სინტაქსი და ა.შ.), სემანტიკური, თხრობითი და ბოლო „შრე“, რომელზედაც ხდება დეფორმაცია, არის უშუალოდ ლიტერატურული განვითარება, რაც ხშირად გულისხმობს ერთი შეხედვით არაესთეტიკური ფენომენების ესთეტიზაციას. დაკვირვების შედეგად, თამამად შეგვიძლია იმის მტკიცება, რომ ლიტერატურის წმინდა იმანენტური შესწავლა გარკვეულ ჩიხში შედის, ჩნდება მოთხოვნილება, რომ გათვალისწინებული იყოს სოციალური ნორმები, ფაქტები, რომელთა დარღვევა და დეფორმაცია ხდება ხელოვნებაში. ეს ნიუანსი გათვალისწინებული იყო უშუალოდ გვიანდელ ფორმალიზმშიც, თუმცა ამ თეორიასთან დაკავშირებული პრობლემები, უკვე სხვა მეთოდოლოგიურ სკოლაში იქნა გადაჭრილი, კერძოდ, ჩეხურ სტრუქტურალიზმში.

პირველი, რაც უნდა აღინიშნოს, არის ის, რომ ჩეხური სკოლის წარმომადგენლებმა განავითარეს ფორმალისტების მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი დოქტრინები და შეათავსეს ეს ყველაფერი სოსიურის მიერ ჩამოყალიბებულ სტრუქტურალისტურ მეთოდთან. საინტერესოა, ის თუ როგორ გადაჭრეს ამ სკოლის წარმომადგენლებმა ზემოთ აღნიშნული „ჩიხი“. მიუხედავად იმისა, რომ მხატვრული ქმნილება, „არტეფაქტი“ განიხილება, როგორც ჩაკეტილი სისტემა, ის რაც შეიძლება „არტეფაქტად“ ჩაითვალოს, დამოკიდებული არის სოციალურ და ისტორიულ მდგომარეობაზე, იგივე ითქმის ხელოვნების დინამიკაზეც. მუკარ ჟოვსკისთვის მხატვრული ნაწარმოები არის „ზოგად ფონთან დაპირისპირება“, როდესაც იცვლება ეს ფონი, იცვლება საკუთრივ ნაწარმოების შეფასება და ინტერპრეტაცია. არ არსებობს ისეთი ფენომენი, რომელსაც პოტენციაში არ აქვს ესთეტიკური ფუნქცია, უბრალოდ, ეს ფუნქცია დამოკიდებულია იმ სოციალურ ფონზე, რომელშიც ეს ნაწარმოები არის მოქცეული.

თეკლა ლთიკაშვილი
მართა ბექურაძე

საქორწინო წეს-ჩვეულებები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში

ქორწილი უმნიშვნელოვანესი დღეა თითოეული ადამიანის ცხოვრებაში. განსხვავებულია ამ დღის აღნიშვნის წესები სხვადასხვა ერის ადამიანებში. ქართველებს კი, როგორც ერთ-ერთ უძველეს ხალხს, თავისი ხასიათისა და ცხოვრების წესის შესაბამისი საქორწინო რიტუალი, წეს-ჩვეულებები აქვთ. ქორწინების ინსტიტუტების შესწავლის დროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკუთრივ ქორწინების ფორმების დადგენას, ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. ქორწინების ფორმების შესაბამისად, გამოიყოფა ოჯახის ორგანიზაციის ორი ძირითადი სახე: მონოგამია და პოლიგამია. ისტორიულად სხვა ფორმებიც არსებობდა, მაგრამ ეს ორი არის ძირითადი, სხვები მათი ნაირსახეობებია. მონოგამია ეწოდება ისეთ ქორწინებას, როდესაც ერთ მამაკაცს ერთდროულად მხოლოდ ერთი ცოლი შეიძლება ჰყავდეს და ერთ ქალს ერთი ქმარი. პოლიგამია ისეთი ფორმაა, როცა დასაშვებია ერთ ადამიანს ერთდროულად ორი ან მეტი საქორწინო პარტნიორი ჰყავდეს. დროთა განმავლობაში, წეს-ჩვეულებათა უმეტესობა შეიცვალა, ზოგიც ახლებურად იქნა გადააზრებული, თუმცა დღესაც დიდ ყურადღებას იპყრობს ის ორიგინალური საქორწინო წეს-ჩვეულებები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხისთვისაა დამახასიათებელი.

კვლევის მეთოდები: ეთნოგრაფიული კვლევა, დოკუმენტების ანალიზი, ექსპერტთა გამოკითხვა.

მარიამ მამულაშვილი

ამერიკის და ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობების სტრუქტურული ანალიზი კენეთ ლის თელთის ჭრილში

მკვლევართა დიდი ნაწილისთვის, თანამედროვე საერთაშორისო სისტემა, ცივი ომიდან მოყოლებული, არის უნიპოლარული სისტემა, რომლის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჰეგემონს წარმოადგენს ამერიკა. 2017 წლის იანვარიდან, დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მნიშვნელოვნად იცვლება ამერიკის პოლიტიკა. ჯერ კიდევ საინაუგურაციო მოხსენებაში ტრამპი საუბრობდა, რომ ამერიკა უნდა გაჰყოლოდა ორ მარტივ წესს: „იყიდე ამერიკული და დაიქირავე ამერიკელი“, აშშ-ს პრეზიდენტს ეს პოლიტიკა მიაჩნია ამერიკის ძლიერების წინაპირობად და მისი მრავალი გადაწყვეტილება, ემსახურება სწორედ ამ პოლიტიკური ხაზის გატარებას. 2018 წლის მარტში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დააწესა მნიშვნელოვანი შეზღუდვები ჩინურ საქონელზე. 2019 წლის მაისში ტრამპის ადმინისტრაციამ გაზარდა ტარიფები 200 მილიარდის ღირებულების საქონელზე 10 დან 25 პროცენტამდე, ამასთან მომვალში გეგმავს 15 პროცენტის ტარიფების დაწესებას 160 მილიარდის ღირებულების ჩინურ საქონელზე. ზემოთ ანიშნულმა ქმედებებმა, გამოიწვიეს ჩინეთის სარკისებური რეაქცია და ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დაძაბვა, რამაც „სავაჭრო ომის“ სახელი მიიღო.

მოცემული ნაშრომის მთავარი მიზანია, განსაზღვროს რატომ შეცვალა ტრამპმა პოლიტიკა ამერიკის უმთავრესი ეკონომიკური პარტნიორის, ჩინეთის მიმართ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას, გამოვიყენებთ კენეთ ლის სტატიას: „თანამშრომლობის პირობები მსოფლიო პოლიტიკაში“. ნაშრომი მეთოდოლოგიურად განეკუთვნება თვისებრივი კვლევის კატეგორიას, იმისთვის, რომ პასუხი გავცეთ საკვლევ კითხვას, იგი განიხილავს და წარმოადგენს ლის ამ სტატიასთან ერთად, სხვადასხვა მონოგრაფებზე, სტატიებზე, სამთავრობო დოკუმენტებსა და წიგნებზე დაყრდნობით სხვა მეცნიერების და ანალიტიკოსების შეფასებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საკონფერენციო ნაშრომის შესავალში მოცემულია ამერიკის ახალი

ეკონომიკური კურსის განხილვა 2017 წლის იანვრიდან დღემდე, ასევე როგორ აღიქვამს ჩინეთი მას და როგორია მისი პასუხი აღნიშნულ პოლიტიკაზე. ძირითად ნაწილში მოცემულია ანალიზი ზემოთ აღნიშნულ სტატიაში დაფიქსირებული თეორიის ჭრილში. კვლევის შედეგად, ვასკვნით, რომ სტატია სრულიად ხსნის იმ მიზეზებს, თუ რატომ აირჩია ტრამპმა აღნიშნული პოლიტიკა, და აღნიშნული ქეისი წარმოადგენს ამ თეორიის განხორციელების სრულყოფილ მაგალითს.

მიხეილ მარკელია

თურქიზმები რუსულ ენაში

თურქიზმები არის ნასესხები სიტყვები თურქული ენებიდან. თურქიზმებად აგრეთვე შეიძლება ჩავთვალოთ ალთაური ოჯახის ენებიდან ნასესხები, ასევე არაბული და ირანული წარმოშობის სიტყვები, რომლებიც თურქული ენების გავლით მოხვდა ამა თუ იმ ენაში.

თურქული ენებიდან წამოსული და მათი გავლით მოსული სიტყვების რაოდენობა, რუსული ენის ლექსიკაში 30% აღწევს. რუსული ენისთვის თურქიზმების შესწავლა საჭიროა, რათა ვიკვლიოთ რუსულ ენასა და კულტურაში არსებული არაბული და სპარსული ელემენტები.

ქრონოლოგიურად თურქული ნასესხობები შეგვიძლია 5 ნაწილად დავყოთ:

1. თურქიზმები ძველ სლავურ ენაში.
2. წინარე მონღოლური პერიოდის თურქიზმები.
3. ოქროს ურდოს დროინდელი ნასესხობანი.
4. XVI-XVII სს. ნასესხობანი.
5. XVIII-XX სს. ნასესხობანი.

ძველი სლავური ენისა და წინარე მონღოლურ პერიოდში თურქიზმები, ძირითადად, წარმოადგენდნენ საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების დასახელებებს,

ოქროს ურდოს დროინდელი ნასესხობანი კი – სახელმწიფო, ეკონომიკური და სამხედრო მნიშვნელობის სიტყვებს, ხოლო XVI-XVII და XVII-XX სს-ის სიტყვები აღნიშნავენ აღმოსავლურ რეალიებს.

თურქიზმების ფონეტიკური თვისებები გამოირჩევა სინჰარმონიზმით ანუ ერთი და იგივე ხმოვნების განმეორებით. მათთვის დამახასიათებელი დაბოლოებები არის : -aH, -yH, - yH, - ыH, -aH.

რუსულ ენაში თურქიზმების არსებობის ბევრი მიზეზი არსებობს. პირველ რიგში, რუსეთის რეგიონი ციმბირი,კერძოდ, მისი სამხრეთი მხარე, ალთაი არის თურქული მოდგმის სამშობლო. აქედან წამოვიდნენ თურქული ტომები და გავრცელდა თურქული ენები. თურქი ხალხები რაოდენობით მეორენი არიან სლავების შემდეგ. თურქულმა ტომებმა მიიღეს მონაწილეობა რუსი ხალხის ეთნოგენეზში.რუსეთის შემადგენლობაში რესპუბლიკაა,სადაც თურქი ხალხები წარმოადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას. ასევე რუსულ ენაში თურქიზმების გამოჩენაში, დიდი როლი ითამაშა რუსულ-ოსმალურმა ურთიერთობებმა.

გიორგი მაჭათაშვილი

აბრთთის დეკლარაცია ანუ რთმის პაპთან გაგზავნილი ერთი შოტლანდიური წერილის შესახებ

შოტლანდიელი ხალხის ბრძოლა ინგლისის წინააღმდეგ XIII-XIV საუკუნეებში, დამოუკიდებლობისთვის თავგანწირული ბრძოლის ერთ-ერთ შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს, ამდენად გასაკვირი არაა მის მიმართ შემეცნებით-მხატვრული ინტერესიც. ორ სახელმწიფოს შორის მიმდინარე სამხედრო კონფლიქტების სერია, რომელიც თამამად შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ტიპური შუა საუკუნეობრივი ომი, ევროპის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ეპიზოდია. ჩვენ შევეცადეთ ამ მოვლენის შესახებ ერთ კონკრეტულ წყაროზე დაყრდნობით გვემსჯელა.

უპირველესად უნდა ითქვას, რომ ისტორიულ მეცნიერებაში შოტლანდიასა და ინგლისს შორის აღნიშნული დაპირისპირების (ანუ შოტლანდიის დამოუკიდებლობის ბრძოლის) პროცესში ორი ეტაპი გამოიყოფა: I ეტაპი, რომელიც მოიცავს 1296-1328 წლების მონაკვეთს, შოტლანდიაში ინგლისის ლაშქრობით დაიწყო და ბანოკბერნის ცნობილ ბრძოლაში ინგლისელების პირწმინდად დამარცხების შემდეგ, ედინბურგ-ნოთჰემპტონის ხელშეკრულებით დასრულდა. შემდეგად, შოტლანდიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა მეფე რობერტ ბრიუსის დროს. რაც შეეხება ომის II ეტაპს, ის 1332-1357 წლებში მიმდინარეობდა. შედეგი კი გახლდათ ის, რომ ინგლისელთა დაუღალავი მცდელობის მიუხედავად შოტლანდიელებმა დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს რობერტ ბრიუსის შთამომავლის - დევიდ II-ის დროს. მოცემულ მოხსენებაში ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს დამოუკიდებლობის ბრძოლის I პერიოდი, კვლევის საგანს კი ერთი ეპიზოდი, რომელიც, ვფიქრობთ, დიდი მნიშვნელობის მატარებელი გახლდათ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პროცესში.

მართალია, 1314 წელს შოტლანდიელების ჯარმა რობერტ ბრიუსის მეთაურობით სასტიკად დაამარცხა ინგლისელები, თუმცა ინგლისის მეფე ედუარდ II, ჯერ კიდევ არ აღიარებდა შოტლანდიის დამოუკიდებლობას და მეფე რობერტ ბრიუსის უფლებებს მასზე. ამავდროულად, არ წყვეტდა საომარ მოქმედებებს, რაც, ცხადია, პრობლემა იყო შოტლანდიისთვის. 1320 წელს შოტლანდიელი ბარონები მთელი შოტლანდიელი ხალხის სახელით წერილს უგზავნიან რომის პაპ იოანე XXII-ეს და შესაბამისი არგუმენტების მოხმობით სთხოვენ ერთი მხრივ, აღიაროს მათი დამოუკიდებლობა და რობერტ ბრიუსი კანონიერ მეფედ და მეორე მხრივ, დაარწმუნოს ინგლისი შეწყვიტოს საომარი მოქმედება შოტლანდიის წინააღმდეგ. ამ წერილს მოგვიანებით არბროთის დეკლარაცია უწოდეს, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წერილობით წყაროს წარმოადგენს შოტლანდიელი ხალხის ისტორიაში. სწორედ ამ წერილში შესანიშნავად არის გამოხატული შოტლანდიელის განწყობა, სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ და ის ეროვნული თვითშეგნება, რომელიც ყალიბდებოდა ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ლაშა მგელაძე

კვინტუს სერტორიუსი - მივიწყებული სარდალი

რომის ისტორიაში ძვ. წ. II საუკუნის მეორე ნახევარი და I საუკუნე დიდ ინტერესს იწვევს, როგორც მეცნიერებში, ამავედროულად მკითხველებშიც, რომლებიც ისტორიით არიან დაინტერესებულნი. ეს არის პერიოდი, როცა რომში თავი მოიყარეს მსოფლიო დონის სახელმწიფო მოღვაწეებმა, მხედართმთავრებმა, იურისტებმა თუ ორატორებმა. საისტორიო წყაროებში, ამ ეპოქის შესახებ უამრავი ნაშრომია, იქნება ეს სამეცნიერო-პოპულარული, თუ კვლევითი სახის, თუმცა ზოგი ფიგურა უკანა პლანზე აღმოჩნდა და მივიწყა საზოგადოებამ, ზოგი სუბიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე, უკანა პლანზე მოექცა, სწორედ ასეთ ფიგურას წარმოადგენს კვინტუს სერტორიუსი (123-72).

წყაროების შედეგად ირკვევა, რომ სერტორიუსი თავისი ნიჭითა და პოტენციალით ჰანიბალის დონემდე მიდიოდა, „მეორე ჰანიბალი“ გვხვდება რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომში. ასევე წყაროების შესწავლის შედეგად, კარგად ჩანს თუ რა სუბიექტურმა მიზეზებმა განაპირობა სერტორიუსის უკანა პლანზე გადაიწევა, დგინდება ის მანკიერი სისტემა, რომელიც იყო რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რამაც საბოლოოდ გახრწნა რომაული საზოგადოება. ყურადღებას იპყრობს სინთეზური გააზრება სერტორიუსის მოღვაწეობისა და თავის მხრივ, სპარტაკის აჯანყების თანამედროვე კვლევებში სინთეზურ გააზრებას, უდიდესი როლი ენიჭება, რათა დავინახოთ კავშირი თითქოს ორ სხვადასხვა მოვლენას შორის.

დასასრულ, საკითხზე მუშაობისას იკვეთება მრავალი ასპექტი, რაც შეიძლება თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებას მოვარგოთ და სწორი დასკვნები გავაკეთოთ, რათა ისტორიული ცოდნა არ დარჩეს მხოლოდ თეორიული და რეალიზდეს პრაქტიკაში.

ლალი მექერიშვილი

იესე ბარათაშვილის საქართველო

იესე ბარათაშვილის ლიტერატურულ-ისტორიული ხასიათის ნაშრომი „ცხოვრება-ანდერძი“, რომელიც ბიოგრაფიულ ცნობებს შეიცავს, საკმაოდ მნიშვნელოვან მასალას იძლევა XVIII ს.-ის II ნახევრის საქართველოზე. ესენია პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური საკითხები. იესე ბარათაშვილი წარმოადგენს იმ ქართველის სახეს, რომელიც ცენტრალიზებული ხელისუფლების მოტრფიალეა. ანდერძში საკმაოდ მკაფიოდაა გამოხატული მისი დამოკიდებულება მეფის, დედოფლის, რელიგიის, არსებული ყოფის მიმართ.

იესე ბარათაშვილი, რომელიც სასულიერო პირის შვილია, თეიმურაზ II-ისა და ერეკლეს კარზე დაწინაურებულ პოზიციას იკავებს, რასაც თან ერთვის თანამდებობრივი და ქონებრივი დაწინაურება, მას ენიჭება ბარათაშვილის გვარი, თავადობა, მოლარეთუხუცესობა, ხოლო შემდეგ მდივნის თანამდებობა. განსაკუთრებით საინტერესოა ამ ადამიანის ფსიქოლოგიური პორტრეტი. მრავალგზის დამცირებული, ხელმწიფისგან შერისხული კვლავ მეფის მხარდამჭერად გვევლინება.

იესეს ბიოგრაფიული ცნობების საფუძველზე, შეიძლება კარგად დავინახოთ ამ პერიოდის ქართული საზოგადოება, მისი მორალური სახე, თუ როგორ ცხოვრებენ და როგორ ცდილობენ იბრძოლონ არსებობისთვის. სწორედ ამ სოციუმის წევრი გახლავთ ტექსტის ავტორი და მთავარი მოქმედი გმირი, მასაც ის მორალური რეგალიები ამშვენებს, რაც ამ პერიოდის ქართველს გააჩნია.

ამრიგად, იესე ბარათაშვილის ანდერძის საფუძველზე შეგვიძლია, კარგად დავინახოთ XVIII საუკუნის ქართველი კაცი, მისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეებით, იმ ზნეობრივი თავისებურებებით, რაც რეფრენად გასდევს მთელი საუკუნის განმავლობაში ქართულ საზოგადოებას.

მარიამ მინდიაშვილი

სილამაზისა და სიმახინჯის გამომხატველი იდიომატური გამონათქვამები ინგლისურ და ქართულ ენებში

მოხსენების მიზანი იყო შევეცდინო და შევეცეპირისპირებინა ინგლისურსა და ქართულში დამკვიდრებული ზოგიერთი იდიომატური გამონათქვამი, რომელიც სილამაზესა და სიმახინჯეს გამოხატავს. ამ მიზნით, განხილული იქნა ინგლისური ენის ავტორიტეტული ლექსიკონები: “Dictionary of Idioms”, “The Oxford Dictionary of Proverbs”, “Oxford Dictionary of Current Idiomatic English”. ასევე, თედო სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“. გარდა ამისა, ემპირიული მასალის მოპოვების მიზნით, ვიმუშავე, როგორც ქართველ, ასევე ინგლისელ ლინგვისტურ ინფორმანტებთან.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ენას თავისი დამახასიათებელი ლექსიკა აქვს, რომელშიც ასახულია მისი მენტალიტეტი და ტრადიციები. მიუხედავად ამისა, გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა, ეს იდიომატური გამონათქვამები იდენტური იყოს ორივე საკვლევ ენაში. საინტერესოა, როგორ გადმოსცემენ ქართველები, ინგლისელები თუ ამერიკელები, თავიანთ დამოკიდებულებას სილამაზის ან სიმახინჯის მიმართ, ან რა ასოციაციები ექმნებათ, ამ ცნებებთან დაკავშირებით.

როგორც კვლევამ აჩვენა, ორივე ენაზე არსებული იდიომატური გამოთქმები, ძირითადად ემყარება მეტაფორასა და მხატვრულ შედარებას.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ჩემ მიერ განხილული იდიომატური გამონათქვამები, სტილისტურად იყოფა – მხატვრული შედარებისა და მეტაფორის შემთხვევებზე დამყარებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებად. სემანტიკურად კი მათი კლასიფიკაცია, შეიძლება შემდეგი თანმიმდევრობით: 1) იდიომები, რომლებშიც ცხოველები და მცენარეები ფიგურირებს; 2) გამონათქვამები, რომლებშიც რელიგიური ასპექტებია ასახული; 3) ფრაზები, რომლებშიც ციური

სხეულები ფიგურირებენ; და 4) მითოლოგიური პერსონაჟების დამახასიათებელ თვისებებზე დამყარებული იდიომები.

როგორც მოსალოდნელი იყო, კვლევის შედეგად, ასევე გამოვლინდა განსხვავებები საანალიზო ენებს შორის, რადგან ქართული და ინგლისური ენები ორ სხვადასხვა ენათა ოჯახს და კულტურას მიეკუთვნებიან. როგორც ვიცით, ფრაზეოლოგიურ ერთეულებში კარგად არის წარმოჩენილი ქვეყნის კულტურა თუ ტრადიციები, ენობრივი კოლექტივის ცრურწმენები და წარმოდგენები. აქედან გამომდინარე, ინგლისურსა და ქართულში, სრულიად იდენტური ფრაზების თუ იდიომატური გამოთქმების არარსებობა, გასაკვირი სულაც არ არის, თუმცა საკვლევ ენებში იდენტური ფრაზეოლოგიური ერთეულებიც დასტურდება. მაგალითად, როგორცაა მახინჯი იხვის ჭუკის შემთხვევა ან სილამაზის ანგელოზთან, ხოლო სიმახინჯის - ეშმაკთან შედარება, რაც ორივე ერის ქრისტიანული მრწამსით აიხსნება.

მეგი მიქაბერიძე

თამარ მეფის საიდუმლო საფლავის მითოსი

თამარ მეფეს, ქართველი ხალხის მეხსიერებაში, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ის არის საქართველოს ისტორიაში „ოქროს ხანის“ შემქმნელი. მისი მმართველობის პერიოდში საქართველო ყველაზე ძლიერი სახელმწიფო იყო. მაგრამ კოლექტიურ მეხსიერებას, ისტორიული მოვლენების შენახვა-შენარჩუნება, მხოლოდ მითოლოგიურ არქეტიპებთან მათი დაკავშირებით შეუძლია. ხალხური ტექსტების თანახმად, თამარმა არა მხოლოდ მტერი დაამარცხა, არამედ ბუნების სტიქიური ძალებიც დაიმორჩილა და ზღვასაც კი სამანი ჩაუდგა. თანამედროვე ისტორიკოსი თამარს ღვთაების მეოთხე ჰიპოსტასად მოიხსენიებს.

თამარ მეფის ხსენებისას, სვანი მთხრობლები ფეხზე დგებოდნენ, როგორც წმინდანების ან სალოცავების ხსენებისას. ასეთივე დამოკიდებულება აქვთ თამარის მიმართ აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, ფშავში, სადაც თამარ მეფის სახელობის სალოცავია დაფუძნებული. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მის გარდაცვალებასა და საიდუმლო საფლავთან დაკავშირებით, უამრავი გადმოცემა არსებობს. ყოველი კუთხის მცხოვრები, ხაზგასმით საუბრობს წმინდა მეფის განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე მის კონკრეტულ მხარესთან.

თამარ მეფის გარდაცვალება და საფლავი ხალხურ გადმოცემაში გამითიურებულია. ნაშრომის მიზანია, გაგვაცნოს თუ რა სახის მითოსურ არქეტიპებს იყენებს თამარ მეფის გარდაცვალებასა და მის საფლავთან დაკავშირებული თქმულებები, რომლებიც ასევე გამოირჩევიან ვარიანტების სიმრავლით. გადმოცემები თამარის საფლავის საიდუმლო ადგილად ასახელებს გელათს, ვარძიას, სვანეთს. არის ცნობები, თითქოს თამარ მეფის ცხედარი იერუსალიმში წაასვენეს. ზოგიერთი გადმოცემის მიხედვით, თამარმა თავის სიცოცხლეშივე გადაწყვიტა, რომ მისი საფლავი საიდუმლოდ დარჩენილიყო და თავისი ცხედრის დასაცავად ვარძია ააშენებინა.

თამარ მეფის საფლავის უცნობობა ერთგვარი საკრალიზმის შემცველია და გარკვეულწილად იგი თანხმობაშია, სხვა ცნობილი მეფეების საიდუმლო საფლავის მითოსთან, რომლის თანახმად, ისინი ელოდებიან ესქატოლოგიურ ჟამს, როდესაც საფლავიდან გამოვლენ და მონაწილეობას მიიღებენ ანტიქრისტეს დამარცხებაში.

ნაშრომის წერის პროცესში გამოვიყენებ სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურას. პირველ რიგში, ქსენია სიხარულიძის „ქართულ ხალხურ საისტორიო სიტყვიერებას“, სადაც მეცნიერს დაბეჭდილი აქვს ყველა გადმოცემა თამარის შესახებ, აგრეთვე თინა შიომშვილის წიგნს „თამარ მეფე ქართულ ფოლკლორში“, როზეტა გოჯეჯიანის „ისტორიის რეპერტენტიაციის ეთნოლოგიურ ასპექტებს“, მირჩა ელიადეს „მარადიული დაბრუნების მითს“ და ზურაბ კიკნაძის „ქართული მითოლოგიის“ მეორე ტომს.

სანდრტ მიქელაშვილი

ქალის როლის აღქმა სპარტის საზოგადოებაში პლუტარქეს „მორალიების“ მიხედვით

სპარტის საზოგადოება სპეციფიკური, გამოკვეთილი ხასიათის მქონე ანომალიური სამყაროა ძველ საბერძნეთში. განსხვავებულია მისი წევრების როლიც სპარტის განვითარებაში, მათ შორის, ქალებისა, რომლებიც, სხვა ბერძნული პოლისების მცხოვრებლებისგან განსხვავებით, გარკვეული უფლებებითა თუ პრივილეგიებით სარგებლობდნენ.

სპარტელი ქალის იდეალურ სახეს გვიხატავს პლუტარქე, რომელიც აპოფთეგმების სახით წარმოგვიჩენს, როგორც არისტოკრატიული ფენის, აგრეთვე რიგითი სპარტელი ქალის დამოკიდებულებას სპარტის, როგორც სპარტელის ცხოვრების იდეალის მიმართ.

პლუტარქეცდილობს, ხმაშიაწვდინოს ყველა ფენის ადამიანს და მარტივად გასაგები ენით გვიხატავს სპარტელი ქალის დამოკიდებულებას მამაკაცების, კერძოდ, ქმრების, შვილების, ძმების მიმართ, სადაც ორ ტენდენციას ვაწყდებით: ერთნი, რომელნიც მამაკაცებზე აღმატებულად აღიქვამენ თავს და მეორენი, რომელნიც მამაკაცების გავლენის ქვეშ დარჩენას ამჯობინებენ. მიუხედავად ამისა, მათ აერთიანებთ ისეთი ღირებულებები, როგორებიცაა სიმამაცე, ღირსება, თავდადება, თავისუფლების განცდა.

პლუტარქეს „მორალიების“ კრიტიკული ანალიზი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ კლასიკური სპარტის მხოლოდ მასკულიზაციის პერსპექტივიდან აღქმა, ქალის როლს მხოლოდ სპარტელი მეომრის აღზრდით შემოფარგლავს. თითქოს აქრობს კიდეც მას სპარტის თავისუფალი ადამიანების რიგებიდან და მათზე დამოკიდებულს ხდის. პლუტარქეს ნაშრომები სწორედ ამ სტერეოტიპების დამსხვრევის საშუალებაა.

ელენე მუჯირიშვილი

ჭურჭელთან დაკავშირებული იდიომატური გამონათქვამები ინგლისურ და ქართულ ენებში

მოხსენება მიზნად ისახავს, ჭურჭლის სხვადასხვა სახეობაზე არსებული იდიომების შეპირისპირება-შედარებას ინგლისურ და ქართულ ენებში. განხილული მასალა, ემყარება შემდეგ წყაროებს: “The Oxford Library of Words and Phrases”, “The Oxford Dictionary of Idioms” და ალ. ონიანის „ქართული იდიომები“, „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“.

მოხსენებაში განხილულია ქართული სიტყვა „ჭურჭელი“, ამ სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობა და მისი კორელატები ინგლისურ ენაში. ნაშრომში, ასევე შესწავლილია ჭურჭლის სხვადასხვა სახეობის აღმნიშვნელი ინგლისური და ქართული ტერმინები და მათი წარმომავლობა.

კვლევა ასევე მოიცავს ჭურჭლის სხვადასხვა სახეობასთან დაკავშირებული იდიომატური გამონათქვამების ანალიზს. გარდა ამისა, ჭურჭლის აღმნიშვნელი სიტყვების საფუძველზე, გამოვლენილია მსგავსებები და განსხვავებები ინგლისურ და ქართულ ენებს შორის. როგორც კვლევამ აჩვენა, ამ მხრივ განსხვავებები მეტია, ვიდრე მსგავსება. ვფიქრობ, ეს აიხსნება განსხვავებული კულტურით და ეროვნული მენტალიტეტით.

უფრო მკაფიოდ რომ დავინახოთ ეს განსხვავებულობა, ერთმანეთთან შეპირისპირებულია ინგლისის, როგორც ჩაის სმის კულტურის ქვეყანა და საქართველო, როგორც ღვინის სამშობლო. შესაბამისი ჭურჭელი იჩენს თავს ფრაზეოლოგიურ ერთეულებშიც.

მოძიებულმა ემპირიულმა მასალამ უფრო ნათელი გახადა ორი საკვლევი ენის - ინგლისურისა და ქართულის - განსხვავებულობა, ვინაიდან არ აღმოჩნდა იდენტური იდიომატური გამონათქვამები, სხვადასხვა სახეობის ჭურჭელთან დაკავშირებით. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საზოგადოების

აღქმა, კულტურა, მენტალიტეტი და აზროვნება განსაზღვრავს კოლექტივის მეტყველებას. ეს განსაკუთრებით ცხადი გახდა ჭურჭელთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების შეპირისპირებითი ანალიზის პროცესში.

ქეთევან მჭედლიშვილი

ბედისწერის აღმნიშვნელი სინონიმები ინგლისურ და ქართულ ენებში

მოხსენების მიზანია, შევისწავლოთ ბედისწერის აღმნიშვნელი სინონიმები ინგლისურ და ქართულ ენებში, გავანალიზოთ ისინი დადებითი და უარყოფითი კონოტაციის კუთხით და, ამ ცნების შემცველი სხვადასხვა იდიომატური გამონათქვამის შესწავლის საფუძველზე, დავადგინოთ ის მსგავსებები თუ განსხვავებები, რომლებსაც ვხვდებით, როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენებში. ამ მიზნით, განვიხილოთ ინგლისური ენის ავტორიტეტული ლექსიკონები: “A Dictionary of the English Language in Two Volumes”, “Oxford Advanced Learner’s Dictionary of Current English”, “Webster’s New World College Dictionary” და სხვადასხვა ინტერნეტ წყარო, ასევე სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის“ I ტომი, თედო სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, არნოლდ ჩიქობავას „ქართული ენის დიდი განმარტებითი ლექსიკონი“, თინათინ მარგალიტაძის „დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი და გიორგი ჯღარკავას „ქართველური ენების პარემიათა ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები“.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ბედისწერა ყოველთვის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა უძველესი ერების ცხოვრებაში, კულტურაში, რელიგიასა და მსოფლმხედველობაში. ამის უტყუარი მტკიცებულებაა, ბედის აღმნიშვნელი არაერთი სინონიმური სიტყვის არსებობა, როგორც ქართულ, ასევე სხვადასხვა ძველ გერმანიკულ ენაში. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ორივე ენაში გვაქვს რამდენიმე სიტყვა, რომელიც გამოხატავს ბედისწერის ცნებას.

ინგლისური ენის შემთხვევაში განვიხილავთ სინონიმებს: “fate”, “destiny”, “fortune”, “predestination” და ამ სიტყვების შემცველი ფრაზებისა და იდიომატური გამონათქვამების შესწავლის საფუძველზე, ვადგენთ მათ კონოტაციურ მნიშვნელობას. ხოლო ქართული ენის შემთხვევაში, განვიხილავთ სინონიმებს: „ბედი“, „ბედისწერა“, „განგება“, „ყისმათი“, „სვე“, „ბედ-იღბალი“ და ამ სიტყვების შემცველ გამონათქვამებს.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ორივე ენის შემთხვევაში, ერთი შეხედვით ურთიერთჩანაცვლებადი სინონიმები, გამოირჩევიან თავისებური სტილური მახასიათებლებითა და კონოტაციური მნიშვნელობებით. იდიომატური გამონათქვამების შეპირისპირებისას გამოვლინდა, თუ რას უკავშირებს ბედს და უბედობას სხვადასხვა ერი, მაგალითად, როგორც ქართველების შემთხვევაში შავ ფერს თავისი ასოციაცია გააჩნია. ორივე რეალობაში ბედი მჭიდროდაა დაკავშირებული ციურ სხეულებთან, რაც ანტიკური კულტურის და რწმენის ზეგავლენით აიხსნება.

თამთა ნიქაბაძე

რიცხვათა სიმბოლიკა და სემანტიკა ინგლისურ და ქართულ ენებში

ანდაზები და იდიომატური გამონათქვამები ენის განუყოფელი ნაწილია. ისინი დროთა განმავლობაში ყალიბდება და ისე მკვიდრდება ენაში, რომ ხშირად მათ გარეშე საუბარი წარმოუდგენელია. როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ გამოთქმებში, მრავლად გვხვდება რიცხვები. საინტერესოა, რა სიმბოლოებს ატარებენ ისინი, ან თუ არის მათ შორის რაიმე კავშირი. სწორედ ამის გარკვევას შევეცდებით მოხსენებაში.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში ჩატარდა სტატისტიკური კვლევა იმის შესახებ, თუ რომელ ენაში რომელ რიცხვს უკავშირდება შედარებით მეტი თუ ნაკლები იდიომი. გარდა ამისა, შევეცადე რიცხვების კონოტაციური

მნიშვნელობები შემედარებინა ერთმანეთისათვის. ამ ყველაფერში კი დამეხმარა ალ. ონიანის „ქართული იდიომები“; ლექსიკონი “English idioms in their colloquial use with their Russian and Georgian equivalents”; გიორგი ჯღარკავას მოხსენება “The Symbolic Meaning of Numbers in the Kartvelian Proverbs”; ფსიქოანალიტიკური სტატია „რიცხვთა სიმბოლიკა“; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იდიომთა ონლაინ კატალოგი; Writingexplained.org - idiom-dictionary და Thefreedictionary.com

კვლევის შედეგად, მივედით დასკვნამდე, რომ რაოდენობრივად ყველაზე ნაკლები იდიომი უკავშირდება რიცხვებს: სამი და შვიდი; ყველაზე მეტი კი – ინგლისურში რიცხვ ერთს, ქართულში – ცხრას. რიცხვი ცხრა, ისევე როგორც რიცხვები ასი და ათასი, იდიომთა უმრავლესობაში ბევრის, ძალიან ბევრის ან ზედმეტად ბევრის მნიშვნელობას ატარებს. საინტერესოა ისიც, რომ ასი და ათასი ძირითადად დადებითი კონოტაციით გვხვდება, მაშინ როცა ცხრა პირიქით, უარყოფითი მნიშვნელობის მატარებელია. ასევე უარყოფითი კონოტაცია აქვს რიცხვ ორს. იდიომთა უმრავლესობაში იგი გაორებასთან, მერყეობასთან ან დავასთან არის დაკავშირებული. რიცხვი ერთი, ძირითადად, ცოტასთან ასოცირდება, თუმცა იდიომთა უმრავლესობაში მას დადებითი კონოტაციური მნიშვნელობა აქვს და იმედის მომცემია, რომ სულ არაფერს ერთი ჯობია. ჩატარებულმა ანალიზმა ცხადყო, რომ ქართულ და ინგლისურ ენებში, ძირითადად, ერთი და იგივე რიცხვებია საკრალური და ხშირად, გამოთქმები არა მხოლოდ შინაარსობრივად, სიტყვათა შედგენილობითაც კი ემთხვევა ერთმანეთს.

ობინა ნობაძე

შედარებები ჯ. ჯოსის „ჯაკომო ჯოსის“ ტექსტსა და ქართულ თარგმანებში

მოდერნიზმი აღმნიშვნელია ხელოვნებაში, მწერლობაში, კრიტიკასა და ფილოსოფიაში გარკვეული პერიოდისა და იმ ახალი ტენდენციებისა, რომელთაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს XX საუკუნეში ადამიანების აზროვნებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

მოდერნისტული ლიტერატურის განვითარებას ერთგვარი დამატებითი ბიძგი მისცა, უპირველეს ყოვლისა, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე სამყაროს ახალი მოდელის შექმნამ, ასევე, ტრადიციული თეოცენტრისტული, ანთროპოცენტრისტული და ლოგოცენტრისტული პოზიციებისა და ისტორიის ტელეოლოგიურობისა და „ესქატოლოგიურობის“ უკუგდებად.

ამ მხრივ, მეტად საინტერესოა დიდი მოდერნისტი მწერლის ჯეიმს ჯოსის „ჯაკომო ჯოსის“ განხილვა. აღნიშნული ნაწარმოები, ჯოსის გარდაცვალების შემდეგ აღმოაჩინეს ჯოსის ხელნაწერებში, პირველად ჯოსის ცნობილი მკვლევრის რიჩარდ ელმანის მიერ 1959 წელს დაბეჭდილ ჯოსის ბიოგრაფიაში გამოჩნდა, სადაც ელმანმა ამ მანამდე უცნობი ტექსტის ფრაგმენტები ჩართო.

ჯ. ჯოსის ზემოაღნიშნული წიგნი ორჯერ ითარგმნა ქართულად. პირველად ცნობილი მთარგმნელის ნ. ყიასაშვილის მიერ, უკანასკნელ წლებში ტექსტი თარგმნა ახალგაზრდა მკვლევარმა თამარ გელაშვილმა. მოხსენებაში შესწავლილია ჯ. ჯოსის „ჯაკომო ჯოსის“ ტექსტსა და თარგმანებში შედარებების ფუნქცია და მნიშვნელობები. აღნიშნულია, რომ რიგ შემთხვევებში შედარებები თარგმანებში ტრანსფორმირებულია ზუსტად, თუმცა გვხვდება გამონაკლისი შემთხვევებიც.

ეთერ პაპავა

პრისკუსის თვალით დანახული იულიუს კეისრის სახელმწიფო

ნაშრომში განხილულია, რომელი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, გაიუს მარიუს პრისკუსის მიერ დანახული იულიუს კეისრის სახელმწიფო. შესწავლილია, პრისკუსის თვალთახედვა, იულიუსის მიერ შექმნილი სახელმწიფოებრივი სისტემის ძირითად მომენტებზე. განხილულია, კეისრის პოლიტიკური სისტემის, ძირითადი თავისებურებები. ჩვენი მხრივ, აღნიშნული თვალსაზრისი შედარებული გვაქვს, დიდი ბერძენი ფილოსოფოსებისა და მოაზროვნეების, პლატონისა და არისტოტელეს შეხედულებებთან. სწორედ ამ შედარების საფუძველზე შევეცდებით, ავხსნათ, რა გახდა მთავარი წყალგამყოფი ხაზი, ფილოსოფიური მსჯელობისა და ისტორიული პროცესის განვითარებისა. როგორ შეძლო ცეზარმა ფილოსოფიური ნარატივის ისტორიულ პარადიგმად აღქმა. ნაშრომში გადმოვცემთ პრისკუსისეული დამოკიდებულება იულიუს კეისრის მიმართ. რა პრინციპების დაცვაა მისთვის პრიორიტეტული, სახელმწიფოებრივი ცხოვრების ჩამოსაყალიბებლად. საბოლოოდ, ჩვენი კვლევით შევეცდებით, ავხსნათ პრისკუსის თვალთახული იულიუს კეისრის სახელმწიფოებრივი მარცხის ლოგიკური თავისებურებები. რას შეეძლო გამოეწვია, ცეზარის სახელმწიფოს ტრიუმფი და მარცხი.

ანნა ჟორდანიას

სავაჭრო დაწესებულებების აღმნიშვნელი სახელწოდებები ინგლისურ და ქართულ ენებში

მოსხენების მიზანია, ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით, შევუპირისპიროთ ინგლისურ და ქართულ ენებში არსებული სავაჭრო დაწესებულებების აღმნიშვნელი სიტყვები და წარმოვაჩინოთ მათი თავისებურებები. კვლევის ჩატარების მიზნით, ვიმუშავეთ ინგლისური ენის ლექსიკონებზე: “Oxford Dictionary of English” და “The Pan Dictionary of Synonyms and Antonyms”. ქართული ენისთვის საჭირო მასალის მოპოვებისთვის, განვიხილე კარლო ჯორჯანელის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“ და სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“.

თითოეულ ენას თავისი უნიკალური მახასიათებლები აქვს, რომლებიც ნათლად ვლინდება სიტყვათა მრავალფეროვან სემანტიკაში. კვლევამ აჩვენა, რომ განსხვავებით ქართული ენისგან, ინგლისური ენა განსაკუთრებით მდიდარია სავაჭრო დაწესებულებების გამომხატველი ცნებებითა და მათი სხვადასხვა მნიშვნელობებით. მიუხედავად იმისა, რომ ისინი აღიქმება, როგორც სინონიმური წყვილები და მათი ერთსა და იმავე კონტექსტში გამოყენება, გარკვეულწილად დასაშვებია, თითოეულ მათგანს ინდივიდუალური მნიშვნელობა აქვს, რაც ტექსტში შინაარსობრივ განსხვავებას განაპირობებს. ასევე ინგლისურ ენას შესწევს უნარი იმისა, რომ არსებითი სახელი გარდაქმნას ბმნად და გამოიყენოს განსხვავებული მნიშვნელობით, თუმცა, რა თქმა უნდა, მათ შორის გარკვეული სემანტიკური ბმა არსებობს და ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი არ არიან.

როგორც ინგლისურ ენაში, ასევე ქართულშიც, გარკვეული სავაჭრო დაწესებულებების სახელწოდებები განირჩევიან იმ თვალსაზრისითაც, თუ რა სახის პროდუქციას ყიდიან და მათი ზოგადი ცნებით ჩანაცვლება შეუძლებელია. საგულისხმოა, რომ ინგლისურ ენაში სავაჭრო დაწესებულების

აღმნიშვნელი სიტყვები დაირთავენ ზმნებს, რომლებიც მათ არსებითად განსხვავებულ სემანტიკას ანიჭებენ, ამგვარი შემთხვევები ქართულში არ გვხვდება. კვლევის საფუძველზე, აგრეთვე მკაფიოდ ჩანს ინგლისური ენის ძლიერი გავლენა თანამედროვე ქართულ ლექსიკაზე, რაც უცვლელად გადმოტანილ სახელწოდებებში შეინიშნება და დღესდღეობით უკვე მყარად არის დამკვიდრებული. საბოლოო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური და ქართული ენა სხვადასხვა ენათა ოჯახს მიეკუთვნება, ქართულსა და ინგლისურში სავაჭრო დაწესებულებების აღმნიშვნელი იდენტური სიტყვებიც გვხვდება, რაც მათთან კავშირის მქონე საერთო ენების არსებობითა და აქტიური სავაჭრო ურთიერთობებითაა განპირობებული.

ნიკოლოზ სარაჯიშვილი

დავით სარაჯიშვილის პოლიტიკური თრინტაცია

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ტალღა აგორდა. მასში იმდროინდელი ინტელიგენციის უმეტესი ნაწილი ჩაება, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებებისა და სოციალური სტატუსისა. ამ მოღვაწეთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს დავით სარაჯიშვილს.

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ქართული საზოგადოებრივი ამროვნების ისტორია მეტ-ნაკლებად შესწავლილი საკითხია. კარგად არის გაანალიზებული წამყვან მოღვაწეთა ბიოგრაფიები და განხილულია მათი მსოფლმხედველობა.

ამ მხრივ, დავით სარაჯიშვილი გამონაკლისს წარმოადგენს. მისი პიროვნების კვლევას, პირველ რიგში, ფილანტროპისა და მრეწველის კონტექსტში განიხილავენ. აქედან გამომდინარე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენი ნაშრომი ერთგვარად სიახლეს წარმოადგენს და შეავსებს XIX საუკუნის ეროვნული მოძრაობის ისტორიას.

ქეთი საყვარაშვილი

დაღესტნურ ეთნონიმთა ისტორიიდან

კავკასიის ლინგვისტური მრავალფეროვნება, შეიძლება ითქვას, უპირველესად დაღესტნის ენობრივ ვითარებას გულისხმობს: მხოლოდ ადგილობრივი წარმოშობის ენათა რიცხვი ოცდახუთზე მეტია. ამ ენებს ტრადიციულად დაღესტნურ ენებს უწოდებენ. მათში, როგორც ცნობილია, სამი ქვეჯგუფი გამოიყოფა: ხუნძურ-ანდიურ-დიდოური, ლაკურ-დარგუული და ლეზგიური.

ყველაზე მრავალრიცხოვანი დაღესტანში ხუნძურენოვანი მოსახლეობაა, რომელთა საცხოვრისი უშუალოდ ესაზღვრება საქართველოს. ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენების გავრცელების არეალი სამხრეთ-დასავლეთ დაღესტანია და ამ ენებზე მოსაუბრე სუბეთნიკურ ჯგუფთა წარმომადგენლები ეროვნებით ხუნძებად იწერებიან.

აღსანიშნავია, რომ ხუნძების შესახებ ერთ-ერთი პირველი ცნობა მოცემულია ლენტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“: „...ხოზონის, რომელ უწარჩინებულეს იყო ნათესავთა შორის ლეკანისთა, მივიდა და დაჯდა ნაპრალსა შინა მთისასა, აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ხოზანიხეთი“ (აქ ნახსენები ხოზონიხი იყო შვილი ლეკანისა, ხოლო ლეკანი — კავკასიელთა წინაპარი თარგამოსისა, ანუ ძმა ქართლოსისა).

“მეფეთა ცხოვრების” სხვადასხვა რედაქციაში ხოზანიხი ხუმანიხადაც მოიხსენება. სწორედ მისი სახელიდან უნდა მომდინარეობდეს ეთნოტერმინი „ხუნძი“. მოგვიანო ხანის ქართულ წყაროებში პარალელურად „ლუნძი“ ფორმაც გვხვდება. მას იყენებს ივანე ჯავახიშვილი ნაშრომში „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“.

XIX საუკუნიდან ხუნძებისა და მათი ისტორიული საცხოვრისის აღმნიშვნელი საკუთრივ ქართული სახელწოდებების გვერდით ჩნდება რუსულიდან შემოსული „ავარია“, „ავარელი“//“ავარიელი“ (შდრ. რუს. авария, аварец). ტერმინი „ავარელი“//“ავარიელი“ კალკირებული ფორმაა, სალიტერატურო ქართულ ენაში მან ვერ ჩაანაცვლა ტერმინი „ხუნძი“. ამდენად,

მისი გამოყენება არასწორად მიგვაჩნია.

უნდა ითქვას, რომ რუსულიდან ნასესხები „ავარ“ დამკვიდრდა ხუნძების თვითსახელწოდებადაც. თუმცა, როგორც ამას ცნობილი კავკასიოლოგი პეტრე უსლარი აღნიშნავს, ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იან წლებში ეს ტერმინი უცხო იყო თვით ხუნძებისთვის (პ. უსლარი, „კავკასის ეთნოგრაფია: ხუნძური ენა“, ტიფლისი, 1889, §3).

ანალოგიურად დამკვიდრდა რუსულისა და თურქული ენების საშუალებით შემოსული ტერმინი „ლეზგი“ (ლეკ- ეთნონიმის ფონეტიკური სახეობა) სამხრეთ დაღესტანში მოსახლე ერთ-ერთი ხალხის თვითსახელწოდებად, ენდოეთონიმ „ლეკის“ (ძველი ბერძნული წყაროების ლეგ-) პარალელურად.

მარი სილაგაძე

პრეისტორიული თნტოლოგია მირჩა ელიადეს რელიგიის ფილოსოფიაში

მირჩა ელიადე თავის ნაშრომში „მარადიული კვლავდაბრუნების მითი“, განიხილავს არქაული განვითარების ეტაპზე მყოფი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი თნტოლოგიის ზოგიერთ ასპექტს და სურს, ყოფიერებისა და რეალობის შესახებ იმ შეხედულებების შესწავლა, რომლებიც პრიმიტიული საზოგადოების ადამიანის ქცევებიდან გამომდინარეობს.

ტყუილად შევეცდებით არქაულ ენებში მოვიძიოთ დიდი ფილოსოფოსების მიერ დიდი გულმოდგინებით შექმნილი ისეთი სიტყვები, როგორცაა „ყოფიერება“, „არა-ყოფიერება“, „რეალობა“ და სხვა. მათი მსგავსი ტერმინები ავსტრალიელი აბორიგენებისა და ძველი მესოპოტამიელების ენაში არ არსებობდა. მაგრამ სიტყვის არ არსებობა, საგნის არ არსებობას სულაც არ ნიშნავს, უბრალოდ, ეს საგანი შესაბამისი და მისთვის დამახასიათებელი ლოგიკის თანახმად განისაზღვრება და სახელდება სიმბოლოებისა და მითების საშუალებით. თითოეულ სიმბოლოს, მითს, რიტუალს საგანთა უზენაესი რეალობის აღქმა-

გაკების მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი აფირმაციის რთულად გასაკები სისტემა გააჩნიათ, რომელიც ერთგვარი მეტაფიზიკის შემცველ სისტემად შემვიძლია განვიხილოთ.

„პრიმიტიული“, არქაული საზოგადოების ადამიანის ცნობიერ მოქმედებებში არაფერია ისეთი, რაც მის არსებობამდე ვინმე სხვას, ან იმ სხვას არ განუცდია, რომელიც ადამიანი არ იყო. ის, რასაც ადამიანი ახლა აკეთებს, მანამდეც გაკეთებულა. მისი სიცოცხლე იმ ქმედებების მუდმივი განმეორებების უწყვეტი ჯაჭვია, რომელსაც მანამდე სხვები სჩადიოდნენ. ამ განსაზღვრული პარადიგმის ჩარჩოებში მოქცეულ ქმედებებოთა ცნობიერი განმეორებადობა, მათ ონტოლოგიურ ბუნებაზე მეტყველებს.

გვანცა ფიფია

რუი გონსალეს დე კლავისოს ცნობები საქართველოს შესახებ

რუი გონსალეს დე კლავისო იყო ცნობილი ესპანელი მოღვაწე, ელჩი, რომელიც ლეონ-კასტილიის მეფე ჰენრი (ენრიკე) მესამემ ესპანეთიდან სამარყანდში, თემურ ლენგის სამეფო კარზე, გაგზავნა. მისი მთავარი დანიშნულება იყო დაკვირვება და შესწავლა იმ ფაქტებისა თუ მოვლენებისა, რასაც მოგზაურობისას გადააწყდებოდა. სწორედ ზემოხსენებული, ერთგვარი დანიშნულება განაპირობებდა ავტორის მიზანს, შეექმნა დღიურები - ყველდღიური ჩანაწერები მოგზაურობის პერიოდში.

მის თხზულებიდან შემვიძლია ვიმსჯელოთ, რომ კლავისო იყო საქართველოშიც, უფრო სწორედ, საქართველოს გავლით მოგზაურობისას, იგი 1405 წლის 5-17 სექტემბერს იმყოფებოდა და აღწერს ქართველების რამდენიმე თვისებას და ზოგადად, საქართველოზე საუბრობს. ჩვენი მოხსენებაც შეეხება სწორედ ამ მოგზაურობის ფრაგმენტების განხილვას. რუი გონსალეს

დე კლავიხოს ზემოხსენებული დღიური განსაკუთრებით საყურადღებოა, ვინაიდან, ის ეხება დოკუმენტურად და მეცნიერულად მეტ-ნაკლებად ცნობილ პერიოდს (1405 წელი). ასევე ეს დღიური საინტერესოა იმიტაც, რომ უცხო პირის მიერ გარედან დანახული სხვა ერი, ქვეყანა და კონკრეტული ადგილები „მეულამაზებლად“, თბიქტურად და ნათლადაა წარმოჩენილი. მით უფრო, ტომ კლავიხოს, როგორც თავად მისი ქართული გამოცემის ავტორი, ე. ხინთიბიძე, აღნიშნავს, არის კეთილსინდისერი და არ არის ტენდენციური. კლავიხოს სამეფო კარზე მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა და, ცხადია, მეფის თვალშიც დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობდა. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ მისი ცნობები საინტერესოა ჩვენთვის. კლავიხოს ცნობებს საქართველოს შესახებ, რამდენიმე მეცნიერი განიხილავს, მათ შორის მაგ. ელდარ მამისთვალაიშვილი ნაშრომში „საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (XV-XVI სს.)“ ერთ-ერთი ფართო ადგილი უკავია სწორედ კლავიხოს საქართველოს გავლით მოგზაურობას 1405 წელს.

ჩვენი მოხსენების მიზანს, ამ მოგზაურის ცნობების მიმოხილვა წარმოადგენს, კერძოდ, იმის წარმოჩენა, წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით, რამდენად სასარგებლო და სანდო წყაროა იგი. გარდა ამისა, ჩვენ ხელთ გვაქვს მისი ერთ-ერთი ადრეული (1782 წლის) გამოცემა და შევეცდებით, ესპანურ ტექსტზე დაკვირვებით, რამდენიმე დასკვნაც შემოგთავაზოთ

მარიამ ფიჩხაია

საგან-ნივთა დეტერმინაცია

მ. პავიჩის, ბ. ჰრაბალისა და ი. კალვინოს პოსტმოდერნისტულ ტექსტებში

ჩემი მოხსენება ეფუძნება იტალი კალვინოს ესსეს „სისწრაფე“, რომელშიც ავტორი სხვა მრავალ მნიშვნელოვან საკითხთან ერთად, მოგვითხრობს ერთი

ძველი ლეგენდის, კერძოდ, მოხუცი იმპერატორის ვნების შესახებ. იმპერატორის ნეკროფილური ტრფობისა და სიყვარულის ხაზი ადამიანიდან ჯადოსნურ ბეჭდამდე გადის. ეს უკანასკნელი კი ლეგენდის არაერთ ინტერპრეტაციაში, სხვადასხვა „ეპიზოდის ლოგიკურ, მიზეზ-შედეგობრივი მაკავშირებელი“ ხდება. ამავე ესეში მწერალი საუბრობს ლიტერატურაში ცხენის სიმბოლიკაზე, მის მეტაფორულობაზეც და მიუთითებს, რომ იგი უპირველესად გონებრივი სისხარტის სიმბოლოა.

როგორც ცნობილია, საგან-ნივთთა „ემანსიპაცია“ დაახლოებით XVI საუკუნიდან იწყება (რენესანსის დასასრული – მანერიზმისა და ბაროკოს „ასპარეზზე“ გამოსვლის პერიოდი). ამ დროიდან უკვე განიხილავენ საგნების ფუნქცია-დანიშნულებას ლიტერატურაში და მხატვრობაში. თვალსაჩინოებისათვის, ჩვენს მოხსენებაში ვისაუბრებთ ნიდერლანდელი მხატვრის, „საყოფაცხოვრებო“ და „პორტრეტული“ ჟანრის ოსტატის – იან ვერმეერის (1632-1675 წწ.) ნახატებზე – „გოგონა მარგალიტის საყურით“, „გოგონა წერილით ღია ფანჯარასთან“ და სხვ., რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია სწორედ არაფრით გამორჩეულ საყოფაცხოვრებო საგან-ნივთებზე.

დასასრულ, შევეცდებით, გავარკვიოთ, რამდენად უშლის ხელს საგან-ნივთის მკაცრი განსაზღვრულობა პოსტმოდერნისტულ ტექსტების „საჭადრაკო პარტიების“ გადათამაშებას, რომელიც, თავის მხრივ, საზრდოობს ნიცშეს, ფუკოსა თუ ბოდრიარის მსჯელობებით. პოსტმოდერნისტული ტექსტების სპეციფიკის უკეთ წარმოსაჩენად კი განვიხილავთ მილორად პავიჩის, ბოჰუმილ ჰრაბალისა და იტალო კალვინოს ტექსტებს.

საბა ქანთარია

ფოტიოსის რელიგიური პოლიტიკური თვითმყოფადობის ჩამოყალიბებაში

IX საუკუნე ბიზანტიის იმპერიის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და საკვანძო პერიოდია. იწყება ე. წ. „ბიზანტიური რენესანსი“, ახალ ეტაპზე გადადის ურთიერთობები ლათინურ და ბერძნულ ქრისტიანულ სამყაროებს შორის. ქრისტიანული ტრადიცია, პენტარქიაში რომის ეპისკოპოსს იერარქიულად კონსტანტინოპოლის პატრიარქზე მაღლა აყენებდა, თუმცა ეს დადგენილება ჯერ კიდევ მეოთხე საეკლესიო კრებაზე (451წ.) დადგა ეჭვქვეშ საეკლესიო წრეებში. კონსტანტინოპოლსა და რომს შორის დაპირისპირებამ განსაკუთრებულად ინტენსიური სახე IX საუკუნის 60-იან წლებში მიიღო. ამ პერიოდში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სათავეში იდგა პატრიარქი ფოტიოსი, წმინდაპეტრეს ტახტი კი პაპნიკოლოზ I დიდს ეკავა. ამ დაპირისპირების სიმწვავე, სხვა მიზეზებთან ერთად, განაპირობა პიროვნულმა დაპირისპირებამ ამ მართლაც გამორჩეულად ძლიერ და პატივმოყვარე საეკლესიო ლიდერებს შორის, თუმცა მიმანია, რომ დაპირისპირების რეალური მიზეზი, ბიზანტიის იმპერიაში დაწყებული პოლიტიკური და კულტურული თვითმყოფადობის ჩამოყალიბების პროცესს უკავშირდება. ამ პროცესის მსგავსი სახით წარმართვა კი, ეჭვგარეშეა, პატრიარქ ფოტიოსის ერუდიციისა და პოლიტიკური აზროვნების დამსახურება იყო.

წარმოდგენილ ნაშრომში, სწორედ ამ კუთხით არის ე. წ. ფოტიოსის სქიზმა განხილული. ვფიქრობ, მსჯელობის ამგვარად წარმართვის საფუძველს 858-867 წლებში, რომსა და კონსტანტინოპოლს შორის მიმდინარე პროცესების კრიტიკული ანალიზი იძლევა. ქრისტიანულ სივრცეში ორი იმპერატორისა და სასულიერო ლიდერის არსებობის ფონზე, ცხადია, გარდაუვალი იყო დაპირისპირება. მიუხედავად იმისა, რომ ამ განხეთქილების პერიოდში პაპი აპელირებდა პატრიარქ ფოტიოსის არალეგიტიმურობაზე, კვლავ აქტუალური გახდა „ფილიოკვეს“ საკითხი, ვფიქრობ, ამკარაა დაპირისპირების პოლიტიკური

და იდეოლოგიური ხასიათი, რის საფუძველსაც მიხეილ III-ის მიერ 865 წელს პაპისადმი გაგზავნილი წერილი და ბულგარეთში გავლენისთვის დაწყებული ბრძოლა იძლევა.

ნაშრომი წარმოადგენს პატრიარქ ფოტიოსის, როგორც ბიზანტიური „ნაციონალიზმის“ ჩამოყალიბების სათავეებთან მდგომი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურის წარმოჩენის მოკრძალებულ მცდელობას. ხაზგასმულია მისი, როგორც პოლიტიკოსის როლი, განხეთქილების პერიოდში დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების ორ დამოუკიდებელ სამწყსოდ ჩამოყალიბების პროცესში, რაც, ვფიქრობ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ბიზანტიის იმპერიისთვის ევროპაში ორი, პოლიტიკური და რელიგიური პოსტრომაული ცენტრის – რომისა და კონსტანტინოპოლის არსებობის ფონზე.

მათე ქარდავა

იუდაიზმი ხაზართა სახაკანოში

ადრეულ შუა საუკუნეებში, აზიის სტეპებიდან დაძრულმა ჰუნებმა, ევროპის ტერიტორიაზე შექმნეს უდიდესი სახელმწიფო, რომელიც გერმანიიდან კასპიის ზღვამდე იყო გადაჭიმული. მას შემდეგ, რაც მათი გამორჩეული ბელადი ატილა გარდაიცვალა, ჰუნების სახელმწიფომ დასუსტება დაიწყო და შეიქმნა მრავალი სახელმწიფო. ერთ-ერთი ასეთი იყო ხაზართა სახაკანო, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიიდან ყირიმის ნახევარკუნძულამდე იყო გადაჭიმული.

ხაზართა სახელმწიფო დაახლოებით 650 წელს ჩამოყალიბდა. ეს ხალხი თურქულენოვანი იყო და საკმაოდ დიდ როლს თამაშობდა ისეთ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, როგორებიც იყვნენ: ბიზანტიის იმპერია, პართია და მოგვიანებით უმაიანთა და აბასიანთა სახალიფოები.

რაც შეეხება, ხაზართა რელიგიურ კუთვნილებას, ისინი თავდაპირველად წარმართები იყვნენ. მმართველობის სისტემა სახაკანოში იყო დუალური და

მათ ჰყავდათ ორი მეფე: ერთი არმიის ლიდერი, რომელსაც ეწოდებოდა შადი და მეორე რელიგიური ლიდერი, რომელიც ხელმეუხეხელი, საკრალური იყო და ცნობილია ხაკანის სახელით. ხაზარებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ბიზანტიის იმპერიასთან. ამ ორი სახელმწიფოს დიპლომატიური ურთიერთობების შესწავლისას, ვხედავთ, რომ მათ შორის ხდებოდა დინასტიური ქორწინებებიც. ქრისტიანობა სახაკანოში არ იყო აკრძალული. ამის ერთ-ერთი მტკიცებულებაა იოანე საბანისძის „აბოს წამება“, სადაც აღწერილია, რომ აბო მიემგზავრება ნერსე ერისთავთან ერთად ხაზარებთან და იქ ინათლება კიდევ.

რაც შეეხება, იუდაიზმის გავრცელებას ხაზარებში, მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა, რასაც განაპირობებს წერილობითი წყაროების მონაცემთა განსხვავებული განმარტება. მოხსენებაში განხილული და გაანალიზებულია არაბული და ბიზანტიური წყაროების ცნობები და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებები.

ზაზა ქაჩავა

პროფესორ ალექსანდრე წერეთლის სამეცნიერო პორტრეტი

საქართველოში ძველი მსოფლიო ისტორიის მეცნიერულ შესწავლას, ერთ-ერთმა პირველმა საფუძველი ჩაუყარა, ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ, პროფესორმა ალექსანდრე წერეთელმა. ალექსანდრე წერეთელი იდგა პირველი ქართული უნივერსიტეტის სათავეებთანაც. ის იყო აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის თანამდგომი ამ ეროვნულ საქმეში. მან დავიტოვა არაერთი ფუნდამენტური გამოკვლევა ძველი მსოფლიო ისტორიის, განსაკუთრებით კი ანტიკური ქვეყნების ისტორიაში. მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა, მეტად მრავალფეროვანია, თუმცა ის ნაკლებადაა შესწავლილი. უმეტესწილად, სწორედ ეს გარემოება გვაბედინებს, პროფესორ ალექსანდრე წერეთლის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ საუბარს.

მოხსენებაში წარმოდგენილია ალექსანდრე წერეთლის სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი პერიოდები და განხილულია თითოეული პერიოდისათვის დამახასიათებელი ნიშანი. ძირითადი ნაწილი მოხსენებისა, ეთმობა ალექსანდრე წერეთლის სამეცნიერო მემკვიდრეობის განხილვას. შეფასებულია ამ მემკვიდრეობის როლი ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეში. შევეცადეთ, სხვა ქართველ ისტორიკოსთა თანადროულ ნაშრომებთან შედარების გზით, წარმოგვეჩინა ალ. წერეთლის სამეცნიერო მემკვიდრეობის ღირსებები და ნაკლოვანებები. აგრეთვე განხილულია ალექსანდრე წერეთლის წიგნის, „ძველი აღმოსავლეთი“ წ. 1, გარშემომიმდინარე სამეცნიერო დავა. პროფესორ ალექსანდრე წერეთელზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლიდით ისეთ საკითხს, როგორცაა მეცნიერის ბედი ტოტალიტარულ რეჟიმებში. ალექსანდრე წერეთელი, ხომ მთელი ოცი წლის განმავლობაში გადასახლებული იყო ცენტრალურ აზიაში.

ცხადია, რომ ჩვენი ეს მოხსენება არ იქნება თავისუფალი ხარვეზებისგან, რადგანაც ის წარმოადგენს, საქართველოში ძველი მსოფლიო ისტორიის მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი ფუძემდებლის, პროფესორ ალექსანდრე წერეთლის სამეცნიერო მემკვიდრეობის შესწავლისა და შეფასების მოკრძალებულ მცდელობას. აღნიშნულ მოხსენებაში, შეძლებისდაგვარად, ვეცადეთ წარმოგვეჩინა პროფესორ ალექსანდრე წერეთლის ნაშრომების მნიშვნელობა ქართული ისტორიოგრაფიისათვის და ამ ნაშრომების საფუძველზე შეგვექმნა მისი, როგორც ისტორიკოსის, მეცნიერული პორტრეტი.

თამუნა ქთთლაშვილი

ინტერკულტურული ლიტერატურული ტენდენციები აკა მორჩილაძის “ტავერნა ათი სექტემბერი/ქალაქის მელიები”

მე-20 საუკუნეში განვითარებულმა გლობალიზაციის პროცესმა, გაზარდა პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ურთიერთობები სხვადასხვა ხალხებს შორის. შეიცვალა მსოფლიოს კულტურულ-ეთნიკური სურათი და ნათლად გამოიკვეთა განსხვავებული ერების კულტურათა მრავალფეროვნება. გლობალიზაციის პროცესში მიმდინარე კულტურათაშორისი ურთიერთობები, მიგრაციული პროცესები, განსხვავებულ იდენტობათა და მენტალობათა დაახლოება, მნიშვნელოვნად აისახა თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებში. დაისვა საკითხი ყოველი ერის მწერლობის კულტურათაშორისი ურთიერთობების კონტექსტის შესწავლის თვალსაზრისით. აგრეთვე, აუცილებელი გახდა, რომ სათანადო ადგილი მიენიჭოს საზღვარგარეთ შექმნილ ლიტერატურას, რომელიც ყოველი ერისთვის მნიშვნელოვან ინტერკულტურულ მოდელს წარმოადგენს.

ამ მხრივ, საინტერესოა პოსტსაბჭოთა პერიოდში მიმდინარე მიგრაციული პროცესები, რომლებიც უდიდეს გავლენას ახდენს იმ ტექსტზე, რომელსაც ავტორი საზღვარგარეთ ქმნის. შეცვლილ გეოგრაფიულ, პოლიტიკურ-ეკონომიკურ გარემოში შექმნილი ტექსტი, რომელშიც ასახულია იდენტობათა ცვალებადობა და კულტურათაშორისი განსხვავებები თუ ურთიერთობები, დიდ გავლენას ახდენს მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებზე.

თანამედროვე პერიოდის ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი ემიგრანტი პროზაიკოსია აკა მორჩილაძე, რომელიც თავის პოსტმოდერნისტულ შემოქმედებაში, სხვადასხვა ისტორიული ფაქტისა და ცნობილი სიუჟეტის საფუძველზე ქმნის ახალ ამბავს. მისი ლონდონში ყოფნის პერიოდში დაწერილი რომანი – „ტავერნა ათი სექტემბერი/ქალაქის მელიები“ –

მნიშვნელოვნად ასახავს თანამედროვე გლობალურ ლიტერატურულ პროცესებს. ტექსტში მიმდინარე მოქმედება, რომელიც ერწყმის ქართულ რეალობას, ინტერკულტურული სიუჟეტის განვითარებით ხასიათდება, რაც თბრობას დიდ სიახლეს სძენს. ნაშრომში განხილული იქნება მოცემული ემიგრანტული ტექსტი ახლებურ, ინტერკულტურულ კონტექსტში, მათ შორის, სიტუაციებისა და პერსონაჟების მუდმივი კონტრასტის და მათი მეტყველების თრპლანიანობის თვალსაზრისით.

მარიამ ქოსაშვილი

გალაკტიონ ტაბიძის „მარტოების დღესასწაული“

გალაკტიონი – ეს სახელი ყველა ქართველისთვის პოემიის მეფეს, გალაკტიონ ტაბიძეს, უკავშირდება. მიუხედავად მისი გენიალურობისა, ის მთელი ცხოვრების განმავლობაში სულიერად მარტო იყო. პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევართა აზრით, ის შეეწირა იმ საზოგადოებრივ აზრს, რომელიც მის გარშემო ტრიალებდა. მას სხვანაირი ცხოვრება სჭირდებოდა. მის მიმართ კი ხშირად უარყოფითი დამოკიდებულება იყო.

გალაკტიონის ჭეშმარიტ სიმარტოვესა და მიუსაფრობას, განსაკუთრებით ცხადლივ, მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ დაწერილ ლექსებში ვგრძნობთ. იქ, სადაც პოეტები მეფეს სიმბოლისტური სამოსიც შემოეძარცვა, ჭაბუკური იმედებიც, ილუზიებიც და ის პათეტიკური არტისტიზმიც, რომლითაც იგი ოდესღაც თავს ყველასაგან მიტოვებულ მეფე ღირს ადარებდა. ცხოვრების დასასრულს, ისევე მკაფიოდ ხედავდა თავის ბრწყინვალე მომავალს, როგორც მისტიკური შუქით განათებულ სურათს.

მაშინ, როდესაც გალაკტიონი ცხოვრებისგან დარტყმებს იღებდა, თავის დასაცავად სიფრიფანა ფურცლებში ჰპოვებდა თავშესაფარს. ამ მხრივ, მეტად

საინტერესოა გალაკტიონის წერილები, რომლებსაც ის ცოლს, ოლია ოკუჯავას სწერდა. ეს წერილები დასტურია იმისა, თუ რას გრძნობდა და განიცდიდა ოლიასგან შორს, მარტოობაში მყოფი პოეტი.

გალაკტიონმა მთელი ცხოვრება, როგორც სულიერ, ისე ფიზიკურ მარტოობაში გაატარა და ეს მარტოობა, ერთგული მეგობარივით სულ თან სდევდა.

თავის „მეგობარ“ მარტოობას არასოდეს უხურავდა ცხვირწინ კარს. მას მარტოობის კი არა, ადამიანებთან დაახლოვებისა ეშინოდა – „რაც უფრო შორს ვარ ადამიანებისგან, მით უფრო მეტ სულიერ სიმშვიდეს და გრძნობის დამშვიდებას ვგრძნობ“. მოძღვარივით აფრთხილებდა საკუთარ თავს, არავისთან ყოფილიყო მეტისმეტად გულახდილი, რადგან „მეტი გულახდილობა სიტიტვლეს გავს, სირცხვილია“.

და მაინც, სულიერი ობლობისა და მარტოობის მიუხედავად, პოეტი საკუთარ ტკივილს ფურცელზე უმშვენებდა სტრიქონებად ამოწერდა და ამით ტანჯვას ესთეტიკურ ღირებულებას ანიჭებდა. ამიტომაცაა, რომ ეს ნაღველი ასე ძალიან გვიზიდავს, რადგან იგი მხოლოდ ტკივილი კი არა, მშვენებებაცაა, რომელიც სულიერად განწმენდს და ამაღლებს ადამიანს.

გიორგი ქურცაძე

იოანე პეტრიწის ფილოსოფია დასავლური რელიგიური ფილოსოფიის კონტექსტში

შუა საუკუნეების ფილოსოფიის ხასიათი და შინაარსი განსაზღვრა იმ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სტრუქტურამ, რომლის პროდუქტსაც იგი წარმოადგენს. ამ პერიოდში გამეფებული გახლდათ ქრისტიანული იდეოლოგიით გაჟღენთილი მეცნიერება, თეოლოგია ანუ რელიგიური ფილოსოფია. არისტოტელეს ფორმალურ ლოგიკაზე აგებული სქოლასტიკა, იგივე სასკოლო ფილოსოფია კი ყველაზე გავლენიანი

მსოფლმხედველობა გახლდათ. იგი აგებული იყო იერარქიულად და ასევე ვითარდებოდა საუკუნეების განმავლობაში.

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ სქოლასტიკის ფუძემდებელი ბიზანტიამ იოანე დამასკელი გახლდათ, რომელიც აქტიურად გამოდიოდა ხატმებრძოლების წინააღმდეგ და მთელს ქრისტიანულ სამყაროში თავი დაიმკვიდრა თავისი უდიდესი მნიშვნელობის თხზულებით „წყარო ცოდნისა“. იგი მიზნად ისახავდა ჭეშმარიტი მოძღვრების გადმოცემას.

იოანე დამასკელის მოღვაწეობის ლოგიკურ გამგრძელებლად საქართველოში მოგვევლინა, კოლორიტული ფიგურა, იოანე პეტრიწი, რომელმაც განავითარა არსებული ფილოსოფიური აზროვნება თავისი დროის ნიადაგზე, როგორც ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, იმ პერიოდში მეტად იშლება აზროვნების ამპლიტუდა, ფართოვდება საგარეო ურთიერთობები.

საინტერესო იქნება, ქართული ფილოსოფიური აზროვნების დასავლურ კონტექსტში განხილვა და ამ მხრივ, აღსანიშნავია იოანე სკოტ ერიუგენა, დასავლური სქოლასტიკის მეთაური.

მოცემულ ნაშრომში, ვისაუბრებთ სქოლასტიკის განვითარების დასავლურ-აღმოსავლურ კონტექსტზე, რათა გავიაზროთ, როგორც ერთი მთლიანობა და არ დავივიწყოთ ქართული ფილოსოფიური სკოლა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისი განვითარების საქმეში. აქ აღსანიშნავია, იოანე პეტრიწის მოღვაწეობა, რომელმაც ნაყოფიერი საქმიანობა გასწია გელათის აკადემიაში.

ნინო ლლონტი

ნინო ხარატიშვილის პიესა „მედეა – ჩემი და შენი გული“, მედეას სახის უახლეს ინტერპრეტაციათა კონტექსტში

ნინო ხარატიშვილი – ქართველი მწერალი, რეჟისორი და დრამატურგი – წარმატებით მოღვაწეობს გერმანიაში. ცხოვრობს ჰამბურგში და მუშაობს გერმანიის, შვეიცარიისა და ავსტრიის სხვადასხვა თეატრში. მისი პიესები წარმატებით იდგმება ვენაში, მოსკოვში, ვიესბადენში, ბერლინში, ჰამბურგში, ბრუკზალში, გიოტინგენში, ზაარბრიუკენში. პიესა “Mein und dein Herz (Medeia)” ნინო ხარატიშვილის სადიპლომო ნაშრომია, რომლითაც მან 2007 წელს ჰამბურგის აკადემია დაამთავრა.

პიესა ქართულად ნათარგმნი არ არის. სახელწოდება შეიძლება ასე ვთარგმნოთ: „ჩემი და შენი გული (მედეა)“. ავტორის თვალთ დანახული მედეა საკმაოდ განსხვავდება ევრიპიდესეული ვერსიისგან, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი შინაარსი და მოვლენების განვითარების თანამიმდევრობა თითქმის ერთი და იგივეა. მთავარი გმირები – მედეა, იასონი, კრეონი თუ კრეუსა – ამ ვერსიაში, მკითხველისა თუ მაყურებლის წინაშე, სრულებით ახალ იერს იძენენ. ნინო ხარატიშვილის პიესაში აშკარად შეიგრძნობა ტრადიციული მითისთვის განსხვავებული ელფერის შექმნის მცდელობა, შემოყვანილია ახალი პერსონაჟებიც, ნინო ხარატიშვილი თავისებურად მოგვითხრობს შეყვარებული, მოტყუებული და მიტოვებული ქალის ამბავს.

ქართველი ავტორის პიესა მედეას უკვდავი სახის ახლებური და ნამდვილად განსხვავებული ვერსიაა, რომლის გაცნობაც, ვფიქრობთ, აუცილებლად დაინტერესებს და მოხიბლავს ქართველ მკითხველს. მოხსენებაში დაწვრილებით ვისაუბრებთ ნინო ხარატიშვილის გერმანულენოვანი პიესის შინაარსის, ანტიკური სამყაროდან კარგად ნაცნობი თუ ავტორის მიერ შექმნილი პერსონაჟების შესახებ.

ეკატერინე ყაბახაძე

ხეთური არქიტექტურის თავისებურებანი

თანამედროვე სამყაროში ყველანაირ კულტურულ ფენომენს, სხვადასხვა ხალხის პრიორიტეტებს, მსოფლმხედველობასა და შეხედულებების ცვლილებას, შესანიშნავად და ,ალბათ, ყველაზე თვალსაჩინოდაც აღწერს არქიტექტურა. სწორედ ასევე შეგვიძლია, ვიმსჯელოთ ჩვენს წინაპრებზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალით, როგორი წარმოდგენები ჰქონდათ მათ სამყაროზე და რა იყო მათი ყოველდღიურობა, რომელი ხალხის მსგავსი ცხოვრების წესი ჰქონდათ. არქეოლოგიური ნაშთებით ცხადი ხდება, რომ შუმერებიც კი ჩვენსავით ცდილობდნენ, შეექმნათ სახლი, რომელიც დააკმაყოფილებდა მათ მოთხოვნებს, რა თქმა უნდა, ჯდებოდა საერთო ქარგაში, თუმცა გამოაჩენდა ხუროთმოძღვრის ინდივიდუალურ ნიშნებსაც, მაგრამ ჩვენ რაც უფრო მეტს ვსწავლობთ ძვ.წ. I - II ათასწლეულების დიდი სახლმწიფოებრივი დაპყრობების რიცხვს, მით უფრო ნაკლებადაა გამოკვლეული ეს სახლმწიფოები, მათი მოწყობა, არსებობა სივრცესა და დროში, და განსაკუთრებით, ხუროთმოძღვრება.

ძველი აღმოსავლეთის ხუროთმოძღვრებაში, ხეთური სამეფოს არქიტექტურა გვაჩვენებს გამორჩეულ, სწორხაზოვან შემოქმედებითობას, რომელიც განსხვავდება, როგორც ჩრდილოეთ ანატოლიის, ასევე შუამდინარეთის არქიტექტურისგან. ნათელია, რომ ის საზრდოებს, როგორც ადრე ბრინჯაოს ხანის (ძვ.წ. 3000 წ.) ანატოლიის მთიანეთის სამშენებლო ხელოვნებიდან, ასევე ტროას სამეფოში შემუშავებული სისტემით. მესოპოტამიის ტაძრებისა და სასახლეების არქიტექტურის მრავალსახოვანი აქსიალური სისტემა ხეთებთან, ცენტრალურ ანატოლიაში, არ გვხვდება. ჩანს მხოლოდ საპირისპირო არქიტექტურული გავლენები ე.წ. „აგლუტინური“ ოთხთა ჯგუფი, რომელიც ასევე გვხვდება კრეტა-მიკენურ კულტურაში, რომლის მთავარი ხუროთმოძღვარი დედალოსი იყო. კრეტას ამ დროს მეფე მინოსი (მინო) და

დედაფალი პასიფაე, მედეას მამიდა, მართავდნენ.

ამ დროს საქართველოშიც, ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულის დასაწყისში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ციკლოპურ ციხეებს, რომელთა სამშენებლო მასალა და ტექნიკაც განსაკუთრებით კონსერვატიულია და ვრცელდება ბრინჯაოს ხანიდან ფეოდალურ ეპოქამდე. ჩემი ამოსავალიც სწორედ ამ საერთო ნიშნების დადგენა იყო, მაშინ, როდესაც გვსმენია ჩვენი (განსაკუთრებით კი სვანების) და ხეთების ამდენ საერთო წარმოდგენასა თუ რიტუალზე. მათ უკავშირდებათ თრიალეთის ვერცხლის თასზე ასახული სცენა, საინტერესო იქნებოდა, ხუროთმოძღვრებაში საერთო დეტალების მოძიებაც.

მიუხედავად იმისა, რომ ხეთებისა და კრეტელების კავშირი გაწყდა ტროას დაცემის შემდეგ, ამ არქიტექტურის გაგრძელებად შესაძლებელია ჩავთვალოთ ხეთური სამეფოს არქიტექტურა, რომლის გავლენები დაცემის შემდეგაც კი, ძვ. წ. 1200 წლიდან, უნდა გავრცელებულიყო მომდევნო პერიოდის სამხრეთ კავკასიის არქიტექტურაზე.

ნანა შენგელია

სოფით ბაგრატაშვილი

ნების პრთბლემა ერაზმისა და ლუთერის შემთქმედებაში

ერაზმისა და ლუთერის ურთიერთობას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი დასაბამს იმ დროიდან იღებს, როდესაც ლუთერმა ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ დაიწყო გამოსვლები. ერაზმი თავდაპირველად მოწონებით შეხვდა ამ ამბავს. გულგრილად არც ლუთერი ეკიდებოდა ერაზმს, თუმცა მათ შორის ბზარი ჩნდება 1521 წლიდან. ერაზმი კერძო საუბრებსა თუ წერილებში, საეჭვოს ხდის ლუთერის სიმართლეს. ძალიან მალე ეს ყველაფერი

ცხარე კამათში გადაიზარდა, ერაზმმა წამოიწყო იგი და შეეცადა, პასუხი გაცეცა ლუთერისათვის ქრისტიანობის ერთ კარდინალურ საკითხზე. სწორედ ამის გამო, იგი აქვეყნებს თხზულებას „დიატრიბა, ანუ მსჯელობა თავისუფალი ნების შესახებ“. ბუნებრივია ერაზმის უპასუხოდ დატოვება ლუთერს არ შეეძლო და გამოაქვეყნა საპასუხო ტრაქტატი „ნების მონობის შესახებ“. ჩვენთვის ცნობილია, რომ ლუთერის მოღვაწეობამ ისტორიაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა, რომელსაც რეფორმაციის სახელწოდებით ვიცნობთ. ამ ისტორიულ პროცესში არანაკლები წვლილი მიუძღვის ერაზმ როტერდამელს, უსაფუძვლოდ როდი ამბობენ, რომ „ერაზმმა კვერცხი დადო, ლუთერმა კი გამოჩეკაო“. საინტერესოა, ნების პრობლემა რატომ გახდა ასეთი მძაფრი დაპირისპირების მიზეზი, აქედან გამომდინარე, ჩვენი ინტერესის საგანია, მათი შეხედულებები და დამოკიდებულებები ნების თავისუფლებასთან დაკავშირებით, მათსავე შემოქმედებაში.

ნინთ ჩახელი

ბესიკ გოჩიაშვილი

საქართველ-გერმანიის ურთიერთობები

გერმანიისადმი ქართველთა სიმპათია, მსოფლიო ომის დასაწყისიდანვე, ამ სახელმწიფოს მაღალ სამხედრო და პოლიტიკურ წრეებთან დაახლოებაში გადაიზარდა. ევროპაში აღმოცენებული საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტის წევრებმა, 1914 წელს პირველმა დაამყარეს კავშირი გერმანულ ხელისუფლებასთან და მათთან საერთო ენის გამოჩახვა სცადეს, რაც გარკვეულწილად გამოუვიდათ კიდევ და უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის პროცესში.

გერმანია საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევაში დახმარებას

აღუთქვამდა. საქართველოს უმთავრესი მიზანი – ეპოვო მოკავშირე ევროპაში – გასცდა დიდ სახელმწიფოთა მხრიდან მორალური თანაგრძნობის ჩარჩოებს და საქმიანი ურთიერთობებით გაგრძელდა. გერმანიამ დააფინანსა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის მთელი საქმიანობა, უზრუნველყო ოსმალეთის ტერიტორიაზე ქართული ლეგიონის ჩამოყალიბება, წყალქვეშა ნავებით საქართველოში იარაღის შემოტანა და სხვ. სამი-ოთხი წლის განმავლობაში ამგვარმა თანამშრომლობამ ნიადაგი შეუმზადა, გერმანიის მიერ საქართველოს სუვერენიტეტის ცნობას. მართლაც, როგორც კი გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მისი დაცვა გერმანიამ იკისრა. ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდეგ, კავკასია გერმანიას, ბოლშევიკებსა და თურქეთს შორის მნიშვნელოვანი დაპირისპირების საკითხად იქცა, რამაც მოკავშირე თურქეთი და გერმანიაც კი დაუპირისპირა ერთმანეთს. უმნიშვნელოვანესია, გერმანელების როლი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბების შემდეგაც. გამომდინარე იქიდან, რომ გერმანელებს საკუთარი გავლენის სფეროდ საქართველო სურდათ და მათმა კავკასიურმა ექსპედიციამ, რომელიც 1919 წლამდე გაგრძელდა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის სტაბილიზაციის საქმეში. სამხრეთ საქართველოში და აფხაზეთში, ბოგკერ თურქების წინააღმდეგაც კი, ქართველები და გერმანელები ერთად იბრძოდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ გერმანელები არ ერეოდნენ დემოკრატიული მთავრობის ფორმირების პროცესსა და შიდა საქმეებში და გერმანული მხარე ხელს უწყობდა კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარებას საქართველოში.

აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენს შემდეგი: სიღრმისეულად შეისწავლოს ქართულ-გერმანული ურთიერთობები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნამდე და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ. ნაშრომის მეთოდოლოგიური მხარე ეყრდნობა შემთხვევის შესწავლასა (case study) და მათ სიღრმისეულ ანალიზს, ასევე ლიტერატურის მიმოხილვასა და კონტენტ ანალიზს.

ტატა ჩრდილელი

ფუნქციონალიზმის ძირითადი მიდგომები და მნიშვნელობა

ეთნოლოგია/ანთროპოლოგიამ განვითარების ხანგრძლივი გზა გაიარა. პირველი ეთნოლოგიური თეორიები, XIX საუკუნის შუა ხანებში გაჩნდა. ფუნქციონალიზმი ჩამოყალიბდა, როგორც ევოლუციონიზმისა და დიფუზიონიზმის ალტერნატიული მიმართულება. ამ თეორიული სკოლის ფარგლებში, ანალიზის ფოკუსს წარმოადგენს ურთიერთდამოკიდებული ნაწილების მიმართება ერთმანეთისადმი, მნიშვნელოვანია ის, თუ როგორი აუცილებელია თითოეული ელემენტის ფუნქციონირება, მთლიანი სისტემის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად.

მოსხენებაში, განხილული იქნება, ფუნქციონალიზმის ძირითადი მიდგომები და მნიშვნელობა, აღნიშნული სკოლის წარმომადგენელთა შეხედულებები და გაანალიზებული იქნება, მათი როლი დარგის ჩამოყალიბებაში. დარგის ფორმირებაზე დიდი გავლენა იქონიეს ბ. მალინოვსკიმ და ა. რედკლიფ-ბრაუნმა.

ფუნქციონალიზმთან მიმართებაში, მნიშვნელოვანია, სტრუქტურული ფუნქციონალიზმის გააზრება, რომელიც ა. რედკლიფ-ბრაუნის სახელთან არის დაკავშირებული. სტრუქტურული ფუნქციონალიზმის თანახმად, საზოგადოებისა და მისი ცალკეული ნაწილების ფუნქციონირება უნდა გაანალიზდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად ასრულებენ ისინი მათ ფუნქციებს. განსხვავება ამ მიდგომათა შორის ფუნქციის კონცეპტის გააზრებასა და სოციალური ქცევის როლის ახსნაში მდგომარეობს.

ფუნქციონალიზმმა და სტრუქტურულმა ფუნქციონალიზმმა დიდი გავლენა მოახდინა ანთროპოლოგიის შემდეგდროინდელ განვითარებაზე, 1970-იან წლებამდე ეს თეორია დომინირებდა ანთროპოლოგიაში.

ლეილა ჩხეტიანი

იმპიჩმენტის პოლიტიკური მნიშვნელობა აშშ-ის დემოკრატიის ისტორიაში

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი წამყვანი აქტორი აშშ-ა, რომლის საშინაო პოლიტიკაში მიმდინარე პრობლემები, სხვა სახელმწიფოებზეც ახდენს გავლენას. ამერიკის ამჟამინდელი პრეზიდენტი, დონალდ ტრამპი უკრაინის პრეზიდენტ ვ. ზელენსკისთან სატელეფონო საუბრის შემდეგ, სერიოზულ სკანდალში გაეხვა და საქმე იმპიჩმენტის წაყენებამდეც კი მივიდა. საინტერესოა, რომ ამერიკის რამდენიმე საუკუნოვან ისტორიაში, იმპიჩმენტის მხოლოდ რამდენიმე პრეცედენტი გვხვდება.

წინამდებარე თემის მიზანია, სხვადასხვა ამერიკელი პოლიტოლოგების ნაშრომებისა და ამერიკული თუ ინგლისური პრესის მასალების გაანალიზებით, განვსაზღვროთ თავად იმპიჩმენტის მნიშვნელობა, აუცილებელი პროცესები და თანმდევი მოვლენები. ნაშრომი რამდენიმე მიმართულებით ვითარდება. პირველ რიგში, განვიხილავთ აშშ-ის მე-17 პრეზიდენტის, ენდრიუ ჯონსონის 1868 წელს გადაყენების შემთხვევას, ამის გამომწვევ მიზეზებსა და კონგრესის გადაწყვეტილებას. შემდეგი ეტაპი, 1998 წლის ბილ კლინტონის იმპიჩმენტის ძირითადი მოტივის დასაბუთებაა. ასევე, არ უნდა გამოგვრჩეს, რიჩარდ ნიქსონის ქეისიც, იგი იმპიჩმენტის წაყენებამდე თავად გადადგა. ბოლოს კი ტრამპის იმ შეცდომების აღწერა, რომელმაც იგი იმპიჩმენტამდე მიიყვანა.

ნაშრომის მიზანია, ლიტერატურის მიმოხილვის, შემთხვევების შესწავლისა და ისტორიული ანალიზის მეშვეობით შევჯამოთ იმპიჩმენტის გამომწვევი მიზეზშედეგობრივი კავშირები და ამის შემდეგ, დავასკვნათ, რამდენად მოსალოდნელია ამერიკის ამჟამინდელი პრეზიდენტის გადაყენება.

ივეტა ცერცვაძე

გმირის ინიციაცია ქართულ და კავკასიელ ხალხთა ზეპირსიტყვიერებაში

მთავარი გმირის ინიციაციას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსოფლიო ხალხთა საგმირო-მითოლოგიურ ეპოსებში. მას საფუძვლად უდევს, ტრადიციულ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული გადასვლის რიტუალი, რომელიც მოზარდს უნდა გაეგვლო ასაკობრივი ცვლილების ზღვარზე, რის შემდეგაც ის იცვლიდა თავის სოციალურ სტატუსს: მას შეეძლო დაქორწინება, საზოგადოების მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღება და ენიჭებოდა მეომრის სტატუსი.

ჩემი თემის მიზანია, წარმოვადგინო, თუ როგორ გადიოდნენ ინიციაციას კავკასიის ხალხთა ეპოსების პერსონაჟები, კერძოდ ქართული, აფხაზური, ოსური და აზერბაიჯანული ეპოსების მაგალითზე. საკითხის განხილვის პროცესში, ვეყრდნობი კვლევის კომპარატივისტულ მეთოდს, რადგან ინიციაციას, როგორც გარდამტეხ მომენტს გმირის ცხოვრებაში, საფუძვლად უდევს ერთი მითოლოგიური სცენარი, საერთო არქეტიპებითა და სიმბოლოებით. მას გმირის ცხოვრება უფრო მაღალ საფეხურზე აპყავს.

ქართული ეპოსის გმირი, ამირანი ინიციაციას ანუ ხელმეორედ შობას გველემშაპის მუცელში გადის, საიდანაც პირვანდელი სახით გამოდის. მსგავსი ანალოგი იძებნება პოლინეზიელთა ზეპირსიტყვიერებაში.

ამის საპირისპიროდ, ოსურ ფოლკლორში ნართების ეპოსის გმირი, სოსლანი ინიციაციას გადის ქურდალაგონთან. ჯერ მან აწრთო ცეცხლში და შემდეგ ცეცხლიდან ამოყვანილი ჩასვეს მგლის რძით სავსე გობში, სადაც სოსლანი მთლიანად ფოლადად იქცა.

ამ ორი მაგალითის საფუძველზე ვხედავთ, როგორ განსხვავებულად ხდება გმირების წრთობა – ინიციაცია.

საბოლოოდ, ჩვენი მიზანია, შევადაროთ, როგორ გადიან გმირები ინიციაციას.

ანა ცქიტიშვილი

პაულ ცელანის „ფსალმუნის“ გააზრებისთვის (დედნისეული ტექსტის ინტერპრეტაცია; ქართული და რუსულენოვანი თარგმანების შედარებითი ანალიზი)

დიდ ინტერესს იწვევს, პაულ ცელანის მიერ, 1961 წელს დაწერილი ლექსი „ფსალმუნი“. აღნიშნული ტექსტი, როგორც ეს ცელანის პოეტიკას შეეფერება, საკმაოდ ამბივალენტურია და რაიმე ნიშნით კატეგორიულობას სრულებითაც არ ავლენს. სწორედ ეს თავისებურება ავტორისა და, კონკრეტულად კი, ამ ტექსტისა, არის ის მთავარი სირთულე, რომელთან შეჭიდებაც ამ ლექსის თითოეულ მთარგმნელს უწევს.

ყველასათვის კარგად ნაცნობ “Todesfuge”-ს თუ არ ჩავთვლით, ცელანის „ფსალმუნის“ თარგმნა, ფაქტობრივად, გერმანულენოვანი პოემის მთარგმნელების ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ამოცანაა. ამის გამომწვევი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ამ ლექსის უამრავი ინტერპრეტაცია არსებობს. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ინტერპრეტაცია „ფსალმუნის“ კაბალისტური წაკითხვაა, რომელიც არცთუ უსაფუძვლოა და ეს ცელანის არცერთ მკვლევარს არ რჩება უყურადღებოდ. არ არის გასაკვირი კაბალიზმის, როგორც საკმაოდ მისტიკური იუდაისტური მოძღვრების, ცელანის შემოქმედებასთან დაკავშირება, რადგან, მოგვეხსენება, რომ პოეტის ნამდვილი სახელი პაულ ანჩელია და იგი დაბადებით ებრაელი გახლდათ.

„ფსალმუნის“ რუსულ თარგმანებზე დაკვირვებამ (უნდა აღინიშნოს, რომ რაოდენობა თითქმის ოცდაათს აღწევს) ცხადყო, რომ ისინი ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებულია და მათი კატეგორიებად დაყოფაც კი შესაძლებელია. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც მთარგმნელი, ჯერ როგორც არასდროს, ისე გვევლინება ტექსტის თანავტორად და მას, ფაქტობრივად, ძალუძს, „საკუთარ რელსებზე“ გადაიყვანოს მკითხველი.

საკმარისია, დავუკვირდეთ იმ ენობრივ ფორმებს, რომლებსაც ესა თუ ის მთარგმნელი იყენებს, რომ მყისვე გავაცნობიერებთ, „ფსალმუნის” რომელ ინტერპრეტაციას იზიარებს იგი.

ჩვენს კვლევაში საპატიო ადგილი დაეთმოა ამ ტექსტის ქართულ თარგმანებს. ანალიზისათვის შევარჩიეთ დავით წერედიანის, დათო ბარბაქაძისა და ზვიად რატიანის თარგმანები. მოხსენების მიზანია, გამოავლინოს, თუ როგორ იაზრებენ „ფსალმუნს”, პირველ რიგში, დედნისეული ტექსტის მიხედვით; რა თავისებურებანი ვლინდება მისი თარგმნისას ამა თუ იმ ენაში (განსაკუთრებულ ყურადღებას მივაპყრობთ ქართულ და რუსულენოვან თარგმანებს) და რა სირთულეებს წააწყდებოდნენ მისი მთარგმნელები.

გვანცა წიწილაშვილი

დიდი ბერძნული კოლონიზაცია და აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი (კულტურათა დიალოგი)

დიდი ბერძნული კოლონიზაცია, რომელიც საბერძნეთში ძვ.წ. VIII საუკუნეში დაიწყო ბერძენთათვის იძულებით პროცესს წარმოადგენდა. მის მამოძრავებლად ისტორიოგრაფიაში არაერთი მიზეზია დასახელებული. კოლონიზაციის პროცესი ორგანიზებულად მიმდინარეობდა. საკოლონიზაციო მოძრაობაში ჩაბმული იყო მთელი საბერძნეთი. ბერძნული კოლონიზაცია, რომელმაც მოიცვა თითქმის მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთი და შავიზღვისპირეთი, რამდენიმე მიმართულებით წარიმართა. მან მოიცვა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სანაპირო ზოლიც - ისტორიული კოლხეთის ტერიტორია. ბერძენებისთვის კოლხეთი ძალზედ პოპულარული იყო. ყველა განათლებულმა ბერძენმა იცოდა „მითი არგონავტების შესახებ”.

წერილობითი წყაროები და მატერიალური კულტურის ძეგლები გვიდასტურებს, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე

ბერძნების გამოჩენის პერიოდში - ძვ.წ. VI ს-ში კოლხეთში განვითარებული იყო ხელოსნობა, ფულადი მეურნეობა, ეკონომიკურ-კულტურული კონტაქტები გარე სამყაროსთან. ბერძნებმა კოლხეთში დააარსეს ფაზისი (ფოთი), გიენოსი (ოჩამჩირე), დიოსკურია (სოხუმი), მოგვიანებით კი პიტიუნტი (ბიჭვინთა). აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური კვლევები, ნათლად ადასტურებს, რომ კოლონიზაციის პერიოდში ზღვისპირა ზოლი ადგილობრივი მოსახლეობის მიერ იყო დასახლებული.

ბერძნების მიერ დაარსებული ქალაქები სავაჭრო ემპორიონებს (სავაჭრო ფაქტორიები) წარმოადგენდა. არტეფაქტებზე დაყრდნობით, მეცნიერთა დიდი ნაწილის აზრით, დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში დაარსებული ქალაქების ცხოვრებაში ბერძნებთან ერთად, ჩართული იყო ადგილობრივი მოსახლეობა. ბერძნული პოლისების მეშვეობით ხორციელდება ადგილობრივი მოსახლეობის ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა არამარტო საბერძნეთთან, არამედ ძველ სამყაროსთან - სირიასთან, ეგვიპტესთან.

ნუკრი წურწუშია

მარქსიზმისა და ფრიდრიხშის კრიტიკა კარლ პოპერის ეპისტემოლოგიაში

მეცნიერება, თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. მეცნიერების სოციოლოგიას აინტერესებს თუ რა მოვლენაა იგი, როგორ შეუძლია მას შეცვალოს ჩვენი წარმოდგენები ამ სამყაროზე და საზოგადოებაზე.

გასულ საუკუნეში „მეცნიერებათა კრიზისის“ (ჰუსერლი) გაცნობიერებამ, ნეოპოზიტივისტური დისკურსის ამოწურვამ, მარქსიზმის, ფრიდრიხშისა და სხვა იდეოლოგიების ბატონობამ, აქტიურად დააყენა საკითხი თუ რა არის მეცნიერება, სად გადის ზღვარი მეცნიერებასა და სიყალბეს შორის და საერთოდ როგორი უნდა იყოს საზოგადოებაში მეცნიერების როლი. ამ კითხვებზე პასუხის

გაცემა სცადა XX საუკუნეში კარლ რაიჰუნდ პოპერმა. წინამდებარე ნაშრომი კი სწორედ პოპერის ეპისტემოლოგიის საკვანძო მომენტების კრიტიკული ანალიზის მცდელობაა. ნაშრომის მიზანია გაარკვიოს თუ რა ესმის პოპერს მეცნიერების/ ბუნებისმეცნიერების ცნების ქვეშ. ასევე იმის ჩვენება, თუ რატომ არ არის მარქსიზმი და ფროიდიზმი სამეცნიერო თეორიები. აღსანიშნავია, ისიც რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, პოპერის ეპისტემოლოგია და ზოგადად პოსტპოზიტივისტური მიმართულება, ჯერ კიდევ „ახალი“ მიმდინარეობის სახელით სარგებლობს. მეცნიერების სოციოლოგია კი ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს. ამ კონტექსტში მოცემული ნაშრომის ღირებულება რამდენადმე უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

მარქსის, ადლერის და ფროიდის თეორიების შედარებისას პოპერი მიდის დასკვნამდე, რომ მხოლოდ აინშტაინის თეორია უშვებს შესაძლებლობას უარყოფილიყოს, მხოლოდმას შეუძლია, ემპირიულ რეალობასთან დაფაქტებთან შეჯახება. ამდენად, ის მეცნიერულია. მაშინ, როდესაც მარქსის, ფროიდისა და ადლერის თეორიები, პირიქით ცდილობენ ყველა ურთიერთგამომრიცხავი ემპირიული შემთხვევაც კი საკუთარი თეორიის ფარგლებში და ტერმინებში ახსნან. ამდენად ისინი ფსევდომეცნიერული თეორიები არიან. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი გავლენიანები არ არიან საკაცობრიო კულტურისათვის და ეპისტემოლოგიურ სივრცეში ვერაფერს ვერ ცვლიან.

მიხეილ ჭელიძე

იენ მაკიუენის რომანის „ცემენტის ბალი“ ინტერმედიალური სივრცე

“ცემენტის ბალი”, ბრიტანელი მწერლის, იენ მაკიუენის 1978 წელს გამოცემული სადებიუტო რომანია, რომელმაც, ერთი მხრივ, ბრიტანულ საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია მასში აღწერილი ამბების

გამო, ხოლო, მეორე მხრივ, გარკვეულმა ჯგუფებმა მწერალს პლაგიატში დასდო ბრალი.

რომანი ერთი ოჯახის ისტორიას აღწერს, მთავარი გმირის, უფროსი ვაჟის, ჯეკის პირით, ოჯახური ტრაგედია მონოლოგური თხრობითაა ასახული – მამისა და დედის სიკვდილი, ბავშვების (ორი ძმა და ორი და) სექსუალური ორიენტაციის პრობლემები, ეგზისტენციალური სიცარიელე, გაუცხოება საკუთარ თავთან და გარემოსთან და ა.შ.

1993 წელს მაკიუნის ნაწარმოების მიხედვით, ბრიტანელმა რეჟისორმა ენდრიუ ბირკინმა ფილმი გადაიღო, რომელმაც ბერლინის კინოფესტივალზე საუკეთესო რეჟისურისათვის ვერცხლის დათვიც კი მოიპოვა.

მოსხენების მიზანია, გაანალიზოს, როგორც იენ მაკიუნის მხატვრული ტექსტი, ისე – მისი კინემატოგრაფიული ინტერპრეტაცია. კერძოდ, თუ როგორ აისახა ტექსტი ეკრანზე, რა სპეციფიკა ახასიათებს კინომეტყველებას და ზოგადად, როგორ ხდება ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანიზაცია კინემატოგრაფში.

გიორგი ჭილაძე

ურის III დინასტიის „დიდი კედელი“

მთელი ისტორიის განმავლობაში, მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში, იგებოდა გრანდიოზული მასშტაბის კედლები. ასეთი კედლების აგების მიზეზი და ფუნქცია მსგავსი იყო. განსხვავებით ქალაქის ან ციხე-სიმაგრის დამცავი კედლებისა, მათ გაცილებით უფრო ფართო ტერიტორიების დაცვა ევალებოდათ დიდი საფრთხის შემქმნელი მტრისგან. სწორედ ამიტომ, ჩემი აზრით, ლოგიკური იქნება, ამ კონსტრუქციების ერთ - „დიდი კედლების“ ჯგუფში გაერთიანება. იმისათვის, რომ მეტად აღსაქმელი გახდეს აღნიშნული კონცეფცია, მე განვიხილავ ერთ-ერთ ასეთ ნაგებობას, ურის დინასტიის მიერ აგებულ „ამორეველთა კედელს“.

ძვ.წ. 21-ე საუკუნის II ნახევარში ურის დინასტია თანდათან ქვეითდებოდა და დაცემის გზაზე იდგა. თუჯერ კიდევ ამავე საუკუნის I ნახევარში იმპერია, შუღლის მმართველობის დროს, ძლიერების მწვერვალზე იდგა, ორიოდ ათწლეულში, რიგმა პრობლემებმა იჩინეს თავი. დინასტიისთვის განსაკუთრებულად მწვავე გამოდგა დიდი რაოდენობით ამორეველი მოსახლეების შემოდინება, რომელთა ნახევრად-მომთაბარეობრივი ცხოვრების წესი, შუმერულ სოფლის მეურნეობას და აქედან გამომდინარე იმპერიის ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ წინასწორობას, დიდ საფრთხეს უქმნიდა.

ურის იმპერიაში, თავდაპირველად, რამდენიმე ლაშქრობა მოაწყო მესოპოტამიის ჩრდილო-დასავლეთით, ამორეველების წინააღმდეგ. თუმცა, ამორეველთა მიგრირების ტემპი არა თუ შენედა, არამედ უფრო გაიზარდა. იმისათვის, რომ ისინი სამხრეთ მესოპოტამიაშიც არ შესულიყვნენ, ურის მმართველმა შუსუნმა ტიგროსსა და ეფრატს შორის ააგო „ამორეველთა კედელი“.

კედლის დანიშნულებას ამორეველთაგან იმპერიის დარჩენილი, სამხრეთი ნაწილის დაცვა წარმოადგენდა. კედლეს, შესაძლოა, შეეჩერებინა კიდევაც ჩრდილოეთიდან მომავალი ნახევრად-მომთაბარე მოსახლეობა, მაგრამ იმპერიაში უკვე მძლავრად ფესვგადგმულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც ჩრდილოეთ მესოპოტამიასთან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ვაჭრობის გაწყვეტამ გამოიწვია, შიდა დაქსაქსულობამ და დინასტიის წინააღმდეგ გამოსვლებმა, ეს ყველაფერი უშედეგო გახადა. „ამორეველთა კედელმა“ დაახლოებით 10 წელი გაძლო, რის შემდეგაც ამორეველებმა სამხრეთშიც შეაღწიეს და იმპერიის დაცემას რეალურად წინ აღდარაფერი ედრა.

თამარ ჭიჭინაძე

გენდერული თანასწორობის საკითხი სასკოლო სახელმძღვანელოებში (მე-7 კლასის ისტორიის სახელმძღვანელოს გენდერული ანალიზი)

საქართველოში გენდერთან დაკავშირებული პრობლემები აქტუალურია, ხშირია გენდერული დისკრიმინაცია, რაც გულისხმობს სქესის ნიშნით განსხვავებას, რომელიც გამოიხატება ძირითადი უფლებების შეზღუდვით, არათანაბარი წარმოჩინებით, პირდაპირი თუ ირიბი დისკრიმინაციით. ქართული კანონმდებლობა ამ კუთხით იცვლება და ვითარდება, თუმცა სახელმწიფო პოლიტიკა იშვიათად ინტერესდება არსებული კანონმდებლობის აღსრულებით. საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა სრულად ვერ უზრუნველყოფს იმ პროგრამების შემუშავებას, რომელთა მიზანიც საზოგადოებაში ქალის როლის გარშემო არსებული სტერეოტიპების გადალახვაა. ამას მოწმობს ბევრი მოძველებული სახელმძღვანელო, სადაც ვაწყდებით იმგვარ სტერეოტიპულ ხედვებს, სადაც ქალის როლი უმეტესად ოჯახის მოვლითა და საოჯახო საქმეებით შემოიფარგლება. გენდერული დისბალანსის აღმოფხვრისათვის მნიშვნელოვანია სკოლაში გენდერულად გამართული პროგრამების შემუშავება. არსებული რეალობიდან გამომდინარე, საინტერესოდ მივიჩნევ დაკვირვებოდი, თუ რამდენად უზრუნველყოფდა გენდერული პრინციპების განმტკიცებას სასკოლო სახელმძღვანელოები. აღნიშნულ საკითხზე მუშაობისას, საკვლევ მასალად ავიღე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, 2012 წელს გრიფირებული მე-7 კლასის ისტორიის სახელმძღვანელო, შევისწავლე ორივე სქესის წარმომადგენლების რაოდენობრივი განაწილება, აგრეთვე განვიხილე, თუ რა ადგილი უჭირავს ორივე სქესის წარმომადგენლებს ტექსტებსა და ილუსტრაციებში. გამოყენებულ იქნა, როგორც კვლევის რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდი. აღნიშნულ წიგნზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ სახელმძღვანელო ვერ უზრუნველყოფს

სწორი გენდერული პრინციპების გამყარებას. სახელმძღვანელოში საკმარისად არ არის გამახვილებული ყურადღება ისეთ მნიშვნელოვან და ძირეულ საკითხებზე, როგორებიცაა: გენდერული დისკრიმინაცია, გენდერული როლები და ადამიანთა ძირითადი უფლებები.

თამთა ჭუმბაძე

ესუეკე მაცუოკადან პერლ-ჰარბორამდე. იაპონიის საგარეო პოლიტიკა 1939-1945 წლებში

მეორე მსოფლიო ომის ეტაპზე იაპონია გასაოცარ დიპლომატიას აწარმოებდა, რომლის მთავარი იდეოლოგი და ამავე დროს ერთ-ერთი მთავარი განამახორციელებელიც იყო იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ესუეკე მაცუოკა, ის 24 წლის ასაკში უკვე მსახურობდა იაპონიის კონსულად ქ. შანხაიში, შემდეგ კი ეკავა რამდენიმე სხვადასხვა თანამდებობა. 1918 წელს იგი უკვე იაპონიის პრემიერ-მინისტრის მდივანი გახდა.

მაცუოკა საბჭოთა კავშირს არწმუნებდა, რომ მეგობრულად არის მისადმი განწყობილი და ერთგულია ნეიტრალიტეტის პაქტისა. ამით აგრძნობინა საბჭოებს, რომ „თქვენი ზურგი საიმედოდ არის უზრუნველყოფილი“. გერმანიას უმტკიცებდა, რომ იაპონიის პაქტი საბჭოთა კავშირთან ფიქციაა, რომ იაპონია, ნებისმიერ შემთხვევაში, იქნება გერმანიის მხარეზე, სანაცვლოდ, ჰიტლერის მხრიდან იყო მოთხოვნა, რომ მას დაერტყა არა სსრკ-სთვის, არამედ ინგლისისთვის, სინგაპურის მიმართულებით. აძლევდა რა თავის ქვეყნის სახელით ჰიტლერს დაპირებას, რომ დაესხმოდა სინგაპურს, მაცუოკა ამავედროს მოლაპარაკებებს აწარმოებდა ჰიტლერთან იმის თაობაზე, რომ მას არ გაემხილა ეს ფაქტი ტოკიოს მთავრობისათვის. პაქტი ნეიტრალიტეტის შესახებ, იმედს აძლევდა იაპონიას, რომ იგი დაიცავდა თავის საზღვრებს

სამხრეთის მიმართულებით ომის შემთხვევაში.

1941 წლის ივლისში იაპონიამ მანჯურიისა და კორეის ოკუპაცია დაასრულა და ინდოჩინეთში შეიჭრა. დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მა იაპონიას აგრესიული ქმედებების შეწყვეტისაკენ მოუწოდეს, რამდენიმე კვირის შემდეგ, აშშ-მა იაპონიას ამერიკაში ფონდები დაუბლოკა, ეკონომიკური სანქციები დაუწესა ვაჭრობაზე, სხვა პროდუქტებთან ერთად, ემბარგო საჰაერო ექსპორტზე, ნავთობზე და ლითონის ნარჩენებზე. ამასთან, აშშ-მა ეკონომიკური მხარდაჭერა გამოუცხადა გომინდანის ძალებს.

ყოველივე ეს, დიდად აზიანებდა იაპონიის ეკონომიკას. ნავთობზე ემბარგოს დაწესება კი კატასტროფის ტოლფასი იყო. ეს სამხედროების გაყინვას გამოიწვევდა, ვინაიდან იაპონიაში ნავთობის 90% იმპორტით მარაგდებოდა. იაპონიამ გადაწყვიტა დარტმა მიეყენებინა აშშ-სთვის.

1939 წელს აშშ-ის პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტი თავის ხალხს პირდებოდა, რომ ამერიკა ომში არ ჩაებმებოდა, ამავე დროს მან განაცხადა: „როცა მშვიდობა დარღვეულია, ყველა დანარჩენი ქვეყნები ხიფათში ვარდებიან“. პერლ-ჰარბორის კატასტროფამდე რამდენიმე თვით ადრე, 1941 წლის გაზაფხულზე, რესპუბლიკელმა სენატორმა ტაფტმა განაცხადა: „რუზველტის მიზანია, არ დაეკოთხოს თავის ხალხს და სულ უფრო და უფრო უბიძგოს განვითარების სვლას ომისაკენ“.

ჰაროლდ ეკალსმა, შინაგან საქმეთა მდივანმა, ოქტომბერში თქვა: „უკვე დიდი ხანია დავრწმუნდი იმაში, რომ ამ ომში ჩვენი ჩართვის ყველაზე კარგი გზა იაპონიაზე გადის“.

იაპონიამ პერლ-ჰარბორზე დარტყმა განახორციელა 1941 წლის 7 დეკემბერს.

ნანა ხასაია

ბურჟუაზიის ჩასახვის ნიშნები XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში

რეალიზმი, ყოველგვარი შელამაზების გარეშე, ნათლად აღგვიწერს ყოფით ცხოვრებაში განვითარებულ მოვლენებს. ამ თვალსაზრისით, ქართული ლიტერატურის ისტორიაში მეტად საინტერესოა ბურჟუაზიის სახე XIX საუკუნეში. ეს თემა ამ ეპოქის არაერთი ქართველი მწერლის შთავონების წყაროდ იქცა, რომლებმაც სრულიად რეალისტურად, სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით გადმოგვცეს ამ პრობლემით დატვირთული მოვლენები.

გიორგი ერისთავი იყო პირველი, ვინც საკუთარ შემოქმედებაში ასახა მაღალი წოდების ეკონომიკური დაღმასვლა და ზნეობრივი სიმდაბლე. სურათები ბურჟუაზიული ცხოვრებიდან საინტერესოდ იკვეთება მის ისეთ კომედიებში, როგორებიცაა „ძუნწი“ და „გაყრა“. მიკირტუმ ტრადატოვისა („გაყრა“) და კარაპეტა დაბალოვის („ძუნწი“) სახით ავტორმა გვიჩვენა XIX საუკუნის 50-იანი წლების ვაჭართა კლასის ტიპური წარმომადგენლები.

ამავე ეპოქაში, ლავრენტი არდაბიანი აქვეყნებს თავის მთავარ ნაწარმოებს – „სოლომონ ისაკიძე მეჯღანუაშვილი“, სადაც ნათლად არის ასახული XIX საუკუნის 40-50 წლების თავად-აზნაურთა მდგომარეობა. რომანში მოვლენები სოლომონ მეჯღანუაშვილის გარშემო ვითარდება, რომლის სიუჟეტიც გვიჩვენებს, თუ როგორ ყალიბდება მთავარი გმირისგან ვაჭრის ჭეშმარიტი სახე. ვაჭრობის განვითარების ამსახველ ეპიზოდებს ვხვდებით დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეშიც“. ნაწარმოებში მთავარი გმირის, დურმიშხანის სახით ვხედავთ მიზანდასახულ ყმას, რომელმაც თავისი ოცნება – გამხდარიყო ვაჭარი – რეალობად აქცია.

XIX საუკუნის მიწურულს გიორგი წერეთელი აქვეყნებს რომანს „პირველი ნაბიჯი“. ნაწარმოებში ავტორი თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის დაპირისპირებით წარმოგვიდგენს საქართველოში არსებულ სოციალურ ყოფას.

სიუჟეტი მთავარი გმირის, ბახვა ფულავას გარშემო მიმდინარეობს, რომლის გვარიც აშკარად მიუთითებს მწერლის იდეურ ჩანაფიქრზე.

ბემოთ წარმოდგენილ ნაწარმოებთა საფუძველზე, მოხსენებაში დეტალურად გვაქვს განხილული ამ ეპოქის ქართველ ბურჟუათა სახე და ქართული ბურჟუაზიის, როგორც სოციალური მოვლენის მნიშვნელობა.

ჯონდი ხუხია

ორი იბერიის ნათესაობის საკითხისთვის XVII საუკუნის ერთი დოკუმენტის მაგალითზე

XVII საუკუნის პირველი ნახევარი საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი საგარეო-პოლიტიკური მოვლენებით გამოირჩევა. ამ პერიოდში საქართველოს მძიმე დარტყმების გადატანა მოუწია ირანის მბრძანებლის შაჰ აბასის მხრიდან, რომელმაც არაერთგზის ააოხრა ქვეყანა. 1625 წლის 25 მარტს მარტყოფის ველზე მოპოვებული გამარჯვება სასოცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ქართველებისთვის, ამას მოწმობს როსტომ მეფის ცნობაც: „ბრძანება იყო ყენისა, რომე კახი კაცი გაეწყვიტათ და კახეთში ყიზილბაში ჩაესახლათ.” ქართლ-კახეთის გაერთიანებულმა ლაშქარმა, ქართველთა გმირობამ და თავდადებამ გადაარჩინა ქართლ-კახეთი განადგურებას. ამ გამარჯვებას მალევე მოჰყვა დასანანი მარცხი მარაბდის ველზე. თეიმურაზ მეფემ, ზემოხსენებულ ბრძოლამდე, არაერთხელ სცადა დიპლომატიური კავშირის დამყარება რუსეთთან, მათ შორის, 1618 და 1623 წლებში. ყოველი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. ამის ლოგიკურ გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს, დიპლომატიური კონტაქტების დამყარების მცდელობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან. დასავლეთ ევროპაში დიპლომატიური მისიით გაიგზავნა ნიკიფორე ირბახი (ნიკოლოზ ჩოლაყაშვილი) 1626-1628 წლებში. ამ პრობლემის შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე მრავალ ხარვეზს შეიცავს.

მადრიდში ნიკიფორე ირბახი შეხვდა წარმოშობით ბერძენ სასულიერო პირს, კონსტანტინე სოფიას, რომელიც ესპანეთის სამეფო კარზე მსახურობდა. საკუთარი სამშობლოს გათავისუფლების იდეით შეპყრობილმა სოფიამ საოცარი დიპლომატიური მოხერხებულობითა და ოსტატობით შეადგინა წერილი, რომელიც ორი იბერიის ნათესაობის საკითხს შეეხება. ამ წერილმა კონსტანტინე სოფიას მეოხებითვე მიაღწია ესპანეთის სამეფო კარამდე და გადაეცა სამეფო საბჭოს განსახილველად.

ორი იბერიის ნათესაობის საკითხის დასმა კონკრეტულ მიზანს ემსახურებოდა: ეს იქნებოდა წმინდა წამოწყება ერთხელ და სამუდამოდ განედევნათ ოსმალები დაპყრობილი ტეროტორიებიდან, რითაც აღდგებოდა ბიზანტიის იმპერია. ეს პირველი შემთხვევაა, როცა „ბერძნული პროექტი“ საქართველოს ანტიოსმალურ პოლიტიკას დაუკავშირდა. ჭკვიანი დიპლომატის მცდელობა მიზნად ისახავდა არა მხოლოდ ორივე იბერიის ისტორიის ღრმა ფესვების წარმოჩენას, არამედ აგრეთვე საერთო ქრისტიანული სულისკვეთების გაღვივებას და ესპანეთის სამეფო კარის დაინტერესებას მუსლიმურ რკალში მოქცეული იბერიით.

გიორგი ჯავახიშვილი

ილია ჭავჭავაძე: ერის მშენებლობის პროექტი

XIX საუკუნის საქართველოს ისტორია რუსული ანექსიით დაიწყო. 1801 წლიდან ჯერ ქართლ-კახეთის სამეფო, შემდეგ კი მთლიანი საქართველოს ტერიტორია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა. 1801-1832 წლები ქართულ რეალობაში რუსეთის იმპერიასთან ბრძოლის პერიოდია, ეწყობა არაერთი აჯანყება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, საბოლოოდ კი წინააღმდეგობა სრულდება 1832 წლის შეთქმულებით, რომელიც ყველაზე ორგანიზებულ შეთქმულებას წარმოადგენდა საუკუნის პირველ ნახევარში

იმპერიის წინააღმდეგ. პერიოდი 1832 წლიდან 1861 წლამდე შეგვიძლია ერთგვარ „პესნიზმის ხანაღ“ მივიჩნიოთ. 1860-იანი წლებიდან კი ქართულ სინამდვილეში ჩნდება ნაციონალიზმის იდეა, რომელიც დაკავშირებულია ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულების სახელთან.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ეროვნულ საკითხსა და ისტორიულ მემკვიდრეობას განსაკუთრებული ხაზი ესმევა, რადგან ავტორი მასშტაბური ფიგურაა, შეუძლებელია მისი შემოქმედება და მოღვაწეობა ერთ მოხსენებაში ჩავატოთ, ამიტომაც მეტ-ნაკლებად შევეცდებით, მოკლედ მიმოვიხილოთ მისი შემოქმედება და გამოვყოთ ის ძირითადი მახასიათებლები, რაც ილიასეულ ხედვებს მოაქცევს სამეცნიერო პოლემიკის დისკურსში. XIX საუკუნის საქართველოში აქტიურად ვრცელდება პრესა, რაც აისახა ისტორიული მემკვიდრეობის ფორმირების პროცესში. ისტორიის გადააზრება, თეატრისა და საეკლესიო მუზეუმის დაარსება, სწორედ ამ მოვლენების ახლებური წაკითხვით შევეცდებით ავხსნათ ილია ჭავჭავაძის მიერ შემოთავაზებული ეროვნული კონსოლიდაციის პროექტი.

სალთმე ჭანგავაძე

კარლ IV-ის ჩეხური პოლიტიკის რამდენიმე საკითხისათვის

შუა საუკუნეების მნიშვნელოვან ნიშან-სვეტად შეგვიძლია მივიჩნიოთ გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის ჩამოყალიბება. იმპერია უამრავი დინასტიისა და განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციის მმართველთა ხელში ბევრჯერ აღმოჩენილა. იმპერატორთა პოლიტიკურმა კურსმა და მსოფლმხედველობამ, მეტად საინტერესო და მიმზიდველი გახადა მისი ისტორიის შესწავლა და კვლევა. საღვთო რომის იმპერატორთა შორის, თავისი პოლიტიკური ორიენტაციით და თავისებურებით შეგვიძლია რამდენიმე

მმართველის გამოყოფა. რომელთაგანაც უდავოდ გამოირჩევა XIV საუკუნეში მოღვაწე, იმპერატორი კარლ IV.

XIV საუკუნე, ჩეხეთის ისტორიაში რიგი თავისებურებებით ხასიათდება. მხოლოდ პრატის უნივერსიტეტის დასახელებაც კი ცხადყოფს იმუამინდელი ბოჰემიის მეფის კარლ I-ის (შემდგომში იმპერატორ კარლ IV-ის) აქტიურ ჩართულობას ქვეყნის განვითარებაში. იმპერატორის ტიტულის მოპოვების შემდეგ, გამოიკვეთა მისი განსაკუთრებული მზრუნველობა ჩეხი ხალხის მიმართ. მონარქი მეტ ყურადღებას უთმობდა იმპერიის ჩეხურ ნაწილს, მისი მზრუნველობა და მისი მოღვაწეობა მხოლოდ სააღმშენებლო საქმიანობით არ შემოიფარგლებოდა. იგი მთელი ძალისხმევით ცდილობდა სამეფო კარის შელახული რეპუტაციის აღდგენას, რის გამოხატულებასაც სწორედ მისი პოლიტიკური საქმიანობა წარმოადგენს.

იმპერატორის ასეთმა პოლიტიკამ, კონკრეტულად კი, ჩეხეთის მიმართ გატარებულმა რეფორმებმა, რა თქმა უნდა, შემდგომში უფრო აქტიური ხასიათი მიიღო. ამ ყველაფერმა კარლ IV-ს „ბოჰემიის მამის“ სახელი მოუტანა. უამრავ სტატიასა თუ სახელმძღვანელო გამოცემაში იმპერატორი საკმაოდ ორაზროვნად ხასიათდება: „გერმანიის მამინაცვალი და მამა ბოჰემიისა“.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ლოგიკურად მიგვაჩნია, მოკლედ განვმარტოთ ჩვენს მიერ მომზადებული მოხსენების შინაარსობრივი მხარე. აღნიშნული ნაშრომით ვეცადეთ, გამოგვეკვეთა ჩეხეთის როლი იმპერატორ კარლ IV-ის მოღვაწეობაში. ვიმსჯელოთ, მისი სტრატეგიის მნიშვნელოვან დეტალებზე. ჩვენი დაინტერესება ამ საკითხის მიმართ, სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულმა მისეულმა ხედვამ განაპირობა. აქედან გამომდინარე, ჩავთვალეთ, რომ მისი ამ კუთხით კვლევა საკმაოდ საინტერესო იქნებოდა ჩვენი სამეცნიერო წრისა და ისტორიოგრაფიისათვის.

ნაშრომზე მუშაობისას, მიზნად დავისახეთ, გავგეზოვებინა კარლ IV-ის მიერ გატარებული ის პოლიტიკურ-კულტურული რეფორმები, რომლებიც უპირველეს ყოვლისა სამეფოს დინასტიის ავტორიტეტის განმტკიცებისკენ

იყო მიმართული. მიგვაჩნია, რომ მისი შედეგები და მნიშვნელობა ჩეხეთისა და საერთოდ, დასავლეთ ევროპის ისტორიის კონტექსტში, საკმაოდ საყურადღებო საკითხია.

0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი
14 ტელ: +995 (32) 2250484, #6284; #6278
www.press.tsu.ge

